«ეროვნული
ლიტერატურა»
1975

Г 2
899.962.1 — 1
თ 403

ანდრო თევზაძის ერთტომეულში შეტანილია პოეტის რჩეული ლექსები, რომლებსაც ქართული პოეზიით დაინტერესებული მკითხველი უთუოდ კარგად იცნობს. ამ კრებულის გამოსვლას ავტორი ვერ მოესწრო, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა ამ წიგნზე მუშაობის დროს.

მკითხველი აქ იპოვის გულწრფელ, სიყვარულით გამთბარ, პატრიოტული გრძნობით აღსავსე სტრიქონებს სამშობლოსა და პარტიაზე, საბჭოთა ადამიანების დიდ გამარჯვებებზე მშვიდობიან შრომასა თუ სამამულო ომში, მეგობრობისა და სიყვარულის ნათელ სიმღერებს. ხალისი, ენთუზიაზმი, ჰარმონიულობა განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს ამ კრებულს.

ანდრო თევზაძის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1936 წელს და მას შემდეგ თითქმის 40 წლის განმავლობაში პოეტი აქტიურ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდა, პოეტური სიტყვით ეხმიანებოდა ჩვენი ცხოვრების ყველა აქტუალურ მოვლენას. დიდი პოპულარობა მოუხვეჭა ავტორს ლექსებმა: „დიდება მას“, „იმერეთი“, „გოგოვ, ეგ შენი თითები“, „სიყვარული ბევრჯერ გითხარ“, „წაღვერი და თბილისი“, „ეს გახსენება ახლა სულ სხვაა“, „ბაღდადის მთებში“, „შენი ღიმილი“ და სხვ. ამ ლექსების მხატვრულ ღირსებებსა და მუსიკალობაზე ისიც მეტყველებს, რომ ბევრ მათგანზე შეიქმნა პოპულარული სიმღერები.

70403—80
თ ——————43—74
М 604 (08) — 75

© გამომცემლობა „მერანი“ 1975

ლენინი საუკუნეთა, ეპოქა

ლენინის დროშა დიადი

ლენინის დროშა, ოქტომბრის დროშა
რა მაღლა მოჩანს ფრთამოფრიალე;
ტალღებმა გზნებით ზღვებიდან ზღვები,
ეარსკვლავთა გზები გადიგრიალეს.

ავარდა ხმები, აბორგდა მთები,
გაშალა ფრთები რკინის არწივმა;
გონებამ ბრძენის გმირობის მჩენი
წინ სწრაფვა ჩვენი გაახანგრძლივა.

ანთებულ კრემლით ვუსმენდით ლენინს
და გაჰქრა ცრემლი, კვნესა, გოდება;
„მტრის არ დანდობა!“ ვით წყალდიდობა,
ქვეყნად ვიდოდა ეს მოწოდება.

ვით ომში დედა გუმანით ხედავს
შვილს შებმულს მტერთან ცრემლდადენილი,
სამშობლოს მხედარს ბრძოლაში მედგარს
მხარდამხარ ედგა დიდი ლენინი.

მის თვალთა ხედვა მზედ გაგვითენდა,
იმედად ჩვენდა წინ მიგვიძღვება,
ქარხნის ხმაური თუ შორს აულის
დღესასწაული მისით იწყება.

მის გადაძახილს მსოფლიოს ხალხი
ცხოვრების ახლის ასაშენებლად
მიჰყვება გულით, რომ ნახოს სრული
კომუნისტური ქვეყნის მშვენება.

მშვენება ფერთა, გამკვეთი ბნელთა,
მიგვიძღვის მზესთან რწმენად ხვალისა,
მთა-ბარს ედება და არ ნელდება
შემოქმედება ხალხთა ძალისა.

და ცის კარებში, როგორც ზარები,
თანამგზავრები სჭრიან ორბიტებს,
რომ ძლიერება ბედნიერებას
გულს სიმღერებად მუდამ მოჰგვრიდეს.

„მშვიდობა მასებს!“ — ქუხილის მსგავსი
ძახილი ავსებს ირგვლივ პლანეტას,
კმარა! სიმძაფრით ნუ მიისწრაფით
სიკვდილისათვის თავგასამეტად.

კმარა, სამყაროს რაც სისხლი ღვარა,
გაშალეთ ჯარად დროშა წინსვლისა!
სიცოცხლეს მარადს მშვიდობის ფარად
მზე დაეღვარა ლენინიზმისა.

1960 წ.

1 9 6 0

ახალი წლის განთიადი
მოეშუქა მთებს და სერებს,
ჩანჩქერებმა კლდის გულ-მკერდი
ჭტრედის ფრთებით ჩაიმღერეს.

მეც მსურს ლექსის თასით შევხვდე,
— თუ თამადა დამრთავს ნებას, —
ათას ცხრაას სამოცი წლის
ბედნიერად მობრძანებას.

და ვთქვა: ქვეყნის ღვიძლო შვილო,
გმირო სამოციანელო,
ახალი წლის ნათელ ცაზე
ქუხილი არ შეანელო.

არ დაკეცო ის ალამი,
რაც წინაპრებს გაუშლია.
რომ სამშობლოს კარს გადაღმაც
ყურს უგდებდნენ იმის შრიალს.

ასი წლის წინ ჭავჭავაძე
როს მოადგა ქართლის კარებს.
რას ხედავდა სამომავლოს,
ნუგეშსა და გასახარელს?

„ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნეს!“ —
ის ნატრობდა, ის გოდებდა...
და კოცნიდა ქართულ მიწას
კავკასიის მაღალ მთებთან.

და იმ ლომის მედგარ ბუბუნს,
ღა იმ თერგის კლდეში ღრიალს
ხუნდადებულ ხალხის გულის
კარი მძლავრად გაუღია.

აუვსია ბრძოლის ცეცხლით
ძველი ქვეყნის დასაბუგად;
გზას აძლევდა მეხს და გრიგალს,
თვით კი იდგა, როგორც მუხა.

და შორს, და შორს, ცისკრის მიღმა,
მზეს ხედავდა მგოსნის თვალი;
ახალ წლების მაღალ კიბით
მოდიოდა მომავალი.

მოდიოდა, მოიბრძოდა,
მიწას ბანდა სისხლის წვიმა;
ასი წლის გზა გავიარეთ,
ათასის კი გვიცდის წინა.

და რაც დარდი გულს ემოსა,
და რაც იყო საოცნებო,
ის აღსრულდა, შეჟრიალდი
სამარეში მგოსნის ძვლებო.

ახალ დღეთა შემოქმედო,
გმირო სამოციანელო,
ჩვენი ქვეყნის ნათელ ცაზე
ქუხილი არ შეანელო.

მყინვარწვერის თოვლის წვენი
მკერდში ქუხდეს თერგის ტალღად,
იზრდებოდეს ფრთები შენი,
ისწრაფოდე მზეზე მაღლა.

არ დაკეცო ის ალამი
რაც წინაპრებს გაუშლია,
რომ სამშობლოს კარს გადაღმაც
ყურს უგდებდნენ იმის შრიალს.

რომ აღარსად კაცთა მოდგმას
მტრულად აღარ უყურებდნენ,
რომ მშვიდობის სიმღერები
ტყვიის ნაცვლად გუგუნებდეს!

1960 წ.

ალუბლის ყვავილებთან

შენს თეთრ ყვავილს როცა ვხედავ, ალუბალო,
ეგ ჭაღარა სიჭაბუკედ მესახვის,
აღარ მინდა გულს ფიქრები დავუმალო,
სიყვარულის გაზაფხული მეძახის.

გზა მიეცით, ვისაც გული წინ ესწრაფვის,
ვინც გაურბის სევდასა და სიბერეს,
ვისაც ჰქონდეს ცხოვრებასთან ბრძოლა მძაფრი,
მაინც სჭექდეს სიყვარულის სიმღერებს.

ამოდუღდი, გულს ჩაგუბდი, მარგალიტო,
ჩაეხვიე ალუბლების ამ რტოებს,
დრო იჩქარის და არაფერს არ დაგიტოვს,
ოუ შენ თვითონ ქვეყნად შუქს არ დატოვებ.

ასეთია თვით სამყაროს განაჩენი,
მზე და ჩრდილი ქვეყნად ერთად დადიან,
ვიცი, სიკვდილს რომ ვერასგზით გადავრჩები
და სიმღერა გულს მით უფრო სწადია.

ასეთია პოეზიის მხნე ბუნება,
გულაგზნებით ვმღერი, თითქოს გედი ვარ,
ჩემი სული სიჭაბუკეს უბრუნდება,
რაც თანდათან სიბერეში შევდივარ.

შენს თეთრ ყვავილს როცა ვხედავ, ალუბალო,
ეგ ჭაღარა გაზაფხულად მესახვის,
აღარ მინდა გულს ფიქრები დავუმალო.
სიყვარულის სიმღერები მეძახის!..

1960 წ.

ილიას საგურამოში

ზედაზნის მთაზე მზე გადმომდგარა,
საგურამოში მე ისევ მოველ,
და ვხედავ, სჯერა აქ სულდგმულს ყოველს,
შენი გულისხმა რომ არ მომკვდარა.

ტანჯულ მამულის ბედისთვის მლოცველს
სულს გიმშვიდებდა ეს იდილია;
თუ გახსენება ასე ტკბილია,
რა იქნებოდა შენი სიცოცხლე?!

ცხოვრების ბევრი არაგვი გახველ,
მთებიც ფეხდაფეხ გადაგივლია...
და მე პატარა ჩიტი ნიბლია
შემოვჭიკჭიკებ შენს წმინდა სახელს!..

1960 წ.

ძვევრები

მესხეთში ნახეს ძველი ქვევრები
მიწის ქვეშ დიდხანს ღამის მთევლები.
მათ ახსოვთ თურქთა უღვთო თარეში
როს სოფლებს ლეწდა სისხლის კევრები.

კვლავ მზეს უცინის ძველი ქვევრები
მიწის ჯურღმულში დაუტევრები,
ყელს მოხატული ყურძნის აკიდო
და ძველ მებრძოლთა ხმალ-სატევრები.

ჯ
ეჭამდე ბნელში მყოფი ქვევრები
ხარობს, აღგვილა ხონთქრის მდევრები;
რომ ამიერით უქმად არ იყოს,
მინდვრად ვაზია გასაბევრები.

რომ ზვარში ენთოს ქარვის მტევნები,
ღონით აივსოს ძველი ქვევრები,
და მის გულიდან რომ ძველქართული
ამოგუგუნდეს კვლავ სიმღერები!

1960 წ.

ჩემს მასწავლებელს

ვუძღვნი საქართველოს სსრ სკოლის
დამსახურებულ მასწავლებელს
ანდრო კანდელაკს

მასწავლებელი, სიყრმის ჩემის ფიქრთა მხლებელი,
აღმანთებელი ჩემი სულის სილაჟვარდისა,
დაუსაბამო ოცნებათა ფრთების შემსხმელი
და პოეზიის შუქით გულში გაშლა ვარდისა.

მისი ხმა ახლაც თან დამყვება გულთამხილველად,
როგორც აკვანთან იავნანა თქმული დედისა,
ვინაც ხელთ მომცა „დედა ენა“ ყმაწვილს პირველად,
როგორც დასტური ქვეყნად კაცად დაბადებისა.

ვინც გამიკვეთა მე ცხოვრების გზა და მიზანი
და წინსვლისათვის ჩამიგუბა სულში სხვა ძალა,
ვინც შემაყვარა წინაპრების კუბოს ფიცარი
და ჩემი ქვეყნის აკვნებისთვის მღერა მასწავლა.

მან შთამაგონა და სამშობლოს თავზე ვევლები,
მზად ვარ თუნდ ჩემი სისხლი ცვარად მთებს დაეპკუროს...
მისდამი გული აღსავსე მაქვს მადლიერებით,
მაგრამ მის მიმართ მაქვს პატარა სასაყვედუროც.

რატომ არ მამცნო: კაცი ცეცხლს რომ უნდა ერიდოს,
რომ სჯობს ყრმათათვის ზოგჯერ შიშის დამახსოვრებაც,
რად არ დამტუქსა პირველივე ლექსის წერის დროს,
რად დამიკარგა ქვეყანაზე მშვიდი ცხოვრება.

რად ჩამიწვეთა ტკბილი სიტყვა გულში იმედად,
რად სწამდა მერცხლის გადაქცევა მთების არწივად,

ამ ჭარიშხალთან შესაბმელად რად გამიმეტა,
ოკეანეში დასაკარგად რატომ გამწირა?

საქართველოში პოეტია ყველა ჭაბუკი,
და უძნელესი — პოეზიის ლელოს გატანა;
ეს ნიშნავს: კაცი გამოხვიდე მზეში პატრუქით,
ანდა ზღვის ფსკერზე აჩუხჩუხდეს წყარო პატარა.

და რას გახდები, თუნდაც გულით მაღლა ილტვოდე,
მყინვარის მთებზე განა ჩიტის ფრთით გადაივლი?
ეს ნიშნავს: ფუტკარს ესაუბრო თაფლის სიტკბოზე,
ედემის ბაღში შეიტანო მინდვრის ყვავილი.

აბა, ჩემი ხმა რას გახდება მერნის ჭიხვინთან,
გრიგალს აჩოქებს ფლოქვთა ეხო ლურჯა ცხენების;
და ჩემს გულს სავსეს, ალმოდებულს, მღელვარს იჭვითა,
არა აქვს ნება მშვიდად ყოფნის და მოსვენების.

ო, როგორ მინდა ახლაც მისი სიტყვა-ალერსი,
რომ ოცნებაში განმეორდეს ჩემი ბალღობა,
იქნება შევძლო, გულს აღმოხდეს ისეთი ლექსი,
ჩემს მასწავლებლს რომ შევკადრო, როგორც მადლობა!

1960 წ.

თურდოს ხიდი

წარმოთქმული მდინარე თურდოს
ხიდის გახსნაზე 1960 წლის 29 მაისს.

ეს ხიდი, აქ რომ მდინარე
გასჭრა და გაღმა გასცურა,
მან ხალხის გმირულ მარჯვენის
სიმტკიცე დაადასტურა .

ეს ხიდი, დიდი ერეკლეს
ხმალივით აქ რომ გაწვდილა,
მან სიხარულის შუქსხივი
მზესავით გაგვინაწილა.

ეს ხალხის წინსვლის გზა არის,
სულ გამარჯვებით მავალი,
დგას, როგორც შეურყეველი
სამშობლოს ჯავშან-ჯავარი.

მის ბურჯებს ახლავს სიმტკიცე
კავკასიონის მწვერვალთა;
ალაზნის ველის მშვენებას
მანც ერთი სხივი შემატა.

სრულდება ყველა მიზანი,
რაც გულში ჩაგვიფიქრია,
თურდოს ნაპირი რა არის,
როცა კოსმოსში მივქრივართ.

მაგრამ ამდენმა სტუმარმა
აქ მოსვლა მიტომ ინება,
რომ ყოველ საქმეს სჭირდება
ზეიმით დაგვირგვინება

ხალხის ეს შრომის ნაყოფიც
შუქურვარსკვლავად გიზგიზებს,
ამ ხიდით, ამ გზით მივდივართ
იმ ნათელ კომუნიზმისკენ,

საითაც მედგრად მიგვიძღვის
გმირი ლენინის პარტია,
ვინაც ოქტომბრის ჩირაღდნით
სიბნელე გაგვაფანტია;

ვისაც ხალხები მშვიდობას
მწყურვალნი შემონატრიან,
ჩვენკენ ნასროლი ისარი
მტერს თავზე გადაამტვრია.

და ეს პატარა მიღწევა
განა ღირს სალაპარაკოდ?
მაგრამ დღეიდან თურდოც კი
დასჯერდეს თავის კალაპოტს!
არა თუ მტერმა, მდინარემც
გოჯი მიწა ვერ დაგვაკლოს!

1960 წ.

მშვიდობა შრომას!

სამშობლოვ ჩემო, გიხაროდეს, რომ შვილთა შენთა
ძალ-ღონე გასცდა დედამიწის ხილულ წიაღებს,
რომ შენს მინდვრებზე ახალ დღეთა დილა გათენდა,
რომ შენი დროშა მზის მახლობელ სივრცეს მიარღვევს.

და შვიდი წელი, როგორც ცაზე შვიდი მთიები,
გამარჯვებათა ცისკრის ნიშნად აღმობრწყენილი,
აბობოქრება წინსვლის, შებმის, ახლის ძიების,
გზა მომავლისა, ნაჩვენები დიდი ლენინის.

სამშობლოვ დიდო, იამაყე: ჩვენი პლანეტა
მხოლოდ მოსკოვის სინათლის გზით მიესწრაფება,
შეერთდა ხალხი ომის გზების გადასაკეტად
და სამშვიდობოდ ვარსკვლავებში იწყო გაფრენა.

რომ შეიმკვიდროს ჩაუქრობელ შუქით მოცული
მარადისობის საიდუმლო თავშესაფარი;
მშვიდობა მიწას! ომს ვუცხადებთ მხოლოდ სივრცეებს,
ცის დასაპყრობად ეშურება ჩვენი ლაშქარი.

მშვიდობა შრომას, თავისუფალს, გმირულს, წინმავალს,
მხოლოდ მას ძალუძს ხალხს მოჰფინოს ბედნიერება...
და მგოსნის კალმის უძლურებას არ დაგიმალავთ,
ეს გრიგალები ჩონგურის ხმით არ იმღერება.

დღეს საჭიროა ლექსსაც ჰქონდეს ძალა ატომის,
რომ მის გრიალშიც იგრძნობოდეს ღელვა მთაბარის,
დატოვოს კვალი, როგორც ცაზე ირმის ნახტომი
და სინამდვილედ წარმოსახოს ყველა ზღაპარი.

სამშობლოვ ჩემო, და პარტიის დიადო სიბრძნევ,
კაცობრიობის დიდთა დღეთა აღმოსავლეთო,
შენი ნათელი არა მარტო მიწაზე იგრძნეს,
ელვარე მზესთან, თვით ვარსკვლავთა შორის აენთო.

შენმა გონებამ მეცხრე ზეცის კარი გაჰკვეთა,
ფოლადი მღერის ხალხთა ძმობის გრდემლზე ნაწრთობი...
პოეტის სიტყვა უნდა გავდეს ახლა რაკეტას,
გული კი არა, შეაჟრუოლოს ცაში მნათობიც.

მშვიდობა შრომას, თავისუფალს, გმირულს, წინმავალს,
მხოლოდ მას ძალუძს ხალხს მოჰფინოს ბედნიერება...
და მიოსნის კალმის უძლურებას არ დაგიმალავთ,
ეს გრიგალები ჩონგურის ხმით არ იმღერება.

1959 წ.

არ გსურს ნახო?

თუ ეს მთები არ გიგრძვნია,
მაშ, ჭაბუკი არ ყოფილხარ;
არ დამტკბარხარ მისი ბაღის
ჩამოთაფლულ ნაყოფითა?

არც ის წყარო გიგემნია,
კლდის ძირში რომ მოღიღინობს?
ყელში ისე ჩატკბილდინდეს
დაგავიწყოს ყველა ღვინო.

თუ გსურს ქართლმა დაგაშუქოს
ცა ფირუზის სიანკარე,
მაშ, თამარის ნაფეხურებს
სადმე ფეხი მიაკარე.

კავკასიონს გადახედე,
რომ აგენთოს ელვარებით
ალავერდის გუმბათივით
ატყორცნილი მწვერვალები.

ალაზნის ველს არ დაივლი?
წინანდლის ვარდს არ დაყნოსავ?
ჭაბუკად რომ გარდაგსახავს
თუნდ ასი წლის ჭაღაროსანს.

ან კრწანისის ყაყაჩოებს
არ დაინთებ გულზე ცეცხლად?
დაიჯერებ, ჯვარის მთასთან
ცაზე ჰქონდეს ბუდე მერცხალს?

არაგვს ხევში არ შეჰყვები?
ჩქერს არ ნახავ საკალმახოს?
დაბრუნდები ისე განა,
რომ არმაზი არა ნახო?

მყინვარის მთა არ იხილო?
თერგის წყალი არ დალიო?
მაშ, არ გინდა შენი გული
სიხარულით გადარიო?

ლიხის მთას არ გადაივლი?
ქვევრს არ მოხდი იმერეთში?
მაშ, გურიამ არ ჩაგძიროს
ხმა დაგრეხილ სიმღერებში?

აბა, მესხეთს მგზავრის დილა
ვარძიაში გაითენე,
ვეფხვთან შებმულ ვაჟკაცების
სიყვარული გაიხსენე.

გაიხსენე ავთანდილის
მეგობრისთვის თავდადება,
სად ძმობის და ტრფობის წიგნი
იწყება და არ თავდება.

გელათი და ნიკორწმინდა,
წინაპრების ღწვათა ძალა
ნახე, თუ გსურს ქვის სიმღერა
სულს ჩაგენთოს ნაღვერდალად.

თუ გსურს ფერთა უღრმეს ზღვაში
შორს გაგტყორცნოს გრძნობის აფრამ,
ჩვენი მხარის სანუკვარი
მთა და ბარი ნახე, მაგრამ

თუ თბილისს არ ესტუმრები,
მთაწმინდაზე თუ არ ახვალ,
მაშინ თითქოს არ ყოფილხარ,
საქართველო არ გინახავს.

და მერე თქვი —ვინ ვარ, რა ვარ,
სად მოვსულვარ, საით მივალ ,
სიახარულის დიდი ზღვა ვარ,
სიყვარულის რაინდი ვარ.

და თუ გინდა ჩემთან ძმობა,
ჰა, მობრძანდი, გულით გიწვევ,
რომ ქართული მასპინძლობაც
არასოდეს დაგავიწყდეს!..

1959 წ.

ახალი თბილისისათვის

აქ მეტეხი ბევრჯერ აქეს,
იქ — მთაწმინდა მაღალი,
მაგრამ თბილისს კვლავ სწყურია
პოეზია ახალი.
აღარ არის გულდამწვარი
ხმა დაფის და ნაღარის,
მოიმღერის ლაღად მტკვარი
შემოსილი ჭაღარით.
მოგრიალე ბულდოზერებს
გააქვს მიწა ნაყარი,
ისმის რკინის სპილოების
ხორთუმების ჯახანი;
აქ მოსულა მთელი ქართლი,
სამცხე, გუდამაყარი,
ყველა შრომას მოესწრაფის,
ვით ქორწილებს მაყარი,
ქვის და რკინის მოჩუქურთმე
რა ქვეყნის და რა მხარის,
და თბილისიც ახალ უბნებს
დედასავით დაჰხარის.
მტკვრის მოაჯირს გავუყვები
სანაპირო ბაღებით
და მეტეხის ახალ ხიდთან
გავალ, გავილაღები.
გავიხსენებ გალაკტიონს
მადათოვზე ნამღერებს,
ნარიყალას რიყის ქუჩებს
გრიშაშვილის ნაფერებს,
ლეონიძის ლექსის ჩინჩხლებს
გადმოფრქვეულს ბღუჯადა,

და თბილისის უღრუბლო ცას
მოლივლივეს ლურჯადა.
და მოგძახებთ, პოეტებო,
ქართლის ახალ დღეების,
ამ თბილისის აღშენებას
ახალ სიტყვით შეებით,
რომ შიგ ჩანდეს: მუშის მკლავით
დალეწილი კლდეები
და ღრუბლამდე აღმართული
თეთრი სასახლეები;
დღით მღელვარე და ღამითაც
მოსვენებას უჩვევი
ვთანდილის ისარივით
გასროლილი ქუჩები;
მტკვრის ტალღებზე გადაღვენთილ
ცისარტყელა ხიდებით,
ნაპირ-ნაპირ ხეივნები
მოზეიმე დიდებით.
მთაწმინდაზე ატყორცნილი
კოშკი ღრუბლის გამკვეთი,
ვით გაფრენა ვარსკვლავებში
კოსმიური რაკეტის;
ირგვლივ დინჯად მდგარი მთები
თაბორი თუ მახათა,
მზით დამწვარი მათი კალთა
დაქარგული ბაღადა;
ის მარჯვენა, ვინც თბილისი
ასე ვრცელი გახადა,
წერაქვით და საჭრეთელით
ქვა და რკინა დახატა;
ვინც შეჰხარის მზიან დღეთა
ნაშრომსა და მონაგარს,
წარსულის შუქს, აწმყოს ნათელს
და ბედნიერ მომავალს!..

1959 წ.

თბილისის ზღვაზე

თბილისის ზღვაზე ავხსენ ნავები,
დაბმულნი თითქოს დამნაშავენი...
ვერცხლის ტალღების ქსელში გავები,
მსურს ვისეირნო მზის დაწურვამდე...
შემდეგ ნაპირზე დავყო წამები,
ვიდრე ცის ცრემლით დავინამები;
ნიბლიასავით გავინაბები,
ღელვას შორიდან დავაყურადებ.
დაყუჩებული ზღვის თეთრ კალთაში,
ტალღები, როცა სივრცეს გადასჭრის,
ვით აფრენილი მტრედი ათასი,
თვალს წარიტაცებს ცის კიდურამდე,
და მთების მხრებზე, ცათა ლაჟვარდში,
ჩამოღვენთილი ცისკრის ბალახში
ნისლის ეკრანზე ნაზად გადაშლის
გუდიაშვილის წარმტაც სურათებს.
და მერე გვიან, როდესაც მთვარე
აღმობრწყინდება გომბორის მხარეს
და მომანათებს ნესტანის თვალებს,
მე შენი სახე მომელანდება,
და შენკენ სწრაფვა როს ამაჩქარებს,
როს მოვადგები თბილისის კარებს
და გადმოვხედავ მთებს, შემოგარენს,
თვალთაგან ბნელი გაიფანტება.
გადაიშლება ზღვა ცეცხლის ფერი
მღელვარე ურიცხვ ვარსკვლავთა ჩქერით,
მომესურვება იმისი ცქერით
მწვანე მდელოზე ღამის გათევა,
შორს გაფრინდება გული სიმღერით,
ცა შეირხევა, ვით სახლის ჭერი...
იმ სილამაზის, იმ ყველაფერის,
არ მოხერხდება ლექსში ჩატევა!..

1959 წ.

გიორგი ლეონიძეს

წარმოთქმული გიორგი ლეონიძის
საიუბილეო საღამოზე

როგორც არსენა ოძელაშვილი,
მკერდგანიერი და მხრებგაშლილი
პოეტი მოდის ვეფხვის მუხლითა,
მას ხალხის გულში უდგას ფესვები
და იფანტება მისი ლექსები
როგორც ფოთლები ველზე მუხისა.

მუხას ტოტები შორს გაუშლია,
მე ყურს ვუგდებდი მის ფოთოლთ შრიალს,
სიტყვის ქარები მთებით მოჰქროდნენ,
გულთ გამახარი, სულთა მპარავი;
და მისი წიგნი თუ ზღვა არ არი,
მაშ, შიგ ტალღები რად ბობოქრობენ?!

მაშ, რად გრიალებს მთათი ზვავები,
სიტყვის ბადეში რისთვის ვავები,
რატომ შეტოკდა გული ბუდეში?
რად დამაჯერა იმ სტრიქონებმა,
რომ ამაოა ყველა ქონება,
პოეზია კი — კაცის ნუგეში!

პატარა კენჭიც პატარძეულის
მის ჩუქურთმაში ოქროდ ქცეული
სამშობლოს დულაბს შემატებია,
არ არის სიტყვის რამ განძეული
მისგან არ იყოს არ დაძლეული,
მის ხელში ქვანიც ღალადდებიან.

დაე ტოტები ველზე მუხისა
არ შეკრთომოდეს ქარს და ქუხილსა,
კვლავ მის ფოთოლთა გვესმას შრიალი,
არ დაიქანცო მგოსნის ჯალამო,
უნდა სიმღერით კვლავ გვიალამო,
გვზარდო სამშობლო-ქვეყნის ტრფიალით!

გულის სიღრმეში გიძევს მქუხარი
ლექსის ზოდები დაუდუღარი
და მის ღვენთაში გაჭაღარავდი,
შენ პოეზიის ცხელო ბუხარო,
ქართველ ხალხს გული რომ გაუხარო,
კვლავ იჩხრიალე, როგორც არაგვი.

რომ შენი სიტყვის ტალღათა გზნებით
იყო მომავლის გზათა გამგნები,
ხან გულის წყლულთა დამაყუჩები,
სულის სიღრმე რომ გაგვინათელო;
აბა ვინ დასძლევს იმ საქართველოს,
ვისაც შენგვარი უდგას ბურჯები.

უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე
სამოცი წელი განა დიდია?
გულის კარების სიმთა ლარები
ოქროს ბწკარებით ხალხს მიგინდვია,
შენი სამშობლოს სიყვარულისთვის
ველად გაჭრილხარ, გაგიმინდვრია,
სიტყვა ფრთიანო, კვლავ გეხმიანოს
როგორც ქართული ლექსის მინდია!

1959 წ.

ფიქრები გალაკტიონზე

გალაკტიონი ისე დიდია,
მისი ხმა კლდეებს ზვავად ჰკიდია,
იგი პარნასის მეხთამრიდია,
მუზები მასთან ლოცვად მიდიან.

ჯერ აღმართულა მაღლა მთებურად,
გრიგალს არასდროს დარიდებულა,
მერე დამდნარა, როგორც მანანა
და ხალხის გულში ჩარიგებულა.

ჩემს ბალღობაში მისი ჰანგები
დამქუხარებდა ქართლის ველებზე;
ახლა მის კუბოს მთაწმინდის ბაღში
ლურჯა ცხენები მიასვენებენ.

ბარათაშვილის აკლდამის კარებს
შეაღღარუნებს ვაჟკაცურ ხმითა;
ბოროტი ხალხის გასაკიცხავად
იგი სიკვდილსაც არ დაერიდა.

აღანთო სული, დაფერფლა გული, —
ო, იყოს კრული ყველა იაგო! —
მან ლექსის ფრთებით ღრუბლებს გაასწრო
და დაიქუხა საგანთიადოდ!

1959 წ.

შალვა დადიანის გარდაცვალებაზე

ქართლის ველზე მუხად მდგარო,
ღვაწლმოსილო, ამაგდარო,
საუკუნის მწვერვალიდან
ირემივით გადმოდგარო,
ეგ ჭაღარა თითქოს გავდა
მყინვარებზე თოვლის ცვენას
და სიცოცხლის ხოტბას ჰქმნიდა
ყველგან შენი გამოჩენა.

დღეს მორღვეულ მთის ზვავივით
კუბოს წევხარ, მშვიდად გძინავს,
შენს თვალებში მზე ბუდობდა,
ბნელი როგორ დაგეფინა?
შავ სიკვდილმა ვით გაჯობა,
ვით დადუმდა თაფლის ენა?
მაგრამ, ალბათ, მუხაც ვერ ძლევს
მუდამ მეხის გადარბენას.

საქართველოს ეშხი იყავ,
გულუხვობის მაგალითი,
მშობელ ერის სადიდებლად
ჭირსა შიგან არ დამრიდი;
მამასავით თავს გვადექი,
ბევრჯერ ჩრდილი აგვარიდე,
შენი კალმის შუქის ხვავით
გაგვზარდე და გაგვამდიდრე.

ხალხის გულის ნაპერწკლიდან
ანთებულო ცეცხლის ალო,
შენი ქვეყნის სამსახურად
დალვენთილო ნალვერდალო,

ვით მოძღვარი, ვით მგოსანი
ხალხს მიაჩნდი თვალის ჩინად,
მათი გული მხოლოდ შენ ერთს
ფიანდაზად გაგეფინა.

მთაწმინდაზე ჰპოვე ბინა,
ილიასთან, აკაკისთან,
ჭაპანს სწევდი, რაც მათ ხსოვნამ
და სამშობლომ დაგაკისრა;
აწ მათ გვერდით განისვენებ
უკვდავების მდუმარ ფრთებზე,
სადაც ჩვენი წინაპრები
საფლავიდანც ანათებენ!..

1959 წ.

მაჩაბლის ქუჩა

მაჩაბლის ქუჩა, მწერლების ქუჩა
და პოეზიის გზა წინ სავალი;
მივდივარ ჩემთვის ჩუმად და ყუჩად,
გზად პოეტები მხვდება მრავალი:
და ყველა ფიქრობს: მხოლოდ ის არის
დიდი რუსთველის შთამომავალი...

1959 წ.

ჩემეული სონეტები

* *

შენა ხარ ჩემი სიხარულის მახარობელი,
გულში ჩარკინულ ყინულების გამალხობელი;
რა შორს იყავი და ყოფილხარ რა მახლობელი,
შენ დამიბრუნე დაგმობილი წუთისოფელი.

ჩემი თვალები, სიხარულის ცრემლით სოველი,
შენი მშვენების არის მხოლოდ ცქერის მთხოველი,
შენ ჩემი ლოცვის ტაძარი ხარ — სვეტიცხოველი
და მე, მგოსანი, განახლებას შენით მოველი.

თუნდა აბორგდეს ბოროტების ძალი ყოველი,
ვერღა გამხადონ დიდებისა ჩემის მგლოველი,
რადგან იქნება ჩემს წინ გზებზე ბნელის მქრობელი
შენი თვალები — სიყვარულის შუქთა მთოველი.

შენა ხარ ჩემი სიხარულის მახარობელი
და მე, მგოსანი, განახლებას შენით მოველი.

• •

მე შენს საუბარს ყურს ვუგდებდი, როგორც გალობას,
და გულს მიგზნებდა შენი სულის შეუმკრთალობა;
ქვეყნის გამგებელს მე ვწირავდი გულით მადლობას,
რომ შენს მახლობლად მყუდროება მე მიწყალობა.

მიმოვდიოდით ველთა შინა ფიქრთ გასანდობლად,
თავს გვევლებოდა ქართლის მთების ფერთა მრავლობა,
სმენას გვიტკბობდა ჩანჩქერების მუსიკალობა
და ტკბილ სიცოცხლეს ხარბად ვსავმდით ტრფობის წყაროდან.

შენსა მჭვრეტელსა გულს რად უნდა მეტი წამლობა,
ხომ შთააგონე სიყვარულის იდუმალობა?
შენი მშვენება მსურს შთავბერო ლექსს აღმავლობად,
რომ მისი ხილვით კვლავაც დატკბეს შთამომავლობა.

მე შენს საუბარს ყურს ვუგდებდი, როგორც გალობას,
და ტკბილ სიცოცხლეს ხარბად ვსვამდით ტრფობის წყაროდან.

* *

შენს შესახვედრად რა არ ვცადე, რა არ ვიღონე,
ისე წახველი შენი ხმაც კი ვერ გავიგონე,
ვიყავ მდიდარი, უცებ გავხდი მე არრას მქონე,
დავრჩი მინდორში — წვიმისაგან ჩამქრალი თონე.

თუ წასვლა გსურდა, გული ჩემი რად დაიმონე?
რად მომიძღვნიდი ნაზ ყვავილთა ცრემლიან კონებს?
ჯერ მიმიზიდე, სიყვარული გულს მომიფონე,
შემდეგ კი სევდა ჩამოჩრდილე ლექსთა სტრიქონებს.

გულს, მარტოდ შთენილს, ნუგეში რამ ვერ შევაგონე,
გემუდარები, დაბრუნებას ნუ დააყოვნებ;
შენს თვალთა შუქთა კვლავად ხილვას მე ვიმედოვნებ,
რომ ჩემს სიცოცხლეს შეემატოს მეტი ძალ-ღონე.

შენს შესახვედრად რა არ ვცადე, რა არ ვიღონე...
შემდეგ კი სევდა ჩამოჩრდილე ლექსთა სტრიქონებს,

• •

შენი შეხვედრით გული ჩემი ისევ გალაღდა,
ფრთები შეესხა და მიილტვის ცხრა მთის გადაღმა;
მინდიასავით ვესაუბრე მინდვრად ბალახთა
და ვიგრძენ — ჩემში სიჭაბუკე როგორ განახლდა.

უშენოდ ჩემს სულს ნაპერწკლების შუქიც არ ახლდა,
ლამის ეს გული დაიბრიყვა დარდმა ვაგლახმა;
ახლა აზღვავდა, გაიშალა, გამიამაყდა,
და დაივიწყა განსაცდელი, რაც რამ გადახდა.

ჩვენი ტრფიალის თვით განგება არის თანახმა,
სიცოცხლედ მიღირს შენი თუნდაც ერთხელ დანახვა,
და რადგან ვხედავ, შენს სახელზე ლექსი ამაღლდა,
იქნება შევძლო პოეზიის ვალის გადახდა.

შენი შეხვედრით გული ჩემი ისევ გალაღდა
და დაივიწყა განსაცდელი, რაც რამ გადახდა!

* *

მატარებელი რომ დაიძრა და დავრჩი მარტო,
გაოგნებული გავცქეროდი შორეულ ტატნობს;
იდუმალი ხმით გულს ჩავკითხე: წავიდა რატომ?
მაგრამ მიზეზი შენმა ლანდმა ვით განმიმარტოს!

მე ჩუმად მოველ, რომ შორიდან შენახე სატრფო,
ვფიქრობდი, ხილვამ იქნებ დარდი შორს გამიფანტოს,
ხმა რად არ გამეც, ხომ არ ვიყავ მოსული სამტროდ?
რად მრისხანებდნენ თვალნი შენნი — ესოდენ სათნო?!

შენს მოლოდინში თვალთა ჩემთა ცრემლები ალტობს,
და შენს ცისიერ შემოხედვას ისევე ვნატრობ,
მსურს შენი სახე შთაგონებად გულს ჩავიხატო,
რომ ჩემს სიმღერებს ნათელშუქი შემოემატოს.

მატარებელი რომ დაიძრა და დავრჩი მარტო,
რად მრისხანებდნენ თვალნი შენნი — ესოდენ სათნო?!

• •

ჩემი ცხოვრება სულ ბრძოლების გზით მაქვს გავლილი,
ბედის ყორანთან შეყივლების ხმით ვარ დაღლილი;
ზოგჯერ ტალღა ვარ, ქარისაგან კლდეზე დახლილი,
ზოგჯერ აღმაფრენს სიხარული — ცრემლში გაცვლილი.

ვეფხის ტყავი ვარ, რუსთაველის წიგნად გაშლილი,
მშვილდ-ისარი ვარ, ავთანდილის ხელით გათლილი,
აზარფეშა ვარ, ღვინით სავსე, ჯერ არ დაცლილი,
საუკუნე ვარ, წუთ-წამების ისრით დათვლილი.

მყინვარის მთა ვარ, მწვერვალი მაქვს გადათოვლილი,
და ცისარტყელა გვირგვინად მაქვს შუბლს შემოვლილი,
კალთებს მიმშვენებს გაზაფხული — მკერდშეფოთლილი,
მაგრამ უშენოდ გულს სევდა მაქვს შემოწოლილი.

ჩემი ცხოვრება სულ ბრძოლების გზით მაქვს გავლილი,
საუკუნე ვარ, წუთ-წამების ისრით დათვლილი.

* *

შენს მოლოდინში გული ჩემი თრთის და კანკალებს...
მსასოვარო, შარტოობის სევდა მაკმარე;
მინდა ჩემს ახლოს ხშირად ვმზერდე შენს ფერხთ ნაკვალევს,
რომელსაც ახლოს ცივ ნიავსაც არ მივაკარებ.

გზისაკენ ცქერით თვალნი ჩემი უღვთოდ დავღალე,
რა ვქნა, გულიდან შავღრუბელი ვერ გადავყარე,
გამოჩნდი ბარემ, სულს ცრემლების ხუნდი აჰყარე
და სიჭაბუკის სიმღერები კვლავ შემაყვარე.

ჩემო ტრფიალო, მო, ჩემს გულში დაესახლკარე,
რომ ჩვენი ხვედრით იამაყოს სამშობლო მხარემ;
ხედავ, იქ ბნელში ბელზებელი როგორ ხარხარებს?
გემუდარები, მტერთა ჩემთა ნუ გაახარებ!

შენს მოლოდინში გული ჩემი თრთის და კანკალებს...
გზისაკენ ცქერით თვალნი ჩემი უღვთოდ დავღალე,
ჩემო ტრფიალო, მო, ჩემს გულში დაესახლკარე!

* *

ისევ წახველი?.. რა გამიხდა შენი წაღვერი!..
ისევ ამავსე გამოუცნობ ხევდა-ნაღველით;
სიყვარულის წილ დარდი გახდი, სულის დამღლელი,
მზე ზენიტს მდგარი—ჰორიზონტზე ღრუბლად დახველი.

თუმც მეშინია ლექსისათვის ამის გამხელის,
რათა არ შედრკეს რწმენა ყრმობით შეულახველი,
რომ პოეზიას არ შეეხოს ხელი მსახვრელი
და აღარ გახდეს ხალხი ჩემი ჩანგის მძრახველი.

მაგრამ კალამზე მაინც ბრწყინავს შენი სახელი,
ცხოვრების ჩემის მოულოდნელ თვალისამხელი,
ჩემი სიმღერის წლებს გადაღმა გადამძახველი,
ვის მშვენებასაც ვერ შებღალავს მტერი ავხელი.

ისევ წახველი?.. რა გამიხდა შენი წაღვერი!..
თუმც მეშინია ლექსისათვის ამის გამხელის,
მაგრამ კალამზე მაინც ბრწყინავს შენი სახელი.

* *

მე განა ისე უნდა მოვკვდე, შენ ვერ გიხილო?
და შენმა ბაგემ ტკბილად ერთხელ არ გამიღიმოს?
შენ ჩემი ბაღის ყვავილნარის თეთრო ღიღილო,
მსურს შენს ფოთლებ ქვეშ სიყვარულზე სულ ვიღიღინო.

გინდა ჩემს ცაზე მარტო ელვად გადაირბინო?
წამწამთა ისრით მოყმე გული რომ გამიგმირო?
ჩემს აზვირთებულ ოცნებათა ოქროს გვირგვინო,
შენმა მნატვრელმა ჩუმი ოხვრით სანამ ვიგმინო?!

რად დამინისლე ვაჟკაცური სიმღერის კილო?
რად არ მოელტვი შენგან დამწვარ გულს მომიჩრდილო?
კვლავ შენი ღვიძლი შორს რად გყავარ, როგორც ინგილო,
ნუთუ ჩემს ახლოს გაზაფხულმა არ დაიგრგვინოს?!

მე განა ისე უნდა მოვკვდე, შენ ვერ გიხილო?
შენმა მნატვრელმა ჩუმი ოხვრით სანამ ვიგმინო!?

1959 წ.

* *

მე შენს დღეობას ვერასოდეს ვერ დავესწარი
და გულს ამიტომ დამეფარა მწუხრის ზეწარი;
ჩემი ლექსების სალამური შენზე მკვნესარი
გულმორეულმა გადავტეხე, აი, ეს არი.

რად მინდა სატრფო ქაჯეთს მყოფი, როგორც ნესტანი,
ან ბაღის ვარდი, თუ მის გაშლას ვერ მოვესწარი?
ტკბილო ფუტკარო, თაფლის ნაცვლად გულს მკარ ნესტარი
და გადიკარგე ცხრა მთას იქით, ვით დაღესტანი.

ჩააქრე ჩემი ამა ქვეყნის ნათელ მიზანი,
სიხარულის წილ მომაფინე გულს გლოვის ზარი,
არ მიწკრიალებს ძველებურად ლექსის ეჟვანი
და ვეღარ ვარჩევ, სიმღერა მფლობს თუ კაეშანი!..

მე შენს დღეობას ვერასოდეს ვერ დავესწარი
და გადიკარგე ცხრა მთას იქით, ვით დაღესტანი!

1960 წ.

* *

რამდენი ხანი შენს სახელზე არ მიმღერია,
თითქოს დავბერდი, თმაში თოვლი გამომერია;
შენი ლანდის წინ გულს ძალუმად კვლავ უძგერია,
სიყვარულს ჩემსას, ვგრძნობ, დაღუპვა არ უწერია.

შენი გულის ხმას ჩემს ყურამდე ფრთა უწევია,
ბაგემღიმარი შენი სახეც სიზმრად მწვევია;
სულში რამდენი ქარიშხალი დამიმწყვდევია,
დავეცი, მაგრამ ჯერ სიკვდილი ვერ დამწევია!..

წინ ნათლით სავსე გზა სავალი კიდევ ბევრია,
ფიანდაზივით გადაშლილი მთა თუ ტევრია;
ვისწრაფვი შენკენ, გული მკერდში ვერ დამტევია,
შენზე ლოცვაში ღამეებიც გამითევია...

რამდენი ხანი შენს სახელზე არ მიმღერია,
დავეცი, მაგრამ ჯერ სიკვდილი ვერ დამწევია!..

1966 წ.

• •

როდესაც გულზე სევდის ნისლი შემომაწვება,
 გავისეირნებ მთის კალთებზე მაღალ ნაძვებთან;
მიდამოს ხილვით თვალთა სფერო როცა ნათლდება,
წინ შენი ტანი ქანდაკივით აილანდება.

გადაიარა მღელვარებამ გულზე რამდენმა,
მაგრამ სიმღერამ სხივებისამ სევდა განდევნა;
მზე ჩაეშვება, სულში მაინც არ დაღამდება,
ვგრძნობ, შენზე ლოცვით ტკივილები დამიამდება...

თუმც ზოგჯერ ეჭვი ულმობელი გულში ავდება,
გზა გატყორცნილი მომავლისკენ თითქოს თავდება,
ირგვლივ ყოველი ღამეული ფერით შავდება,
მაგრამ იმედი ჭმუნვას ჩემსას გაუმკლავდება.

როდესაც გულზე სევდის ნისლი შემომაწვება,
ვგრძნობ, შენზე ლოცვით ტკივილები დამიამდება...

1966 წ.

ფოთელ მეგობრებთან

ექსპრომტი

ქვეყნად ხომ ბევრი არის ლამაზი,
მაგრამ თუ შეგხვდა ქალი ფოთელი,
გულს დაგისერავს თვალთა ალმასით,
ვერ გაშორდები შეუშფოთველი.

და ახლა მივხვდი, ვაქკაც იაზონს
რად მოუწევდა გული აქეთკენ;
მე მსურს მგოსნური რამ მოვიაზრო,
მათ სილამაზეს ლექსით ვაქებდე.

კალმით მოვეჭრე კოლხეთის ედემს,
ნაპირს მოვაგდო გულის ხომალდი,
ისე მოვტაცო ერთი მედეა,
არ მივიყვანო საქმე ომამდი.

რომ მეც ვეტრფოდე იმ მზესახიანს,
ისიც შუქს ჰფენდეს ჩემს ძველ ნაფუზარს;
თქვით: ყაჩაღობა რა საძრახია,
თუ სიყვარული უდევს საფუძვლად?!

და დღეს ამ გრძნობას, ტალღად მოხეთქილს,
თქვენ წინ ავანთებ სავსე ჭიქითა,
მე სიყვარულით მოველ კოლხეთში
და სიყვარული მიმაქვს იქიდან!

1959 წ.

თბილისი

საზეიმოდ თქმული

თბილისი, ჩვენი თბილისი,
ჩემი, შენი და იმისიც,
ვინც დასანგრევად მოვარდნილ
მტერს შეერკინა პირისპირ.

ვინც მისი ძალა იწამა,
იშრომ-იბრძოლა, იწვალა,
და მერე მკერდში ჩაიკრა
დედაქალაქის მიწამა.

იმისი სული აქ არი,
ლოდებქვეშ მიუსაფარი,
ხედავს, სიცოცხლედ ქცეულა
მისი ოცნების ზღაპარი.

ხედავს თბილისის კიდეგანს
გაშლილს, გატყორცნილს ველებზე,
წინსვლას, შენებას, ზეაღსვლას
ჟამთასვლით შეუჩერებელს.

და უცებ გაცისკროვნდება
თვალწინ იმ დღეთა აისი,
როცა პირველად დაერქვა
თბილისს სახელი თავისი.

როს აფრენილი ორღობით
ფრთანაისრალი ხოხობი
მეფეს ანიშნებს თბილ წყაროს
ირგვლივ კლდეებით მოღობილს.

მეფე გულდინჯად აღმოთქვამს:
„ამ ალაგს იყავნ ქალაქი!..“
და გადმოზიდეს მცხეთიდან
მთელი სატახტო ალაფი.

მას შემდეგ დრონი წასულან,
ბევრ ღვართქაფს გადაუვლია,
ხან ცრემლებს გადაურეცხავს,
ხან ავდარს დაუღრუბლია.

მაგრამ ცეცხლსა და გრიგალში
მაინც კლდედ იდგა თბილისი,
ის — საქართველოს სიცოცხლე,
მისი რწმენა და სინდისი.

მტერს ხომ მრავალჯერ უნდოდა
უფსკრულში გადავერეკეთ,
მაგრამ მგელმუხლა ვახტანგი,
მაგრამ ბერმუხა ერეკლე

გალომებული ხვდებოდნენ,
იყო რკენა და განგაში...
ხმალი მტრის სისხლის გარეშე
არ ჩაუგიათ ქარქაშში.

ცხრა ძმას თუ სამას არაგველს
გულზე ვერ გადააბიჯეს,
საკუთარ მკერდით გარაგვეს
თბილისის ყველა კარიბჭე.

კიდევ რამდენი ჭაბუკი
იქ დაცემულა გმირულად,
მათი ძვალ-სისხლით თბილისის
ზღუდენი ამოკირულა.

ახლა ხსოვნაშიც ქრებიან
ის ავბედითი დღეები;
ირგვლივ მთებს გასჯიბრებია
შუქსავსე სასახლეები.

მღელვარე ფოთოლ შრიალით
ზღვას ეცილება ბაღები;
შვენის ქარხნების გუმბათებს
თეთრ ნისლთა ბაირაღები.

ხომალდებივით მტკვრის ტალღებს
მიარღვევს ხიდთა ბურჯები;
ავტომობილთა ქარავნებს
გაუტაცნია ქუჩები.

ლამპიონების ლაშქარნი
ჩანან ვარსკვლავთა კრებულად,
ყოველი სახლის სარკმელში
ცისკარი დაბუდებულა.

გამქრალან სირაჯხანები,
ძველი ზურნა და დაფები,
ქუჩები გადაუქარგავს
ყვავილნარებს და ქვაფენილს.

თვით ნარიყალას ნანგრევიც
მზეს გრძნობს ახალი ძალისას,
მტკვარს გადმოჰყურებს მეტეხი —
მიმინო გორგასალისა.

აღმაშენებლის მხრებივით
აღზევებულა მთაწმინდა,
ბარათაშვილის ფიქრები
ზედ რომ ცრემლებად აწვიმდა.

იქ კვიპაროსებს ალაღებს
კოჯრის ნიავი ფრთამალი
და შუბლს უმშვენებს სასახლე,
როგორც გვირგვინი თამარის.

სადა ხართ ჩინგის-ხანებო,
ამაყნო, გულავზნიანნო,
თქვენ მიწა-მტვერად იქეცით,
თბილისი ისევ მზიანობს.

ისევ წინ მიდის უშიშრად,
სხივს აფენს ნარიყალასა,
ერთ მკლავს ძველ მცხეთას გადახვევს,
მეორეს — რუსთავ-ქალაქსა.

გულში მის ხოტბას ვისახავ
მისი მშვენებით მდიდარი,
მე მაშინ ვცხოვრობ, როცა ის
ათას ხუთასი წლის არი.

როცა მის ცაზე სხვა მზეა,
სხვა შუქგიზგიზა დარები,
მოყვრისთვის მუდამ კარღია,
მტრისთვის ხელმიუკარები.

და მეც მის მკერდზე სიმღერით
ამაყად დავიარები,
აგურად შემატებოდეს
მაა [illegible] ლექსის პწკარები!

1958 წ.

არაგვის სიმღერა

მე ამ მთებივით მშვიდი როდი ვარ,
მტკვართან ტალღების ფრთებით მოვდივარ,
ზღვის გულს შევერთო მინდა,
ცად ავიზიდო თოვლისფერ ნისლად,
შევეხმიანო პირველად ცისკარს,
ჩამოვეპკურო მინდვრად.
ჩემით ხარობდეს მწვანე ჯეჯილი,
ზოგჯერ ქარისგან ფრთებდაგლეჯილი,
ზოგჯერ მღელვარე ლხენით;
ხან თოვლად მთის მწვერვალებზე,
ხან წყაროებად მოვჩხრიალებდე,
ვერ მაკავებდეს კლდენი.
ხან ოფლი ვიყო, მიწას მაპკურონ,
ხან ცრემლად ვიქცე, გული განვკურნო,
ხანაც სიმღერად ვჩქერდე,
ყოველ ნაბიჯზე სიყვარულს ვთესდე,
უქმად იყოო, არა თქვან ჩემზე
ჩემი სიცოცხლის შემდეგ.
თუმც მე სიკვდილი არ მიწერია,
ხან ყვავილი ვარ, ხან ტყის ფერია,
ხანაც ვარსკვლავად ვკრთები,
მიპყრობს სიცოცხლის ზეაღმაფრენა,
ვიცი ყოველი სულდგმულის ენა,
იდუმალება მთების.
და ვიდრე მტკვარი იქუხებს ქვეყნად,
არ შევუდრკები კლდეებთან შეხლას,
არ შევანელებ დენას;
ასეთი იყო, ასეთი არის
ჩემი ტრფიალი სამშობლო მხარის,
ჩემი გული და რწმენა!

1958 წ.

ნაჩუქარ წიგნის პასუხად

„ლუშასპე და რიცა...
ლურჯი ავადპარა...
მოხვალ? ალბათ — არა!“

ანა კალანდაძე

ანა, შენი ლექსის ნანამ
მე ცათამდი ამიყვანა,
ფრთა შემასხა ქარიშხლისა
და ვერ გიგრძნობს გული განა,
რომ ჩემს სულში შემოიჭერ
ამოუხსნელ გამოცანად?!

გამოგგზავნა ქვეყნად ცამან,
თუ მიწაზე იად მოხველ?
მეპკურები ხან ცის ნამად,
ხან გულს აგზნებ მეამბოხედ.

შენი ფიქრი მკერდით დამაქვს,
ჩამეგუბე გულში სევდად,
სიყვარულზე მეტი რა მაქვს,
შენთვის ძღვნად როს გამებედა?

ხელთ ავიღებ შენ წიგნს ოდეს,
ვარსკვლავები ახლო ჩანან,
წყარო ხევში უნდა რბოდეს,
სიყვარული — გულთა თანა...
იქ, რიცასთან დამელოდე,
მე უთუოდ მოვალ, ანა!

1957 წ.

* *

მოგიახლოვდე? ვაითუ ჩაქრეს
ცეცხლი, შენგან რომ გულზე მედება,
ვაითუ დასწყდეს ჩონგურს სიმები,
ადრე გათავდეს შემოქმედება.

შორს ვიყო? მაშინ როგორ გავუძლო
შენს ნატვრას, ფიქრს და სულის წვალებას?
როგორ გავკაფო პოეზიის გზა,
თუ არ მინათეს შენმა თვალებმა?!

მაშ რა ექნა, მითხარ! მოვკვდე და მაშინ
მღელვარე გულის ცეცხლი ჩაქრება?
მე ხომ სიცოცხლის მომღერალი ვარ
და ჩემთან სიკვდილს რა ესაქმება!

მე ხომ ცხოვრების ღელვას ვესწრაფვი,
მსურს გრიგალს გული არ მოვარიდო,
მე ხომ იმიტომ მოვილტვი შენკენ,
რომ სიყვარულის ძალა ვადიდო?!

არა! სჯობს ისევ შორი ტრფიალით
შთამაგონებდე ლექსს და სიმღერას, —
ხომ იცი, მთვარე მზეს რომ შორდება,
მაშინ ანათებს უფრო ძლიერად!

1956 წ.

* *

ჯეირანი ხარ, თუ ალვის ხეებს
გაშლილ მინდორზე გააქვს შრიალი?
განახე, დავკარგე სულის სიმშვიდე,
გული გამიხდა ქარიშხლიანი.

გემუდარები, ნუ გამიფრთხები,
ნუ გახდი ჩემს გზას ბნელს და ჩრდილიანს,
თუ უმშვიდობო სულს შეიყვარებ,
თუ ქარიშხალის არ გეშინია.

მოდი, ამავსე შენი მშვენებით,
ნამდვილ სიცოცხლის ვიგრძნოთ დიდება,
თორემ თავისი დრო აქვს სიყვარულს
და სიჭაბუკე გაგვიფრინდება!..

1956 წ.

* *

მაგ თვალების ისრით დამკრი,
წახვალ, გაუჩინარდები...
და ჩემს წუხილს სიოს ენით
ჩურჩულებენ ჩინარები.

ვერც ვერავის ვუმხელ სევდას,
არც არავინ მაიმედებს,
და შენც ერთი ტკბილი სიტყვა
ჩემთვის აღარ გაიმეტე.

ბევრჯერ მინდა ლექსი გითხრა,
მუნჯი ვხდები შენს მახლობლად,
ყველა სიტყვა გულში რჩება
რაც მაქვს შენდა შესამკობლად.

თუმც უტყვია სიყვარული,
ჩუმი — თოვლის ფიფქის მსგავსად,
წამწამების ოდნავ რხევით
რომ გააბამს საუბარსა.

მე შენს თვალებს ბნელში ვუცდი,
სად გაფრინდი თეთრი მტრედი?
მოდი, მთვარედ მომიშუქდი,
ცისკარივით გამითენდი.

თორემ მეტი მოლოდინი,
ეჭვი, ძნელად ასატანი,
გულს გადაწვავს და ჩაქრება
სიყვარულის ჩირაღდანი!..

1956 წ.

• •

I

იმ ღამეს ნამდვილ ანგელოზს ჰგავდი,
მეგონე მართლა წმინდა მარიამ,
შენი თვალების შუქისგან დავდნი,
მას შემდეგ აღარ გამიხარია.

ეს მოჩვენება გადმექცა მწუხრად,
უეცარ ხილვით სულ გავიწირე,
შემომასია ფიქრები უხვად,
და მთელი ღამე ვერ დავიძინე.

რა ვქნა, არ მინდა შეგხვდე სრულებით.
უშენობასაც თუმც ვეღარ ვითმენ,
ჩუმად თავისთავს ვეჩურჩულები
შენს მშვენებაზე აწყობილ რითმებს.

განთიადს მოჰგავს შენი სიცილი,
რკინაც გალღვება მაგ მწველ თვალებზე.
ან მე არ ვიყო, ანდა ისინი,
ან ამნაირად არ მაწვალებდნენ.

მე რომ შემეძლოს ქვათა ღაღადი,
ან გადაქცევა ძეგლთა ხელოსნად, —
მარმარილოში გამოგსახავდი,
კაცობრიობას ზედ რომ ელოცა,

ფარვანასავით მუდამ ცეცხლს ვეძებ,
გული უშენოდ მუდამ ღონდება,
იმ ღამის ხილვის წაშლა ვერ შევძელ,
ნუთუ არასდროს განმეორდება?

1956 წ.

• •

ისევ იმ ცეცხლით მანთებ ყოველთვის,
რითაც მანთებდი სიჟაბუკეში,
კვლავ ჩემი გული შენკენ მოელტვის,
შენა ხარ ჩემი ლექსის ნუგეში.

სულში მინთიხარ ჩაუქრობ ალად,
მაგრამ შორი-შორს ყოფნა ძნელია;
შენი თვალები ოდნავ შემკრთალან,
ჩემთვის კი მაინც ისევ მწველია.

და იმგვარ სევდას თუ შემომისევ,
სიჟაბუკეში რამც შემაწუხა,
გაივლის დრო და იმღერებ ისევ
ჩემ ლექსს დაკარგულ ტრფობის პასუხად.

მაგრამ ეს გვიან იქნება მაშინ
და ჩემი გული, ლაღი და წრფელი,
ჩაიძირება ცხოვრების ზღვაში
და მისი პოვნა გახდება ძნელი.

და სანამ დროა გულის დუღილის,
სანამ სიბერე კიდევ შორს არი,
გადმომაშუქე ცისკრის ღიმილი,
კვლავ ამამღერე შენი მგოსანი!

1956 წ.

კვლავ ჩემი მზე ხარ

კვლავ ჩემი მზე ხარ, ციცინათელა,
ჩემს სათნო გულზე ძარღვად მიკრულო,
ცხოვრებამ ჯერედ არ გამათენა,
მაინც არ მინდა ღამედ მიგულვო.

ყველას თავისი გზა აქვს ამქვეყნად,
მე ჩემს ბილიკებს წყნარად მივყვები;
მათ დიდებაზე იწყებენ კვეხნას
თვის სიცოცხლეში მხოლოდ ბრიყვები.

ბევრის გზა ზიზღით დასაგმობია,
ბევრს შეუგინეს კიდეც საფლავი;
მზით განათებულ მთვარეს სჯობია
საკუთარ სხივის მქონე ვარსკვლავი;

ისევ აღვსდექი, ისევ მხნედა ვარ,
გადმომაფარეს მუზებმა კალთა,
და ღრუბელთ ქროლვის მიუხედავად
თვალწინ ნათელი მზე აღიმართა.

ისევ მივაგენ გულწრფელ სიმღერას,
თავზე მეხვევა მერცხლების გუნდი;
მაშ, გაუმარჯოს მშობლიურ კერას,
რომელსაც ახლა მე დავუბრუნდი!

1956 წ.

მშობლიურ სოფელში

დღეს ვნახე ჩემი სოფელი,
გულში ბავშვობა·განახლდა;
მოგონებებით ამავსო
მშობლიურ მთების დანახვამ.

ისევ ის წყარო ჩუხჩუხა
და მუხა ტოტებდახრილი,
ისევ ის მწვანე მინდორი,
ჩვენი სირბილით დაღლილი.

აქ ძმებად მყავდნენ ტოლები —
გოგი, გიო და აკაკი...
სადა ხართ, ნორჩო ბიჭებო,
ჩემი სასკოლო ასაკის?

ის ჩვენი სკოლა ისევ დგას
იმავ ბუხრით და სხვენითა,
სად ავეღურტულდით პირველად
გოგებაშვილის ენითა.

ისევ ის ზარი, ის დაფა,
თქვენ კი არც ერთი არა ხართ,
სულ სხვა თაობა მოსულა,
აღგაფრენთ მათი დანახვა.

ის კარგი გოგო სად არის,
ყველას რომ ჩუმად გვიყვარდა,
ქვეყნად რომ უფრო ძვირფასი
არვინ გვეგონა მის გარდა.

რამდენ ფიქრსა და ოცნებას
გულში სათუთად ვმალავდით,
როგორი თრთოლვით დავწერეთ
მისი პირველი ბარათი.

მას შემდეგ ჩვენმა ცხოვრებამ
ბევრი კლდე გადაიარა,
ხან სიხარული გვარგუნა,
ხან ცრემლებს დაგვაზიარა.

ბევრი რამ ვნახე მეც ქვეყნად
მთაც ბევრი გადამილახავს,
მაგრამ ბავშვობის სადარი
მე არაფერი მინახავს!..

1956 წ.

ეპიტაფია

აი, ახლა, ჩემს საფლავთან
რომ დამდგარხარ, ახალგაზრდა,
სიცოცხლეში მეც შენსავით
მწარე ფიქრი გულს მიკლავდა.

მეც შენსავით სიყვარული
მაწვალებდა, მაეჭვებდა,
ხან მაისად გამფურჩქნიდა,
ხან ცრემლებით ამავსებდა.

ზოგჯერ მტრის გუნდს შევებმოდი,
ვმორჩილებდი ზოგჯერ სულელს,
მაგრამ ქვეყნად ჩემი ვალი
მაინც წმინდად შევასრულე.

არც არავის ვუღალატე,
არც არავის დავემონე,
ვისაც ჩემი სიტყვა სწამდა,
სიყვარული ჩავაგონე.

მე იმიტომ ვიქეც მიწად,
ცრემლი მიტომ დამეყარა,
რომ ქვეყნად შენ მოსულიყავ,
შენს სიცოცხლეს გაეხარა.

და თუ გინდა მიზანს მიწვდე,
ცხოვრების გზა გაგიმარჯვდეს,
სიძულვილის დასამხობად
სიყვარული მოიმარჯვე.

შენი ქვეყნის სიავკარგე
გაფიქრებდეს შინ და გარეთ,
თუნდ პატარა კენჭი გქონდეს,
ისიც მამულს მოახმარე!

1956 წ.

დგას პარტია მტერთა მძლევი

გაზაფხულის შუქ-ნათელი ეფინება ქვეყნის კარებს,
კომუნიზმის დიადი მზე ბნელს მუსრავს და ასამარებს.

ჩვენი ქვეყნის დიდი დროშა სულ მაღლა და სულ წინ არი,
მისი ბრწყინვა არის ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

ქართველ ხალხის აღმაფრენაც აიკინძა უკვდავ ხმებად,
შიგ მომავლის უფრო დიდი გამარჯვება ისახება.

სხვა ფერები ამკობს მინდვრებს, სხვა სიმწვანე მოსავს ვაზებს,
სხვა იქნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და სილამაზე.

კვლავ მაღლდება ჩვენი წინსვლა, გამარჯვების ხმა გუგუნებს,
კვლავ გმირულად იჭედება ჩვენი ოქროს საუკუნე.

დგას პარტია მტერთა მძლევი, გულში რწმენის ჩამკირველი,
მას ეკუთვნის ჩვენი ვაშა, ჩვენი ხალხის ხმა პირველი.

მისი ზრუნვა გვაფოლადებს, გვალაღებს და გვალომგულებს,
დიდ-პატარა მას მივუძღვნით სიყვარულით სავსე გულებს.

მისთვის გვინდა ხმაც და სიტყვაც, მასზე ფიქრი კვლავ წინ დგება
და როდესაც არჩევნების დიადი დღე გაბრწყინდება,

სიხარულით მივალთ ყუთთან, სად სიმართლე გვეგულება,
ღიდ პარტიას ერთხელ კიდევ დავუმტკიცებთ ერთგულებას!

1954 წ.

სიმღერა სამტრედიაზე

(სამტრედიის რაიონული გუნდისათვის)

სამტრედია, სამტრედია...
შიგ ხომ მართლა მტრედებია?
კოლექტიურ შრომის შვილნი
ირგვლივ მთა-ბარს ედებიან.
მთელი მისი არემარე —
ველები თუ ქედებია,
ძველად იყო გადამხმარი,
ახლა მართლა ედემია.

რიონის ველს ტრაქტორები
გუგუნით რომ გადაყელავს,
ზედ ყანების უსაზღვრო ტყე,
ვით შავი ზღვა, ისე ღელავს;
სიმღერაა შრომის გმირთა
სიხარულად ცად ასული,
მინდვრად ჩაის პლანტაციებს
აღარ უჩანს დასასრული.

ოქროსფერად იფურჩქნება
ციტრუსოვან ხეთა ტევრი;
აბრეშუმის პარკიც მოდის
ზღვის ქვიშაზე უფრო ბევრი;
არხები თუ წყაროები
ეფინება ბაღჩა-ბაღებს
და ილიჩის ნათურები
ყოველ კერას აჩირაღდნებს.

ქარხნებიდან გუგუნის ხმა
იფანტება მინდორ-ველად,

ჩვენი ქვეყნის გასახარად,
მტრების კვალის წასაშლელად.
რკინიგზებმა ყოველი მხრით
გადასერეს უამირები
და დაჰქრიან ელმავლები,
როგორც მთებში ხარ-ირმები.

მტევნებსავსე ვაზებიდან
ქარვის შუქი იფანტება,
კაცს ჭამა-სმა აღარ გახსოვს,
გული მარტო ცქერით ტკბება;
შემოდგომის ლხინით ვხვდებით
ქვევრში ღვინის დამაჭრებას
და ზეიმობს ჩვენი ხალხი
კომუნიზმის გამარჯვებას!

1954 წ

სიმღერა მაისის დროშაზეზეთან

გაზაფხული იწყება ლენინით

აპრილის განთიადს ამოჰყვა ლენინი,
სიცოცხლე აპრილსაც ლენინმა მისცა;
აყვავდა ფიქრები გულში ჩაფენილი
და მინდორ-ველები ბაღებად იქცა.

აყვავდა ატმები და დროშად გაუძღვა
მზისა და ყვავილთა მღელვარე ლაშქრობას,
მთიდან გაზაფხულმა სამყაროს აუწყა,
რომ მამულს ზამთარი უკვე გადაშორდა.

აშორდა ზამთარი, ღრუბლებში ჩამჯდარი,
სამშობლოს მთა-ბარი მწვანედ შეიმოსა,
მოვიდა ლენინი ბრძოლის ალამდარი
და ხალხებს ახარა გაზაფხულის მოსვლა.

გათენდა მაისი — აპრილის მკვიდრი და,
მშვიდობის ნათელი ხალხებს მოჰფენია,
სამშობლო მშვენდება ცხოვრებით მშვიდითა,
რომელსაც წინ უძღვის ლენინის გენია.

და როცა რაკეტა ზეცის კარს შეაღებს,
და როცა მოსკოვი აანთებს შუქურებს,
ეს ნიშნავს: იზრდება სიცოცხლის სიახლე,
რომელსაც უკვდავი ლენინი უყურებს.

იზრდება, ფრთებს ისხამს ყველა განზრახული,
და ქრება ზამთარი მზისგან განდევნილი;
აპრილით იწყება მოსვლა გაზაფხულის,
ხალხის გაზაფხული იწყება ლენინით!

1961 წ.

ადამიანმა დაიპყრო ზეცა

სამშობლოს ესმის, სამშობლომ იცის
გზების გაგნება სივრცეში იმ ცის,
ზე გადმომდგარი რომ იყო გუშინ
ვარსკვლავებიან გუმბათად მიწის.

ახლა ოცნება სიმღერად იწვის,
ლექსიც მზისაკენ ოქროს ფრთას იწვდის,
კოსმოსში მიჰქრის პირველი მგზავრი,
შემსრულებელი სამშობლოს ფიცის.
ვაშა!..
        გმირული კაცთა გონება
გულთ აღიტაცეს მილიონებმა,
სამყაროს გზებზე მშვიდობის ქროლვა
არარა ძალას არ ემონება!..

წინ სწრაფვა, დროთა არ დაყოვნება!
ვარსკვლავთა ხმების გვწადს გაგონება!
დედამიწაზე სხვა რამ ქონება
ამ სიდიადეს არ ეწონება!..

უკვდავო ლენინ, შენს დიდ გენიას
რაც გამარჯვება დაუდგენია,
ყველა აღსრულდა და ამ დიადი
დღის განთიადი მხოლოდ ჩვენია.

შენმა აზრებმა შეისხა ფრთები,
ადამიანმა ზეცა დაიპყრო,
რომ ვარსკვლავებთან, არა ოცნებით,
არამედ, მართლა, ვიმუსაიფოთ.

რომ კვლავ ამაღლდეს შენი მიზნები,
ეფინოს შუქი ცას შენი დროშის,
რომ მიდიოდეს ხალხი იმ გზებით,
შენ რომ გასჭერი ბნელ სამყაროში.

დაე, ყოველი აღსრულდეს ასე,
ჩემს დიდ სამშობლოს რაც დაუსახავს,
რომ ხალხთა გული, სიკეთით სავსე,
სწვდებოდეს, ქმნიდეს გმირობას ახალს!

1961 წ.

განახლდა გული

განახლდა გული და შენკენ ვილტვი,
გახსენი ბაღის ყველა კარები,
სევდის მომგვრელი გაფანტე ეჭვი,
სულს მიეც შვება გამოდარების.

რაც დაკარგულა, ის აღარ მოვა,
რაც დარჩა, ისიც არის საკმარი;
და ყვავილების ჩავთვალოთ თოვად,
თუ თმებში ადრე გაჩნდა ზამთარი.

როს შენი ბაგის თრთოლვა ვიხილე,
მან ჩემი ლექსი გაამზიანა,
დღემდე ფიქრები ვერ გაგიმხილე,
რომ მსურხარ სულის თანაზიარად.

და მინდა გულში შუქად შთავარდე,
სიცოცხლეს ახალს ვფენდეთ იმედებს,
მე ვგავდე ისევ მთების შავარდენს,
შენ კი ვარსკვლავად მიციმციმებდე!

1961 წ.

უვარელზი

კუდიგორიდან დაეცქერი კახეთს,
ალაზნის ველის დიდებულებას,
და საქართველოს ღვთაებრივ სახედ
წინ მეხატება მისი ბუნება.

'ოავაყურადებ დუღუნს ალაზნის,
მწამს, წინაპარი არ გამიწყრება;
მე ახლა მიეხვდი, რომ სილამაზეს
სცოდნია კაცის თაყვანიწყება.

გომბორის მთები, როგორც მერნები
დადეენებია ღრუბლის ქარავნებს;
აქ რომ ვესახლო, არ დავბერდები,
მწუხრის ლანდები ვერ დამფარავენ.

მთის კალთებიდან ბაღად ველები
გადმოღვარულა, როგორც ლანქერი;
ასეთ სამშობლოს შემოვევლები
და როგორც კვამლი, ისე გავქრები.

აღტაცებულმა გავშალე მხარი,
ეადვიხსენ მკერდი, აღვმართე ხელი,
სამშობლოვ ჩემო, ხომ მოვესწარი,
შორს გაიტყორცნა შენი სახელი.

და როგორც გიქმაქ დურუჯის ტალღას
ვერ შეაკავებს კლდეთა ლოდები,
ილიას შუბლის ნათელი გახლავს
და არასოღეს ღაბოლოედები.

თვალს შევაყენებ გრემის ციხესთან
და ძველ ქონგურებს მოვეჭიდები,
რომ უფრო ნათლად ვიგრძნო იქედან
შარავანდედი წარსულ დიდების.

შემდეგ გავყვები ალაზნის ზვირთებს,
ვაზების ფესვებს ჩავეღვარები,
და თუ მზე გულში ხანძარს დამინთებს,
გადამაფარებს კალთას ყვარელი.

თუმცა ყვარელშიც სხვა ელვარებით
მომაშუქდება სხივნი მხურვალე —
ხმები ილიას ჩანგის ლარების,
გზნება, რაც ახლავს კოტეს მწველ თვალებს.

ო, წინაპარნო, და სულთა მნათნო,
თქვენს აჩრდილებთან არა ბნელდება,
თქვენი გულთა ხმა ისევე გვათბობს,
სიცოცხლე თქვენი ისევ გრძელდება.

და ლაშაზ კახეთს დავყურებ ოდეს,
მე თქვენი ცეცხლის ნაპერწკლებს ვნატრობ;
სიცოცხლე როგორ არ მიხაროდეს
ასე წარმტაცი სამშობლოს პატრონს!

1963 წ.

შენი ღიმილი მე მართლა მომწონს,
მე მართლა მიყვარს შენი თვალები...
და გულში ჩუმად გაჩენილ კოცონს
არ ვერიდები, არ ვეკრძალები.

პირიქით, მისმა ლაღმა სინათლემ
გაკვალოს გზები ჩემი მყოფადის...
და ამ იმედებს თუ გამიმართლებ,
გულში გაჩნდება ძალა ფოლადის.

მე შენით მინდა სიცოცხლის ჩემის
უკანასკნელი წლები ავანთო.
გავშალო გული, როგორც ედემი
და შენი ბაგის ბანგით დავათრო.

ჩემო ძვირფასო, ხომ კარგად იცი
სიცოცხლის ჩვენის არარაობა?
თუ სიყვარულის ცეცხლით არ იწვი,
გადაგექცევა სული ჭაობად.

და სანამ ქვეყნად ცოცხალ ვართ კიდევ
და სანამ გული ვნებით მღელვარებს,
ამ ქვეყანაზე სიამეს ვმკიდეთ,
ბედნიერების შევწვდეთ მწვერვალებს!

შენი თვალები მე მართლა მომწონს,
მე მართლა მიყვარს შენი ღიმილი...
და მიხარია, რომ შენმა ტრფობამ
კვლავ გამიჩინა გულის ტკივილი!

1963 წ.

სიმღერა მაისის დროშებთან

მაისი ლექსია,
    სითბო და სიმღერა,
მაისებს დროშების
    ალმური ედება,
ზეცამ გამოაღო
    ცისკარი შვიდფერად,
მზე გადმოაგორეს
    გომბორის ქედებმა.

ინთება,
    ნათლდება,
        იზრდება,
            ბევრდება,
ძნელდება
    ამდენი გრძნობების ტარება; —
გული მაისივით არასდროს ბერდება.
მუდამ სიყვარულის
        ხანძარს ეტანება!

მაისმა დანისლა
    ბორკილი ღამისა
და გვამცნო სიახლე
    ყოველი წამისა,
რომელიც მომავლის წიაღებს
            შეაღებს
და გულებს გვილაღებს
                იმედით ხვალისა .

არც შიში,
    არც ძრწოლა,

კვლავ სწრაფვა,
      კვლავ ბრძოლა,
შუქურად გაძღოლა
      სამყაროს დიდ გზებზე,
როშელიც მსოფლიოს
      ერთ ნებად აერთებს,
და როგორც კოსმოსში რაკეტის გასროლა,
ხმას ვაწვდენთ
      და ვაღწევთ შორეულ პლანეტებს.

აივსო ქუჩები
      სიმშვიდეს უჩვეევი
და ყველას ტუჩები
      ღიმილმა დაჰფარა,
შოდიან დროშებით,
      სიმღერით,
            ოცნებით
და მოაქვთ ფიქრები შუქივით ანკარა.

სალამი, მაისო,
      სხივებით ნაისრო,
სადღეღამისო
      შუქურად გუგუნებ,
ბრძოლების დიდ გზებზე
      ვერავინ გაგისწროს,
მომავალს იმედის თვალებით უყურე!

მაისი გაზაფხულს
      ვარდებით ამშვენებს,
მაისი ჩვენს გულშიც
      გაზაფხულს აშენებს,
მაისებს დროშების
      ალმური ჰშვენია,
მაისის ლექსი და სიმღერა ჩვენია!

1964 წ.

საგაზაფხულო ლექსი

გამარჯობა, გაზაფხულო,
ლექსის,
        აზრის,
                ნიჭის ჰიმნო,
უნდა გაჰკრა სიტყვის სიმებს,
სიმღერა ვერ მოვითმინო.

შორს გადაწვდეს
        მთიდან მთაზე
შენი შუქის ცისარტყელა,
მზით აივსოს წიგნის ღველფი,
იხუტებდეს გულში ყველა.

გაზაფხულო, მთად ნახულო,
განზრახულო ფიქრო ჩემო,
ცა ღრუბლებით არ დახურო,
შორს ოცნება გავაჭენო.

მწვანე ფოთლის შარიშური
გულს ესმოდეს შორეულსაც.
გადაევლოს თაფლად სურვილს,
თითქოს მთების წყარო უსვამს.

დაეპკუროს ნამად,
                როგორც
მინდორს შვენის ცის მანანა,
აუფრინდეს ფრთები კოკორს,
მოეფრქვიოს სულში ნანად.

რა გაბოლევს გულში იმედს,
გაზაფხულის დიდო ძალო,

მოდი, გაჰკარ სიტყვის სიმებს,
რომ სიმღერად გაიშალო.

არ დანებდეს ქარს და ზამთარს
მგოსნის სიტყვა თუ გალობა
და ფრინავდეს მუდამ მთა-მთა
ჩვენთა დღეთა გრიგალობა.

1964 წ.

ყაყაჩოებს რა უქნიათ

ყაყაჩოებს რა უქნიათ, ყველგან ცეცხლი დაუნთიათ,
ვერც წვიმას და ვერც მთოხნელებს
ვერასგზით ვერ ჩაუქრიათ.

ბათი ალი მოსდებია, მინდვრები თუ კორდებია,
ნაპერწკლებად შეფრქვეულნი თვალებს აღარ შორდებიან.

ციცნათლები შესევია, თუ ვარსკვლავთა ფესვებია?
მინდორ-ველი დაუწვავს თუ გაუუკეთესებია?

ყაყაჩოებს რა უქნიათ, ჯეჯილები დაუპყრიათ,
გადავლილა მზის ბორბალი, ნაკვერჩხლები დაუყრია.

და როგორ არ დავიჯერო, გადავხედავ მთას თუ ველობს,
ყაყაჩოთა ცეცხლის ალში გახვეულა საქართველო!

1964 წ.

ყრმობის ბულბული

თანაკლასელ მეგობარს, რესპუბლიკის
სახალხო არტისტს ბათუ კრავეიშვილს
50 წლის შესრულების გამო.

რა შორს გაფრინდა ჩვენი ბავშვობა,
თითქოს არა ჩანს კვალი არსაით,
ყრმობის დღეებიც უხმოდ გაგვშორდა,
შორით ციმციმებს, როგორც ვარსკვლავი.

და ის, რაც თითქოს ქცეულა სიზმრად,
დღეს გეგებება კალთა გაშლილი,
შენი ქალაქი გხვდება მასპინძლად,
სტუმრად მოუხველ ძვირფასი შვილი.

აქ დარჩა ჩვენი ახალგაზრდობა
და ჭაბუკური ოცნების მთები;
ჰგავდა ტოტებზე კვირტის გასკდომას
შენი სიმღერის პირველი ხმები.

შენ იყავ ჩემი ყრმობის ბულბული,
შენი ხმით გავხდი მეც ნასეტყვარი;
დღესაც იმ ჰანგით ვარ მოხიბლული,
მას შემდეგ გული შენი ტყვე არი.

შენ აქ ბუნებამ სხვა გზა გაჩვენა,
გულს შთაგაგონა მუსიკის ენა,
მერე ანკარა წყაროს ჩანჩქერად
გადაეღვარე ოპერის სცენას.

და შენშიც გაჩნდა უკვდავი რწმენა,
როცა ქუხილად ავარდა ტაში,

რომ ხელოვნებამ იცის გაფრენა
ბედნიერების უღრუბლო ცაში.

შენს მსმენელს გრძნობა მძლევდა ბოლო დროს,
ზოგჯერ მინდოდა მართლა მეტირა,
შენი ნამღერი „სულო ბოროტო"
მესახებოდა სულში კეთილად.

სიმღერა შენი ვით არ მიყვარდეს,
როცა ის გულში თაფლად მეღვრება;
განუწყვეტელად ტაშს რომ გიკრავდე,
შენთვის ხელები არ დამეღლება.

ზოგჯერ სურვილით სული მევსება,
ბევრჯერაც ნდომით გული შეირხა,
რომ მომავალში ჩემმა ლექსებმა
შენი სიმღერის ფრთებიც შეისხას.

კვლავ მსურს მოგიძღვნა ხოტბა და ტაში,
შენს სიმხნეს წლები ვერ მოერიოს,
ჩვენი სამშობლოს დიდების ხმაში
შენი ჰანგები მეტი ერიოს.

რადგან სიყვარულს ასე აქვს წესად,
მინდა დღეს ძმურად მეც მოგეფერო;
იცოცხლე დიდხანს, გასცდი ას წელსაც
და მუდამ ასე ტკბილად გემღეროს!

1964 წ.

თვრამეტი ნოემბრის საღამო

ქართული ფეხბურთის გმირებს

დიდება ხალხის რჩეულ ვაჟკაცებს,
შებმის, შეტევის ნათელმიზნობას,
რომ ასახელეს, ძირს რომ არ დასცეს
ქართული სულის მარადისობა.

როს ტაშის ღელვა ფლობდა სტადიონს
და იფრქვეოდა ხმა ერთგულების,
ოქრო სცვიოდა ყველგან რადიოს
და ნათდებოდა ხალხის გულები.

ქუჩებში ფრენენ თეთრი ალმები,
ფანჯრებს ესვრიან ვარდებს ფერადებს,
ნაპერწკლებივით ჰქრიან წამები
და აღტაცება ფარავს ყველაფერს.

ერთურთს კოცნიან, სასმისს აწვდიან
და გასძახიან ირგვლივ მიდამოს:
— წელს ბედნიერი წელიწადია,
გამარჯვებული ვივლით მუდამო!

სიხარულის ხმა ალად გვედება
და ვერ ეტევა გულის ჯებირში,
დიდება ბრძოლას, შებმას, შეტევას,
მაგრამ მშვიდობის გამარჯვებისთვის.

დიდება ბურთის დევგმირ ვაჟკაცებს,
ამ შერკინების ნათელმიზნობას,
რომ ასახელეს, რომ ძირს არ დასცეს
ქართული მკლავის მარადისობა!

1964 წ.

თუ გულის ცეცხლი არ ახლავს

ვით ცაზე ცისკრის დანახვა, ან ბანზე დილის საარი, —
თუ გულის ცეცხლი არ ახლავს, ისე ლექსის თქმა რა არი?!

რად გინდა ჩლუნგი შაირი, თუ ვერ აგანთებს ბრძოლის დროს,
და ღელვით ვერ გადაივლის შენი სამშობლოს ჰორიზონტს.

თუ ლხინში ვერ იჩქრიალებს გულში ჩასაღვრელ ჰანგებად,
ან ჟამთა ფერფლის მორევში ნემსივით ჩაიჟანგება.

თუ გულის სატრფოს ვერ ამცნობს ფიქრების ზღვათა ღელვასა,
თუ ვერ დაასწრებს ცის ქუხილს, თუ ვერ გაასწრებს ელვასა.

თუ გამარჯვებას ვერ გარგებს, ვერც დაგიყუჩებს იარას,
თუ მგოსნის ფიქრებს ვერ გახდის ხალხთ გულის თანაზიარად,

მაშინ რაღაა ლექსის თქმა, რად ებმი სიტყვის უღელში, —
მინდვრის პატარა ლერწამი როგორ ჩადგები მუხებში.

ხომ იცი, ქართულ ლექსის ქარს როგორი მკერდი სჭირდება,
რომ სიმღერაში დამკვიდრდეს საშვილთაშვილო დიდება.

ვით ცაზე ცისკრის დანახვა, ან ბანზე დილის საარი, —
თუ გულის ცეცხლი არ ახლავს, ისეთი ლექსი რა არი?!

1965 წ.

ღალადისი რუსთაველისა

;შვიდასი წელი შინმოუსვლელი
.გვესაუბრება შოთა რუსთველი:

„შენ, საქართველოს ტკბილო მიწაო,
შენს გარდა ქვეყნად სხვა რა ვიწამო!

მე ვით დავთმობდი თმოგვს და ვარძიას,
მაგრამ ჩემს ძმათა შურმა დამძლია!

და გარდამხვეწა პალესტინაში;
ვიცხოვრე ქარში, თოვლში, წვიმაში.

იმედით ვძლიე ურვა ყოველი
და სამშობლოში წმინდად მოველი.

დღეს კვლავად აქ ვარ, ჩემს მთათა შორის,
მათი სიმაღლის და ჟამის სწორი.

წავედი შვილი, მოვედი მამა,
ჟამმა საწუთრო ვერ დამიღამა.

სული წარვსტაცე ვეფხვებს და ლომებს,
შიში და ცრემლი არ შევივრდომე.

ამბოხი გული ვუძღვენ ტარიელს,
ბილწსა და ბოროტს ხელი დავრიე.

გონება ჩემი ვანდე ავთანდილს
და სიმღერაში ისე გავთავდი,

სამშობლო იყო ჩემი ტაძარი,
შიგ დიდი ხატი — სახე თამარის.

მე ნაპერწკალი ავსხლიტე მღვიმეს,
ხალხისთვის უქრობ მზედ გავაღვივე

და სხივნი მისი ავაბი ცამდე,
აწ და მარადის უკუნისამდე!..“

1965 წ.

საიათნოვა

> საიათნოვას ფულისათვის არასოდეს არ უმღერია, ის მღეროდა — გულისათვის! სულისათვის! სიყვარულისათვის!
>
> გრიშაშვილი.

საიათნოვა!
    იყო გლოვა
ლექსის, ჰანგის იმ შავ დროში,
    მაგრამ შენი სიმთა შუქი
    აფრენილი, ვით ქარბუქი,
ველად ქროდა ძმობის დროშით.

საიათნოვა!
    როგორც თოვა
მოჩქეფს შენი სიტყვის შხეფი,
    ეღვენთება სულს ცრემლებად
    და სამშობლოს თავს ევლება,
ვით ბულბული, ვარდზე მყეფი.

საიათნოვა!
    დამექსოვა
გულზე შენი დარდის ჩრდილი,
    ფოთლებივით აშრიალდი,
    მითხარ გულის ხვაშიადი,
მე ვარ შენი ავთანდილი.

საიათნოვამ
    მიატოვა
მეჯლისებში პურის ჭამა,
    თავადობა არ ინდომა,
    არ დააგდო ხალხის ნდობა,
ავკაცობა არ იწამა.

საიათნოვამ
    შორს დატოვა
ყველა დროის აშუღები,
    იგი გვასმევს სხვა წყაროს წყალს,
    სხვა კაცია, სხვა ღველფი სწვავს,
სხვა მზითაა ნაშუქები.

საიათნოვამ
    გულის თრთოლვა
შეალია ტრფობის მიზანს...
    მაგრამ დაღრღნა მშურთა ცქერამ;
    მანც დააგდო ყრმობის კერა,
მონასტერში გაიხიზნა.

საიათნოვამ
    იქ იპოვა
მედგარ სულის საყუდარი,
    შორს განუდგა თვალს ბოროტთა,
    ამა სოფლად რომ ჰქონოდა
მას სიცოცხლე საკუთარი.

მაგრამ როცა ლექსის ცეცხლი
გულს გაჰკრავდა ჟინის კვესსა,
    როცა ყურნი შეისმენდა
    უბეშიაც სიმთა კვნესას,
მაშინ ნამდვილ ღმერთს კი არა,
მაშინ ნამდვილ მღვდელს კი არა,
    გასწირავდა სიცოცხლესაც.

საიათნოვა!
    იყო გლრვა
ლექსის, ჰანგის იმ შავ დროში,
    მაგრამ შენი სიმთა შუქი
    აფრენილი, ვით ქარბუქი,
ელად დაჰქრის ძმობის დროშით!

1965 წ.

ი. გრიშაშვილს

(75-ე გაზაფხულზე)

სოსო, მე მინდა დიდხანს იცოცხლო,
დიდხანს ვისმენდე შენს ტკბილ საუბარს,
იმ სიყვარულის სიმები ვკოცნო,
შენს ლექსს რომ ხალხის გულზე გაუბამს.

დაგიმეგობრდა მკაცრი სიბერე
და სურს ღრუბლების კალთა დაგხუროს,
მაგრამ შენს ნაზ და ფრთიან სიმღერებს
გააქვს შრიალი საგაზაფხულო.

მშობლიურ ხალხის შუქით გამთბარი
მოხატული გაქვს გულის დარბაზი,
ახლა თავს გადგას თეთრი ზამთარი,
თუმცა ზამთარიც არის ლამაზი.

შენ იყავ ლექსით მოიერიშე,
სიტყვის ჯეჯილი ხომ დააპურე, —
ვით დათოვლილი ქართლის მედროშე
წარსულს საამო ღიმით გაჰყურებ.

და გვინდა კიდევ დიდხანს იცოცხლო,
დიდხანს ვისმენდეთ შენს ტკბილ საუბარს,
იმ სიყვარულის სიმები ვკოცნოთ,
შენს ლექსს რომ ხალხის გულზე გაუბამს!

1965 წ.

ახალგაზრდული

ხალხურ მოტივზე

თოვლი თოვს, წვიმა ჩქრიალებს,
თუ სხივმფინარე დარია,
გულში გვაპკურებს სიამეს,
სიცოცხლით გაგვიხარია.
მთა არის, ზღვა თუ ხმელეთი,
ან ვარსკვლავების ჯარია,
გინდ მთვარე — მტერი ბნელეთის,
მთის მხარზე შემომჯდარია.
დიდი მზე ცაში მბრუნავი,
ვით ხნულში ლომა ხარია,
შორს ცისარტყელა ბრიალა,
ვით ამირანის ხმალია.
ტოტჩალასტული ბაღნარი,
გზებზე ირმების კვალია,
მდინარეების ღუღუნი
არაგვია თუ მტკვარია.
ტოტჩალასტური ბაღნარი,
პურის ყანა თუ ზვარია,
ბეღელ-მარნებთან ქალ-ვაჟთა
ერთი ზათქი და ზარია.
მოიმღერიან, თითქოს და
ზღვით მოვარდნილი ქარია,
მკერდ მოღეღილი ბიჭები,
თმებ აჯონქილი ქალია.
მათი გაბმული ყიჟინი,
ხმა გამყივარი არია,
სულ სიყვარულის, სიცოცხლის
და სიჭაბუკის ბრალია!

1965 წ.

ბზად გურიაში

რა მზიანი დილა იყო,
რა შუქლაღი საღამოა
ღობეს ციცა მოადგება,
წყალს მოსთხოვ და ღვინო მოაქვს.

გადავცქერი მწვანე ეზოს
და იზიდავს ჩემს გულს ასე:
ბაზი მტევნებგავსებული
და ეს ციცაც მტევნებსავსე.

ისე მიდის, როგორც ბინდი
მთის ფერდობზე მოსრიალე,
შემომხედა, უცებ შევკრთი,
ნაპერწკლები ენთო თვალებს.

გულო, ხომ არ შეგეშინდა?
მშობლიური სოფელია!
ციცას თავი დაანებე,
შენ აქ სტუმრად მოგელიან;
განა ისე წახდი კაცი,
სიყვარული მოგერია?!

1965 წ.

შენ რომ წიგნი მოგეწერა

შენი თვალთა შუქის გარეთ რაა ჩემი გულის ოგერა,
ჭაბუკურად გავიხარე, შენ რომ წიგნი მოგეწერა.

გადვიკითხე, ვკოცნე, ვკოცნე, მზე დასავლეთს დაიწვერა,
მკვდარი გული გამიცოცხლე, შენ რომ წიგნი მოგეწერა.

განმაშორა ბნელი დარდი, თითქოს მკვდრეთით აღმადგინა,
ასე ძლიერ თუ გიყვარდი, რატომ დუმდი აქამდინა?

გული ჩემი შენზე ლოდინს ვამსხვერპლე და გადავქანცე,
თუკი შენად გეგულვოდი, რად მისევდი მწარე განცდებს?

ვინ გასწავლა, — არ აჩქარდე, თუკი ‘ვიყვარს, დასწვი ჯერა! —
არა სჯობდა, ცოტა ადრე შენ რომ წიგნი მოგეწერა?!

1965 წ.

დილა რუსთველის ძეგლთან

რუსთავლის ქუჩით რუსთველის ძეგლთან
მივალ, მოვისმენ რუსთავის ამბებს,
სამგორის ზღვიდან ამოვა მზე და
თბილისის მხრებზე შუქს გადააფენს.

ამღერდებიან შორით საყვირნი,
აფეთქდებიან ხმათა ეხონი,
მთების კალთები ცვარ-ნამდაყრილი
და ბილიკებიც საცალფეხონი.

ახმაურდება, გაცისკროვნდება,
აინთებიან მზით და ვარდებით;
თბილისის დილავ ,მაისის დილავ,
განა მარტო მე გამეხარდები?

შენ ყოველ კაცის გულში იღვიძებ,
შენთვის ღიაა ყველა სარკმელი,
მკერდში ათასი სიმღერა გიძევს —
შენი მგოსნების ბაგით სათქმელი.

დღესაც გათენდი სწორედ იმგვარად,
თითქოს სიზმარმა ფრთები მოისხა,
და მზის ემბაზი გადმოიღვარა,
ვით ჟრუანტელი სამყაროისა.

წამოიმართენ სახლები, თითქოს
გადმოიხედეს მთიდან ირმებმა;
ასეთი დილა ოდეს ეხილა,
თვით რუსთაველიც გაიკვირვებდა!

1966 წ.

ახლალა მივხვდი

მე საქართველოს მთელი მთა-ბარი
თითქმის ჩოქვით მაქვს შემოწერილი,
გულს გამჩენია ტრფობის ხანძარი,
ჩამოვლვარულვარ მთებს მეწყერივით.

ავმღერებულვარ, როგორც ბულბული,
ავმაღლებულვარ, როგორც მყინვარი,
მახლდნენ ირმები რქადაბურდული,
არწივნი — კლდეებს გადამყივარი.

ალაზნის ველზე ხოხბად ვიფრინე,
არაგვის ჩქერში გავხდი კალმახი;
და რაჭის მთებით დავაგვირგვინე
მშვენიერება თვალდასანახი.

მაგრამ ჯერ არსად არ შემხვედრია
შავი ზღვისპირის მსგავსი მშვენება,
და რომ გურია სხვა ზღაპარია,
ეს ყველა თქვენგანს მოეხსენება.

მესხეთს და სვანეთს, მტკვარსა და რიონს
წაუხვალ სადმე, ან გაექცევი?
რომ შთაგონებით არ გადაგრიონ,
არ ჩაგაფრქვიონ გულს ნაპერწკლები?

ახლალა მივხვდი, ჩვენს გალაკტიონს,
აკაკის, ვაჟას და თვით რუსთაველს
რამ შთაუნერგათ სიმღერის ძალა,
რითაც სამშობლო გააუკვდავეს!..

1966 წ.

წვიმიანი გაზაფხული

რაც უნდა ნისლი ახლდეს გაზაფხულს,
მას მაინც მოაქვს სითბო, სილაღე;
და რომ ეწიო სურვილს განზრახულს,
პოეტო, გწამდეს შენი სიმაღლე!

ნუ შეგაღონებს აპრილის წვიმა,
ნურც შეგაშფოთებს გრგვინვის დაწყება,
მაღალ ზეციდან დიდი მზის ბრწყინვა
სამშობლოს ქედებს უხვად გაწვდება.

არ დახეიბრდეს ლექსის ზოდები,
არ დაიდრიკოს ფიქრთა თაღები,
პატარა ქარში ნუ დაღონდები,
მაისი მოვა და გალაღდები.

სულ უნდა თესდე სიტყვის მარგალიტს,
რომ გაიხაროს წიგნშიც ჯეჯილმა;
სოფლელი კაცის მიჰყევ მაგალითს,
კალამი გუთნის კვალს შეეჯიბრა.

ამოღაღანდეს რითმის მარცვალი,
სუნთქვის ნიავზეც ფრთები გაშალოს,
გაბრწყინდეს, როგორც ცაში ვარსკვლავი,
ქაღალდი ხნულით გადააშაოს.

მგოსნის სიმღერა ხალხს გააგონოს,
გაახაროს და უთხრას მადლობა,
რომ პოეზიამ გულს შთააგონოს
სულის მარადი ახალგაზრდობა!

1966 წ.

საღლეგრძელო

მე ვადღეგრძელებ დედა სამშობლოს,
ეს გაუმარჯოს ჩვენს დიდ წინაპრებს,
მათ მკერდით დაღვრილ სისხლს დაუშრობელს,
მათი საფლავის უქრობ სინათლეს.

მე ვადღეგრძელებ აკვნების რწევას,
ღუღუნს არტახში ჩაკრულ მტრედების,
შეუპოვრობით დასაპყრობ მწვერვალს,
დღეებს ახალი შემოქმედების.

მე ვადღეგრძელებ აღგზნებას ყოველს,
სწრაფვის ძიების, შებმის, შეტევის,
ცხოვრების გზების იმ სივიწროვეს,
საკუთარ გულში რომ ვერ ეტევი.

მე ვადღეგრძელებ მშობლიურ მთა-ველს,
მყინვარს, კოლხიდას, არაგვს, ალაზანს,
ვინც ზრდიდა ვაჟას, ტატოს, რუსთაველს,
ვინც ჩვენი სული გაალამაზა.

მე ვადღეგრძელებ თავთავის დახრას,
ვაზის მტევანში დამწყვდევას მზისას,
ყრმა ტარიელის მოქნეულ მათრახს
და ავთანდილის გასროლილ ისარს.

მე ვადღეგრძელებ იმ დიდ სიყვარულს,
მე და შენ გულში მზედ რომ გვინთია,
ვინც აჰყვა მის შუქს, ქვეყნად მოარულს,
და უთქმელობა ვერ მოითმინა.

მიტომ კი არ ვსვამ, რომ მსურდეს ღვინო,
ან მარტო სიტყვა გითხრა ორიოდ,
არა, მე მინდა შენთან ვილხინო
და სიმღერაში აგიყოლიო.

რადგან სიმღერა გულის შვებაა,
წადილი დარდის არ დაბრუნების,
სიმღერა მუხთალ ბედთან შებმაა
და დამარცხება უბედურების!

1966 წ.

მაყლერებს გურია

„ამიერიდან აქ დავსახლდები,
ჩემი სამშობლო არის გურია“.

ირ. აბაშიძე.

ეს ლექსი ახლა აქაურია,
სადაც ბაღებში ჰყვავის გურია,
სად მწვანე ფუნჯით დახატულ სერებს
ვარსკლავიანი ცა ახურიათ.

სადაც სიცოცხლე მზით შენაფერი
თვით სიცოცხლეზე მეტი გგონია,
სად ყველაფერი, სულ ყველაფერი
ადამიანის მკლავის ღონეა.

მთაგრეხილები ღრუბლებთან ახლო
ცას ეკვრის ლურჯად ნახავერდები;
ასე მგონია, აქ რომ ვესახლო,
ალბათ, არასდროს არ დავბერდები.

და წყაროსავით ჩამოიღვრება
სიტყვა ნარნარი, ჯავარიანი,
ხალხში გასული ხმატკბილ სიმღერად,
ვით გუგუნავას „თამარიანი“.

ყველა სოფელი კალთას გამიშლის,
რომ მის წიაღში გული ვახარო, —
უსპეტაკესი ტალღა შავი ზღვის,
უდიადესი მთები ბახმაროს.

ნასაკირალი, ბახვი, სურები,
ეს ნატერფალი მებრძოლ წინაპრის;
აქ დამკვიდრებას მეც ვისურვებდი,
მაგრამ დამასწრო ჩვენმა ირაკლიმ.

და მეც რომ დავრჩე, გურიისათვის
აზრი არა აქვს არავითარი,
ამდენ პოეტებს არ საჭიროებს
თავად პოეტურ სიტყვით მდიდარი!

1966 წ.

ქარის მეგობარი

წყალტუბოდან ქუთაისში მიდიოდა ის,
გზაზე ქარი აედევნა არწივული ფრთის,
ყურში ჩუმად ჩასჩურჩულებს ამბებს მაღალ მთის,
და მგოსანიც მის შრიალზე უცნაურად კრთის.

ჰკითხავს: „ქარო, ფრთამედგარო, მიიმღერი სად?
გულში რატომ ჩამღღვარე წინაპართა ხმად?
რად აღმტყორცნე, რად აღმანთე ვარსკვლავივით ცად?
მეგობრობას ეძებ ჩემში, თუ გიგულვო მტრად?“

ქარი ეტყვის: „ჩემს გულისთქმას ვერ მიხვდება სხვა,
გადმილახავს მწვერვალები, ხმელეთი და ზღვა,
მაგრამ ვერვის განუცდია ჩემი გულის წვა,
მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი შენ გამიგებ, მწამს!

ქვეყანაზე ყოველივეს საყუდარი აქვს,
მე კი ვერსად და ვერაფერს ვერ ვაფარებ თავს,
დავგრიალებ აღმა-დაღმა, ვრეკავ ბრძოლის ზარს,
მაგრამ ბინას არვინ მაძლევს უთვისტომო მგზავრს!“

რა ისმინა, ქარის წინა თავს მდუმარედ ხრის,
იმ ხმაურში იცნო ხმები მშობლიური მხრის,
მეგობარის პოვნა მის გულს აღტაცებას ჰგვრის,
და მას შემდეგ მისი სუნთქვაც ქარიშხალად ჰქრის!..

1966 წ

როცა მარტო ვარ

მე როცა ლექსებს ვწერ და როცა მარტო ვარ,
მაშინ შენც ჩემთან ხარ, ოცნებით გიგონებ,
შენ მივი პოეტურ სახეთა პატრონად,
და ჩუმად მკარნახობ სანუკვარ სტრიქონებს.

და თუ რამ აკლია, და თუ რამ სუსტია,
ეს შენი ბრალია, ალბათ, არ გიყვარვარ,
მაკლებ შთაგონებას, მაკლებ აღმაფრენას
და ლექსის მუზებთან ახლოს არ მიგყავარ.

მომხედე, ძვირფასო, ის შუქი მომმადლე,
მთა-გორებს ზეციურ ნამად რომ აწვიმებს,
რომელიც ზღვის გულზე ატარებს ხომალდებს
და ცაში ააფრენს ფოლადის არწივებს.

სადა ხარ? არ ჩანხარ! მიდიხარ? სადაც ხარ,
ჩემს შთაგონებაში ოცნებად იქროლებ,
მე როცა ლექსებს ვწერ, შენ თვალწინ მინთიხარ
და ჩუმად მკარნახობ სანუკვარ სტრიქონებს!

1966 წ.

იმ დღეთა მოგონება

მოგონება იმ დღეთა, სიჭაბუკის, ოცნების,
პოეზიის სასახლე, ახალგაზრდა მგოსნები.
ჭადრის გრილი ნიავი, გადახსნილი საკინძე,
რუსთაველის გამზირი, გალაკტიონ ტაბიძე,
მიდიოდა ვეფხვივით, მივყვებოდით ნუკრებად:
და მგოსანი ღიმილით შორით გვასაჩუქრებდა.
ოპერასთან აკაკი სუროს ტბაში მცურავი;
აღტაცებას უფრო დიდს ნუ ინატრებს ნურავინ.
ჩვენი გუნდი ბაღის წინ ლადოს მოსვლას ელოდა;
„აობს“ ვათქმევინებდით გზაში მირზა გელოვანს.
ქუჩა კალთას გვიშლიდა ბიჭებს გულმდუღარეებს.
რუსთაველის კვარცხლბეკთან ვათენებდით ღამეებს.
და ვერ წარმოგვედგინა ჩვენი გულის სამეფო
ლექსის წერის გარეშე, ანდა უერთმანეთოდ.
მაგრამ ომის ქარბუქმა შორით მიგვყარ-მოგვყარა;
მაინც დარჩა უდრეკად პოეზიის ქვეყანა.
იმ დროს ნათქვამ სიმღერებს დარდი ჰქონდა რაიმე?! —
შორეული სიბერე ახლოვდება... ვაიმე!..

1966 წ.

როცა ვნახე

როცა ვნახე შენი სახე,
წამს შევახე ხელი კალამს,
და ვით ციხე „მოდი ნახე“,
სულს დააჩნდი ღრუბლის კვამლად.
როგორც მახე, გულში ჩახველ,
სევდა-ნაღველს გავეზრახე
და სიმღერით შემოგძახე:
ჩემო კარგო საით წახველ?
რად მიმალავ შენს მზე სახეს?
რად არ მეტყვი შენს ტკბილ სახელს?
და ეს ჩემი მღელვარება,
დავჯე, ლექსად გარდავსახე!

1966 წ.

დაუწყია მერცხალს ბუდე

ჩემს ერდოზე მერცხალს ბუდე
დაუწყია... რა მეღირსა! —
წელს მექნება მეტი ხვავი
ლექსის, სიტყვის, სიმღერისა!..

პაწაწინა ჩიორებმა
ამიმღერეს სახლის ბანი
და ჭიკჭიკით გადმომძახეს
დედაჩემის დანაბარი.

ჩიორებო, მალხაზებო,
ძია შიოს ნაფერებო,
ღია არის სახლის კარი,
მობრძანდით და რაც გენებოთ

მიირთვით და მიითვალეთ,
პური, ფეტვი, რძე თუ თაფლი,
ყველაფერი მხოლოდ თქვენდა
შესახვედრად მოისწრაფვის.

არა მარტო სახლის ბანი,
ან ერდოზე ვიწრო კუთხე,
აქ — ჩემს საწერ მაგიდაზეც
მსურს ხანდახან შემოსკუპდეთ.

რომ შევიგრძნო თქვენს ჭიკჭიკში
ჩვენი სულის დამოყვრება,
რადგან ვიცი, თქვენს მოფრენას
გაზაფხული თან მოყვება!..

1966 წ.

* *

ვსვამ პოეზიის უტკბილეს ბადაგს,
ლექსია ჩემი სულის სტიქია,
მე საქართველო ლექსებით დამაქვს
და მისი მთები ლექსით მიქია.

არ მიძებნია სხვა სანუკვარი,
განძით, დიდებით სავსე საწუთრო,
მხოლოდ სიმღერა ვთქვა სანუკვარი,
რომ ყველას გულმა დაისაკუთროს.

ლექსია ჩემი სიცოცხლის ფესვი,
გამარჯვების თუ ტანჯვის სათავე,
მისი ჩანჩქერის შხეფები შევსვი,
ავიტოტე და ნაპირს გადაველ.

რომ ბნელი ღამის შევძლო შერისხვა,
სათნოებისთვის გავხდე ნუგეში,
რომ გუგუნებდეს ჩემი გულის ხმა
სამშობლოსა და ხალხის გულებში!

1966 წ.

გამოთხოვება ი. გრიშაშვილთან

ლექსისთვის სიტყვა ვერ მოვაბრუნე,
შენი სიკვდილი ისე მემძიმა,
და გულის სითბო, რაც მე მარგუნე,
თვალებს ცრემლებად ჩამოეწვიმა.

ლექსი ხომ გულის ამღერებაა,
შენს არ ყოფნაზე როგორ ვიმღერო?
სიტყვა ჰანგებად ვით დაიღვრება
ამ დიდი გლოვის სამაგიეროდ!

შენ იყავ კაცი, მაგრამ, ო, არა,
კაცი კი არა — კაცი ჩვენცა ვართ,
შენ დაჰყვებოდი ნიავს ონავარს
ხმამოღუღუნე მინდვრის ლერწამად.

შენ სუნთქვა იყავ ქართული ლექსის,
ხელთ გეპყრა მისი ნაზი სიმები,
მის ბედზე მუდამ ხმამაღლა კვნესდი,
თავს ცისკარივით დასციმციმებდი.

შენს სულში ენთო თბილისის დილა,
თითქოს მისი მზე შენ ერთს გებარა,
მან საიდუმლო შენ გაგიმხილა,
რომ ტკბილ ლექსებად გადმოგეღვარა.

რომ გვეგრძნო სიტყვის უშრეტი მადლი,
იღვენთებოდი, როგორც სანთელი,
თავს გადგა დიდი თამარის ლანდი
და რუსთაველის ჩანგის ნათელი.

მაგრამ გათავდა... შენც იმ გზით წახველ,
სულმნათ წინაპრებს რითაც უვლია,
ვინც ამაღლებდა სამშობლოს სახელს
და მისთვის შრომას არ დაუღლია.

და გული წყდებათ მტკვრის კლდეთა ბურჯებს,
ძველ ნანგრევებს თუ ახლად ნაშენებს,
რომ მზით ანთებულ თბილისის ქუჩებს
შენი ღიმილი არ დაამშვენებს.

მაგრამ დარჩები მუდამ სულმნათი,
სიტყვის ბეგთარით გაუცვეთელი,
როგორც მეტეხის თეთრი გუმბათი
და ნარიყალას ძველი კედელი!..

1966 წ.

გიორგი ლეონიძის ხსოვნას

შენს ტირილში მე არ მოვალ,
არ დაგხედავ კუბოს მძინარს,
ჩამქრალ თვალებს არ ვიხილავ,
არც ბაგეებს გაუღიმარს.

მინდა გულში ისე დარჩე,
როგორც იყავ, ლომის დარი,
თვალცისკარი, გულღადარი,
ქართულ სიტყვის მოისარი.

სანამ პირში სული მიდგას
და შენს სურათს ვუცქერ ვიდრე,
არ მოგავლებ შავ არშიას,
მკვდრად არასდროს წარმოგიდგენ.

პოეზიის დიდო მუხავ,
საქართველოს თავში მდგარო,
როგორ ჩაგდვათ სამარეში,
მიწა როგორ მოგაყაროთ!

არა, არ მსურს გნახო მკვდარი,
ვერ შევხედავ შენს დიდ კუბოს,
როგორ ვნახავ შენს ბადრ სახეს
უცეცხლოს და უსაუბროს!

მაგ სიკვდილით განა მოკვდა
შენი ჩანგი ფრთაბრიალა?
შენმა ლექსმა ქართლის მთები
ქუხილივით გადიარა.

შორს გასტყორცნა გულის შუქი,
სიკვდილის ზღვარს გააცილა,
გააწბილა მისი ხუნდი,
უკვდავება გარგო წილად.

არა, არ მსურს განახო მკვდარი,
ვერ შევხედავ შენს დიდ კუბოს,
როგორ ვნახავ შენს ბადრ სახეს
უცეცხლოს და უსაუბროს!

მინდა გულში ისე დარჩე,
როგორც იყავ — ლომის დარი,
თვალცისკარი, გულლადარი,
ქართულ სიტყვის მოისარი!...

1966 წ.

მოდერნიზმით გატაცებულ პოეტებს

გზა პოეზიას!..
            გზა პოეზიას!..
ღამურებივით ნუ შემოესიეთ,
ნუ გიბნელდებათ მზეში თვალები!
ბევრნი ყოფილან,
            ბევრს უბორგია,
ბევრიც გამქრალა თქვენისთანები!

ისმის უაზრო თქვენი ზუზუნი,
ახორებთ სიტყვებს ყრუ რითმებიანს,
და მე მაღელვებს, ზოგჯერ უძლურნი
გოლიათებად რომ ითვლებიან.

თქვენ, მომღერლებო გაჩეჩილ თმების,
თქვენი ლექსები ბანგის ტყვე არი,
ვით უსიმებო ჩონგურის ხმები,
როგორც უენო ზარის წკრიალი.

გაჩენის დღესვე უხმოდ ქრებიან,
ფერფლად რჩებიან მემატიანეს, —
უსიმო ჩონგურს განა ხმები აქვს,
უენო ზარი განა წკრიალებს?

სიტყვა და აზრი,
            აზრი და სიტყვა!
მხოლოდ ეს არის სიმღერის დედა,
რომლითაც რაღაც უხილავს იგრძნობ,
სამყაროს მიღმა გადაიხედავ.

ლექსი მოსდევდა ქართველთა გვარ-ტომს,
აბჯრად აგვასხეს ფშაველ-მესხებმა,

რუსთველის, ვაჟას, აკაკის პატრონს
სხვისგან რად გვინდა სულის სესხება?!

სხვისი ბაღისკენ რად იშვერთ ხელებს?
შეხედეთ ჩვენს მთებს, კლდეებს, მონასტრებს,
ყურს თუ დაუგდებთ, პატარა ღელეც
ნამდვილ პოეტურ ჰანგებს მოგასმენთ.

უცხო ქვეყნების გიპყრობთ ტრფიალი,
ჩვენთვის რამე სჯობს რუსთველის გამზირს?
როგორ გიზიდავთ ველურთ ღრიალი
ფალიაშვილის მუსიკით გაზრდილთ?!

მონად გაუხდით აბსტრაქციონიზმს,
გენიოსებად სახავთ ძმა-ბიჭებს,
თავი გგონიათ გალაკტიონი
და დედამიწას მძიმედ აბიჯებთ.

მაგრამ რა არის პოეტის შრომა,
იფიქრო, სწერო, ბეჭდო, იწვალო,
და შენი ლექსის ერთი სტრიქონიც
ხალხმა ზეპირად არ დაისწავლოს!

გზა პოეზიას!
            გზა პოეზიას!..
ღამურებივით ნუ შემოესიეთ,
ნუ გიბნელდებათ მზეში თვალები!
ბევრნი ყოფილან,
            ბევრს უბორგია,
ბევრიც გამქრალა თქვენისთანები!

1966 წ.

* *

ბევრი თუ მეტყვის:
რად სდუმხარ,
რად არ იმღერი ხშირადო,
— ხალხს ვუგდებ ყურს და
არ მინდა
ლექსის ხმა გავაპირადო.

არ ავყოლილვარ აროდეს
სხვათა ხმის უშნო როკვასა,
არც მივჩვევივარ დიდკაცთა
მუხლისთავების ლოკვასა.

ზოგჯერ სულ წარმოსდინდება
ღვინო რაცა სდგას კოკასა;
ხანდახან წამოჩოქებაც
ხომ უნდა ირმის მოკვლასა?

თუმცა რად უნდა იმღერო.
გინდ ააფრინო ალალი,
თუ ყურის ბამბა ვერ გასჭრა,
ვითომც სიმღერა არ არი!

დრო არის, კრიტიკოსებო,
თვალზე საბურველს იხევდეთ,
თორემ იმგვარად დადიხართ,
ქვასაც ვერ ამჩნევთ რიყეზე.

გაოხრდეს იმის კალაში,
ვინც თქვენი ქება ინატროს;
დიდება მხოლოდ ხალხის გულს,
სადაც ნამდვილი პოეტი
სამარადისოდ ბინადრობს!.

1966 წ.

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი
მივცე ზღვის ღელვას...

ნ. ბარათაშვილი

• •

სიცოცხლე არ მწამს,
სიკვდილიც არ მსურს,
მაშ, რა ვქნა, მითხარ, ჩემო იმედო,
რა იქნება, რომ ტკბილი ღიმილი
ერთხელ ჩემთვისაც გამოიმეტო?!

მე პოეზიის უმანკო ფრთებით
ვეჭიდებოდი მარადისობას,
მაგრამ ცხოვრებამ მომაბა ლოდი
და ზღვაში ისე გადამისროლა.

შემიპყრო სევდამ,
და როგორც ელდა
დამეცა მისი სიმძიმის ძალა,
სულის ამოთქმაც არ დამაცალა,
და როგორც თოფი, ისე დამცალა.

ლექსი გათავდა, როგორც ყიხული
დადნება ხოლმე სიმხურვალეში,
ისე წავიდა ცხოვრება ჩემი,
ვეღარ გავიგე მისი ალერსი.

სიცოცხლე არ მწამს,
სიკვდილიც არ მსურს,
მაშ, რა ვქნა, მითხარ, ჩემო ძვირფასო,
რა იქნება, რომ ჩემს ფიქრთა ბაღში
ზოგჯერ ბულბულად გაიკისკასო?!

* *

მე შენს სიყვარულს მტლად დავედევი
შენ კი ამაგი არ დამიფასე,
გამოაცალე გულს იმედები,
სამაგიეროდ მწუხრით ამავსე.

არ დამანებე არბენა მაღლა,
არც დამაღამე, არც გამათენე,
გადამიარე გულზე ნიაღვრად
და ჩემი რწმენა ფეხქვეშ გათელე.

არ მომეც ნება, საქვეყნო ხმებად
რომ შენი ქება მეთქვა სხვისთვისაც,
მაგრამ ეს გული კვლავ შენთან რჩება,
ეულად ყოფნა ვერ შეითვისა.

და სულში მწუხრის ზარები რეკენ,
გარეთ ქარია, ციდან წვიმა ცრის,
მე ვილტვი შენკენ, მე ვილტვი შენკენ,
შენ კი მიდიხარ, საით, ვინ იცის?!.

* *

მე ვარსკვლავების ხეტიალს ვუმზერ,
მე ვხედავ მთვარე როგორ ბრიალებს,
მათი არილი მაცვივა გულზე
და მიშუქებენ სულში იარებს.

მეც მთა-ზღვა შორის ბევრი ვიარე,
ქარიშხლის ტალღებს ავყევ-დავყევი,
ტკივილი მაინც ვერ დავიამე
და სიყვარულის დავრჩი ნაყმევი.

დავრჩი ცხოვრების მიუსაფარი,
უკიდეგანო, როგორც ღრუბელი,
აღარ ანათებს ჩემს გზას ლამპარი,
ნავი ვარ, გემზე გამოუბმელი.
შევიგრძენ ქვეყნის ამაოება,
ცისარტყელებმა ცივად იელვეს,

მე მივაღწიე უსაზღვროებას
და დავინახე სიცარიელე!..

* *

თვით ჩემი სიტყვა, თვით ჩემი ლექსი,
თვით ჩემი აზრი არ არის ჩემი...
დავდივარ, როგორც ოკეანეში
უიალქანოდ მცურავი გემი.

ამოვარდება დროდადრო ქარი,
საითაც უნდა, იქით წამიღებს,
ამიტომ ლექსებს და ჟღერას ქნარის
დროით, ეპოქით ვერ ვათარიღებ.

ურწმუნოება სულს დაეუფლა,
არა ჩანს ბოლო ან დასასრული,
რა გვეშველება, რა გვეშველება,
რომ არ გვათბობდეს სუნთქვა წარსულის.

ამაო არის შრომა და ჯაფა,
გზად ჩვენი კვალი რჩება წაშლილი;
მაინც წინ სწრაფვა, მაინც წინ სწრაფვა!
ასე მოგვძახის ბარათაშვილი.

* *

ჩემთან ღრუბელო ფრთამოტეხილო,
სხვასთან — ცისკარო გათენებულო,
ნეტავი ოდეს თვალით მეხილოს,
შენც რომ დარდები ჩემებრ გებუროს.

მაშინ იგრძნობდი ჩემს გაოგნებას,
ყოფნა-არყოფნის შუა გარჩენილს
როგორ მელევა ხელში ცხოვრება,
ვით სალი კლდეზე დენა ჩანჩქერის.

შენ იყავ ჩემი ლოცვის ტაძარი,
სულში ქარიშხლის ძალას ვგუბავდი,

მაგრამ კარებში ვერ გავასწარი,
ისე დამენგრა თავზე გუმბათი.

ისევ ცრემლით მაქვს თვალი მორწყული,
შენს ჩრდილსაც რომ არ დამასაკუთრე:
რაღაა ლოცვა იმგვარ მორწმუნის,
რომელსაც ხატი თვალში აფურთხებს'..

* *

მე შენს სიყვარულს რომ ვლირსებოდი,
შენი ღიმილი ერთხელ მეხილა,
ღვთიური ძალით აღვივსებოდი,
ვერ წამაქცევდა ზეცა მეხითა.

მაგრამ გზად ეშმა გადამეხიდა,
შენს წმინდა ბაგეს არ მიმაკარა,
დასეტყვა ჩემი ბაღი ხეხილთა,
და დამიშრიტა წყარო ანკარა.

გულს შემოავლო ცეცხლი თაკარა,
დანაცრა ყველა ჩემი ოცნება,
ვეღარ ვახერხებ მშვიდად ლაპარაკს,
დავაგდე ხატი ღმერთზე მლოცველმა.

ვით შევურიგდე ამ საოცრებას,
რომ სიყვარული ნისლი ყოფილა,
ჯერ მპირდებოდა მზის გადმოცემას,
ია-ვარდები გულზე მომფინა.

მერე განმაშთო წუთისოფლიდან,
მდგური გამხადა ულრან-მღვიმეთა,
მისი პატარა შუქი მყოფნიდა
და ჩემთვის ისიც არ გაიმეტა.

მაგრამ გულს დარჩა მცირე იმედად
გრძნობა, რომელიც მას შეალია,
ჭვრეტდეს ვარსკვლავებს მოციმციმეთა,
რომლებიც მუდამ ცაში არიან!..

1966-67 წ.

ყველგან საქართველოში

აქ, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ,
ოდესმე იდგა რუსთველი,
ამ მაღალ მთების მცქერალი,
ამ ლაღ ჰაერის მსუნთქველი.

ამა მზის სხივთა შემკვრელი
ლექსების ხელეურებად;
იქნებ აქედან უყვარდა
თამარის თვალთა ყურება.

იქნებ ამ ველზე აღმოსთქვა
მან ავთანდილის სიმღერა,
მარადი სიყვარულისთვის
მეფენი გადაიმტერა.

იქნება ვაჟას არწივი
აქ დაითრიეს ყორნებმა,
იქნებ სამშობლომ აკაკის
აქ გაუბრწყინა გონება.

იქნება ბარათაშვილმა
აქ გააქროლა მერანი,
იქნება გალაკტიონმაც
აქ ამოაშრო მელანი.

მე კი რა ღმერთი გამიწყრა,
რომ ჩემი ქვეყნის საუნჯე
უკვდავ მშვენებით მაღელვებს
და ლექსის თქმისთვის მამუნჯებს!

1967 წ.

ჩემი და შენი სამშობლო

მეგობარ უკრაინელ პოეტს,
ოლესა ნოვიცკის.

ჩემია ჩემი სამშობლო,
შენი სამშობლო შენია;
ეს სალოცველი გულისა
ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია.

მე ჩემი მიყვარს, შენ — შენი,
გვაქვს სიყვარულის ბარაქა,
ამიტომც ჩვენმა ცხოვრებამ
გაილაღ-გაიარაგვა.

ახლაც მახარებს ბილიკი,
ბალღობის დროს რომ მივლია;
ჩემი სამშობლოს მთების რძე
დედის ძუძუსებრ ტკბილია.

სიამით ავსებს თვალს და ყურს
ბუჩქებში ბულბულთ გალობა,
ცის თაღზე ვარსკვლავთ კენჭები
დახვავებული კალოდა.

ვისაც თავისი არა სწამს,
გულს არ უნთია ხატივით...
ჩემმა სამშობლომ მასწავლა
სხვისი სამშობლოს პატივი.

და მინდა შუქი გეფინოს
ჩემი მზის გაზაფხულიდან;
მეც მალხენს შენი სამშობლო,
რადგან შენ გიყვარს გულითა!..

1967 წ.

სიყვარული

სიყვარულზე ვის არ უმღერია,
სიყვარულით ვინ არ დასეტყვილა?
სიყვარული მარტის ღრუბელია,
ხან გაცრემლებს, ხან გახარებს ტკბილად

სიყვარულმა ბევრი დაამწუხრა,
სიყვარულთან მეფეც დაჩოქილა,
სიყვარულსა, როგორც ველზე ვუხა,
თვით სიცოცხლე ეფარება ჩრდილად.

სიყვარულმა მეც დამიგო მახე,
სიყვარულმა ამამღერა მხოლოდ,
სიყვარულში ამაღლება ვნახე,
მაგრამ მანვე გამაწბილა ბოლოს.

სიყვარულო, დაიქეცი ბარემ,
შენგანა მჭირს გულის მწარე კვნესა,
ჩემს ახლოს ხარ დალეული მთვარე,
მშორდები და ემსგავსები მზესა!..

1967 წ.

ღვინის სადღეგრძელო

ღვინო გამდნარი ოქროა,
ემბაზი სიყვარულისა,
მზეა, ჭიქაში ჩაღვრილი,
ამფეთქებელი სულისა.

ღვინო არაგვის ტალღაა
ძარღვებში მიმომქუხარი;
ღვინოს ვაქკაცთან შეხვედრა
სიყვარულივით უხარის.

ღვინოა დარდის წამალი,
სულში შემტანი შუქისა,
თვალებში ელვად გააკრთობს
გულში ჩადენილ ქუხილსა.

ღვინო უძლევი ძალაა,
გამწევი მძიმე უღლისა,
კაცის სიცოცხლის განმგრძობი
და დამლოცველი უფლისა.

ღვინო დამისხით, დამისხით,
ღვინო დავლიოთ, დავლიოთ,
რომ ჩვენი წუთისოფელი
დარდის გარეშე გავლიოთ!..

1967 წ.

ალავერდის ტაძართან

ალავერდო, გთხოვ, მავედრო
შენი სრულქმნის სიძლიერეს,
ჩემი სული სანთლად გენთოს,
ჩამოგვხედე მიწიერებს.

ალავერდო, არ ინებო
დავიწყება ბალავრისა,
ბნელში დათქმულ ქვათა ძალამ
აგამაღლა ღაღადისად.

თეთრი კედლის შუქით ვთბები
და გუმბათის მხიბლავს ეშხი;
შენი ჯვარი ნისლის ფრთებით
გარეულა ვარსკვლავებში.

კვლავ ამაღლდი ველთა ზედა,
ხმა შთაბერე ჩამქრალ ზარებს,
განაწამებ ქართველის დედას
დამწვარ მკერდზე დაეფარე.

ალავერდო, გთხოვ, მავედრო,
შენი სრულქმნის სიძლიერეს,
ჩემი სული სანთლად გენთოს,
ჩამოგვხედე მიწიერებს!..

1967 წ.

იავნანა

იავნანას როცა ვისმენ, მეფინება გულზე ია,
თითქოს მშობლიური მთებით მონაბერი ნიავია.

იგი მზრდიდა ბალღობიდან დედის უტკბეს რძესთან ერთად;
თითქოს ვდგავარ ხელანკესით ჩემი სოფლის მდინარესთან.

თითქოს მესმის აკვნის რწევა, ღინჭილების ხაჭახუჭი,
შიგ ბურცხალა ბიჭი გორავს, თვალბრიალა, თმახუჭუჭი.

მინდვრად დასდევს ფრთაჭრელ პეპლებს,
კაკლით ივსებს კალთა-უბეს,
კენწეროებს დალმა არხევს, არ აყენებს ჩიტის ბუდეს.

გადაპენტილ ზამთრის დილით მუხლზე თოვლში კოტრიალი,
ყინულების ჩურჩხელები მარტის მზეში მოტირალი.

ყვავილების ველზე ცვენა — დილის ცვარით დანამული,
ხევში ვერცხლის წყარო, როგორც ხმაწკრიალა სალამური.

დედის კაბის შარიშური, თავმანდილის ქარში ფრენა;
მხოლოდ მათ შუქს შეუძლია ჩემი ლექსის გადარჩენა.

იადონის ხმით მოსილი ჩემი ტკბილი დედა ენა
რა გისმინე, წამს გულიდან სევდის ჩრდილი განიდევნა.

როცა მესმის იავნანა, გულზე ია მეფინება,
ტკბილი ყრმობა მაგონდება და საამოდ მეძინება!..

1967 წ.

ჩვეულებრივი კაცი

ხეს რომ ფოთლები დასცვივა, ისევ ამოვა ახალი;
ჩვეულებრივი კაცი ვარ, მხოლოდ სული მაქვს მაღალი.

ჩემი სამშობლოს ველ-მინდვრებს პეპელასავით დავხარი,
გულში სიმღერის ხვავია, ვით სკაში ფუტკრის ნაყარი

ამოქროლდება ნიავი, ამივსებს გულის ბუდესა,
დამავიწყდება, რომ ქვეყნად სიკვდილსაც წილი უდევსა.

თვალს გავუსწორებ ვარსკვლავებს, გავხედავ ირმის ნახტომსა,
ვინატრებ: ყველა მწვერვალი სურვილმა გადალახოსა.

მზისა და მიწის ჭიდილში ქვეყანამ გაილაღოსა,
მეც ჩემი ლექსის ფუტკარმა ეინდვრის ყვავილად მნახოსა....

გულს ამოსწოვოს ბოლომდე, სიტყვის სიამე რაც არი,
და ჩემს სამშობლოს ასხუროს, როგორც თაფლი და შაქარი.

შემდეგ სიცოცხლის ლამაზ ხეს როცა ფოთლები დასცვივა,
მეც წავალ, რადგან სხვებიეით ჩვეულებრივი კაცი ვარ!

1967 წ.

* *

მე შენს ნატვრაში ვათენ-ვაღამებ,
ცხრა მთა თუ ცხრა ზღვა გვაშორიშორებს;
ხანდახან ჩუმად ცრემლიც დავღვარე,
მაგრამ ნუგეში ვერსად ვიშოვე..

სიზმარში მაინც მეჩვენე ერთხელ,
შენი ხატება დამალოცვინე,
მერე თვალების სეტყვით დამსეტყვე,
გინდ შემომწყერი, გინდ შემომცინე,

ოღონ შორიდან გამომეცხადე,
გულს მაგრძნობინე იების ფენა;
სიცოცხლეს გავცვლი ერთ შავ მერცხალზე,
რომ შენს ხახლის წინ შემეძლოს ფრენა.

ყველა წამალზე უმალამესო,
ყველა ტკივილის დამაყუჩებო,
მინდა შენი მზით სული ამევსოს
და მერე სიკვდილს მუშტი ვუჩვენო!

1967 წ.

♦ ♦

მე კი არ ვხუმრობ! შენმა თვალებმა
მართლა წამართვეს ვაჟკაცს ძალ-ღონე!..
და მაგიერად, სასიყვარულო
შენ ერთი სიტყვაც არ გამაგონე!

ო, როგორ ვწუხვარ, რომ გვიან შეგხვდი
და ჩავლილია ჩემი მდინარე...
იმედის შუქად მაინც გამიჩნდი,
ჩემს ავადმყოფ გულს ესხივმფინარე.

როგორ მახარებს, რომ ქვეყანაზე
მეც იმ დროს ვცხოვრობ, როცა შენა ხარ;
ცის ელვარებას მაინც ვიგრძნობდი,
თუნდ მზე არასდროს არ დამენახა.

როცა შემხედავ და გულს დამიარს
შენი თვალების შუქთა მეწყერი —
თითქოს შევდივარ სვეტიცხოველში
და იქ ღვთისმშობლის ხატებს შევცქერი.

მინდა იმ ხატთან სანთელი ვანთო
ჩემი პოეტურ შემოქმედების,
და სულ ვინატრო, რომ საქართველო
აივსოს შენებრ ლამაზ დედებით!

1967 წ.

• •

ღვთაებავ ჩემო, სიყვარულო დაუშრობელო,
ჩემს ჩამქრალ გულში ლექსის ცეცხლის წარმომშობელო;

ოცნების ციდან ჯავრის ღრუბლის გადამწმენდელო,
თვით ჩემო სულო, ჯოჯოხეთშიც წაუწყმედელო.

სიმღერავ ტკბილო, სიკვდილამდე შეუწყვეტელო,
დაუნგრეველო მომავალის რკინის კედელო.

მე ყავარჯენად შენი ლანდის შუქიც მეყოფა,
რომ ავმა სენმა ვერ გაბედოს ჩემი ხელყოფა.

რადგან შენს სახეს, მზედ ანთებულს, გულით მოველტვი,
შენს დარიგებას აღვასრულებ, ვფიცავ ყოველთვის!..

1967 წ.

♣ ♣

შენი თვალები, ცეცხლის თვალები,
ჩემი ცხოვრების დამაჭთავრები;
რა თავისუფლად დაენავარდობდი,
რა გამოუვალ ქსელში გავები.

სადაც გავხედე. სადაც წაველი,
გადავიარე ცხრა მთა, ცხრა ველი,
და ყველგან, მუდამ თან დამყვებოდნენ
ნაპერწკლიანი შენი თვალები.

ახალგაზრდობა განვვლე წვალებით,
უხვად დამედო ლექსის ვალები;
სიბერის ჟამსაც მაგ ცეცხლის თვალებს,
ალბათ, ვეღარსად დავემალები!..

1967 წ.

* *

ვერ გასწავლე სიყვარული,
ვერ გაგზარდე სულის მეფად,
დაბრძანდები ჩემს ბაღჩაში
მხოლოდ ხილის დასაკრეფად.

გზნების წყაროს დასაშრობად,
გულის ტახტის დასალეწად...
და მტევნები პოეზიის
ვერ დაისხა ვაზის ლერწმა.

სულის ტრფობა სხვა რამეა,
მისი ცეცხლი მარტო მე მწვავს;
ხომ იცი, რომ უქარბუქოდ
არ ამოდის ხმა ტბის ლერწამს.

შენი ქარი კი ისე ქრის.
ლამის უფსკრულს გარდამხვეწა,
გეაჯები, მაგრამ შენს ყურს
არ ეგების ჩემი ხვეწნა.

ჩემგან ლექსი გინდა მხოლოდ
გასაკილად, გასაკენწლად;
წყეულ იყოს ღმერთი, ვინაც
ჩემს ამკლებად გამოგძერწა!..

1967 წ.

ძეგა ქართულ სილამაზეს

უცნობ ასულს, რომელსაც ეხვდები
რუსთაველის გამზირზე

მე არ ვფიქრობდი შენზე სრულიად,
და რუსთაველზე როდესაც გნახე,
ვთქვი: ეს ფრესკიდან ჩამოსულია
ანგელოზის თუ ღვთისმშობლის სახედ.

გნახე და უმალ გული აღმიგზენ,
რომ მხოლოდ ერთადერთი ასული
დადიხარ შოთას ლამაზ გამზირზე
და შენში ბრწყინავს ჩვენი წარსული.

ვერ გაგიტაცა ბევრის სიცეტემ,
არ აჰყოლიხარ მოდურ ცდუნებას
და ლერწმის ტანი არ გაიმეტე
სიველურეში დასაბრუნებლად.

შენი თვალების წამწამთყრილობა
ჰგავს იალაღზე მოსულ მაისებს,
და გიშრისფერი თმის ვარცხნილობა
გმატებს ქართველურ სიდარბაისლეს.

ქალს თმა ამშვენებს, ვით ხეს ფოთოლი
როგორც ვარდის ბუჩქს ყვავილთ ფურცელი,
ზოგჯერ მას შეცვლის წვიმა და თოვლი,
მაგრამ სიმწვანე რჩება უცვლელი.

აწეწილ ყვავილს შნო ვით ექნება,
გაძარცულ ტოტებს სიო არ არხევს;
უეცრად გული ამიფეთქდება
შენი ლამაზი თმების დამნახველს.

მე შენი ქებით, ძვირფასო დაო,
კი არ ვატარებ უამურ აზრებს,
არამედ დროსთან ვიბრძვი და ვდავობ,
რომ დაუკარგა ქალს სილამაზე.

ქართველი ქალი აწრთო ძველ დროში
ბრძოლების ცეცხლმა და იარებმა,
დღეს, განათლებულ საქართველოში,
თითქმის შიშველი დაიარება.

თუნდ ჩამორჩენა ბრალად დამწამონ
და სიყვარულშიც არ შემიცოდონ,
თმააბურძგვნილ და უწარბწამწამო
ქალს მშვენიერი როგორ ვუწოდო?!

უცხო ჟურნალებს შენაც კითხულობ,
სხვადასხვა ქვეყნის ფილმებს ნახულობ,
მაგრამ ამისთვის არ მედიდურობ
და არც გსურს ყოველ ღმერთს ემსახურო.

დადიხარ ნაზად, როგორც შეჰფერის
ქართველი ქალის ჰაეროვნებას,
სხვათა ნიღაბის არ ხარ მძებნელი,
არ ემსგავსები სხვა ეროვნებას.

და შემიყვარდი, მიტომ კი არა
შენი მანდილის შუქი შევბღალო,
არა, მე მინდა შენთვის წკრიალა
სიმღერით ყელი არ დამეღალოს.

მე შენი ქებით, ძვირფასო დაო,
კი არ ვისახავ უამურ აზრებს,
არამედ დროსთან ვიბრძვი და ვდავობ,
რომ დაუკარგა ქალს სილამაზე!

1968 წ.

ახალგაზრდობას

სიჭაბუკეს გავცდი უკვე,
მაგრამ გული მაინც ღელავს,
მაინც ილტვის ლექსის სიმის
ხალხის გულზე გასაბმელად;
ბრძოლის გზაზე სევდის ქარმა
ოუმცა ბევრჯერ დაგვიხელა,
მაგრამ რწმენა მომავლისა
მუდამ გვენთო ცისარტყელად.

წინაპართა კვალს გავყევით,
ჩნდა, ვით დევის ნამუხლარი,
ჩვენც გავტეხეთ ის ყამირი,
რაც მათ დარჩათ დაუხნავი,
მტერს მახვილი მივაგებეთ,
მოძმეს ლუკმა გავუყავით
და მოზღვავდა გულში ტალღად
სიხარულის ოქროს ხვავი.

დროშაზე თქვენ ორდენს ხედავთ,
ჩვენ ვხედავდით სისხლის წვეთებს,
მოდიოდა ერთზე ასი,
გზები მკერდით გადავკეტეთ;
შემდეგ ოფლით ვაშენებდით
ახალ ქვეყნის მაღალ კედელს;
ვისწრაფოდით და ვიყავით
ჯამარჯვების მოიმედე.

ახლა, როცა იმ გზებს ვზომავთ,
ვზეიმობთ და გულით ვხარობთ,
გვაამაყებს ჩვენი შრომა,
გამოვსულვართ საბალნაროდ,

გვიდგას ოქროს შემოდგომა
და გვსურს შვილებს დაგიბაროთ,
რომ სამშობლოს სადიდებლად
მარტო სიტყვა არ იკმაროთ!

დღეს სულ სხვაა თქვენი ძალა
და ბევრიც გაქვთ საამაყო,
ჩვენ ბილიკზე დავბორგავდით,
თქვენ დაფრინავთ მზესთან ახლო;
სულ გეფრინოთ, მაგრამ ციდან
მიწაც უნდა დაინახოთ,
ხეს თუ ფესვი არ ექნება,
ვერ მოისხამს მწიფე ნაყოფს.

სიჭაბუკე სიცოცხლეა,
მზის შუქია სადილაო,
არ იქნება არ იშფოთოს,
არ ეძიოს, არ იდავოს:
ფილოფლიოში ყველას ხიბლავს
თქვენი წინსვლა საიგავო,
სიჭაბუკეს ცაშიც უნდა
მზის ადგილი დაიკავოს.

და მე მინდა ჩემი ლექსი
იყოს თქვენი გზების ლოცვა.
რომ გქონოდეთ კიდევ ბევრი
სიყვარულის გარემოცვა,
ბედნიერი ლხინისაგან
არასოდეს გქონდეთ მოცლა
და მამებიც გაგვიხსენოთ.
წარმატებას აღწევთ როცა.

ნახევარმა საუკუნემ
გამარჯვება ჰპოვა სრული,
ზეცის მაღალ თაღებშია
ჩვენი დროშა ვარდასხმული,
გულებს გვივსებს სიამაყით
განცდილი და გარდასული,
თქვენთვის იყოს ბედნიერი
საუკუნის დასასრულიც!

1968 წ.

* *

ერთხელ რომ შენი კოცნა მღირსებოდა,
ერთხელ რომ შენს ლოყას შევხებოდი,
ვერაფერი შეაკრთობდა ჩემს ღირსებას,
თუგინდ ქარიშხალსაც მკერდით შევხვდებოდი.

ერთხელ რომ შემერხია შენი საყურე,
მე განა ოდესმე დავიკვნესებდი?
შენ ჩემი ცხოვრების კარები დახურე,
შიგ დარჩა შენზე მტირალი ლექსები.

მთელ ჩემს სიცოცხლეს აღარ დავშურავდი,
და პოეზიის ძალას, რაცა მაქვს,
ოღონდ დამეხატა შენი სურათი
ჩემი ოცნებების დასანაცრავად.

მაგრამ ყოველივე გახდა ამაო,
ახლა ქვეყანაზე ვარ და არცა ვარ,
შენ ჩემი ცრემლების ტბაში ბანაობ
და ძალა არ მყოფნის თავდასაცავად!

1968 წ.

* *

იმ ღელვას გაუმარჯოს, გულს რომ გამიჩინე,
როგორც გსურდეს, დამტანჯე, ოღონდ გამიცინე.
ხანდახან გადამაყარე ღრუბლის ნაფლეთები,
თორემ გაჭაღარავდა დარდით საფეთქლები.

შენი გულის ცემისთვის დამაყურებინე,
ჯეჯილი ხარ, ნიავზე ლაღად მობიბინე.
შენმა თვალთა ბრიალმა გული ამიტოკა,
წამწამების ისრები დამეხვია თოკად.

და რად გიკვირს გრძნობათა ესოდენი ღელვა?
მოგიზგიზე ალისგან ფოლადიც კი დნება!
აღარ გესმის დაჭრილი გულის კარის მტვრევა?
მარტო შენი უთქმელი სიყვარულის ტყვე ვარ!..

1968 წ.

ახალი წლისადმი

რაღაც სხვანაირი ლექსი მინდა,
რაღაც სხვაგვარი სიმღერა მსურს,
რომ გაგვიღვიძოს გრძნობა წმინდა,
რომ ეხალისებოდეს სულს.

ამ სიხარულით შთაგონებული
ვიმორჩილებდეთ ყველაფერს ძნელს,
არავინ იყოს დაღონებული,
ტკბილ სიმღერებით ვივსებდეთ ყელს.

ახალწლის მოსვლა ბედნიერებაა,
ცაო დიდებულო, გახსენი გზა,
მხოლოდ ვარსკვლავების გვინდა მოფერება,
მოვდივართ ჩვენ და არავინ სხვა!

ქვეყნად სულ რომ გაზაფხული იყოს,
ისიც ხომ მობეზრდება გულს?
და შენაც კარგად უნდა გაგვიგო:
ყველაფერი ერთფეროვანი გვძულს!

ჯერ ხომ არც კი ვიცნობთ ერთმანეთს,
ჩვენ მხოლოდ შენი იმედის გვწამს,
გთხოვ, სხვანაირი ლექსი მოგვიტანო,
რაღაც სხვაგვარი სუნთქვა და წვა!

1968 წ.

ენგურის სიმფონია

პირველად იგი იყო ოცნება,
იგი ოცნება იქცა ფიქრებად,
ფიქრები იგი იშვა სიტყვებად,
იგი სიტყვები იქმნა წიგნებად.

წიგნებმა ფრთები შეისხეს მალი,
მიმოეფინენ ქვეყნის კიდე-განს;
გულები ხდება გრიგალის ძალის,
სულს ღელვის ცეცხლი წაეკიდება.

და ხალხმა მუშტი შემართა მაღლა,
სასახლის კარმა დაიწყო მსხვრევა,
იმ დიდი ზამთრის ყინული გალღვა
და გაზაფხულმა გამოიმზევა.

მერე „ავრორამ“ დაიმქუხარა
და ჯავშანოზე გადმოდგა კაცი,
თქვა: კმარა, ხალხმა რაც სისხლი ღვარა,
თავისუფალნი ვიქნებით აწი!

თავისუფლებამ ყველა უფლება
დაუთმო შრომას ადამიანურს;
და მის წინაშე მთებიც უქმდება,
ენგურიც დასთმობს ზღვისკენ სიარულს...

ეს გახსენება თავად მეწვია,
როცა შევდექი ენგურის პირად,
სადაც იწყება სვანეთის მთები,
ზღვისკენ დაძრულნი, როგორც ლომები;

კაცი შებმია, დაულეწია
კლდეები მარად ბნელში მდგომელი;
შევცქერი, ვხარობ და ეუფლება
გულს სიამაყე განუზომელი.

მთამ გადახვიოს მთას უნდა მხარი,
გზა გადაუჭრან ენგურს ღონიერს;
პირველად თითქოს გაჯიქდა ხარი,
ბოლოს ნებაზე დაიყოლიეს.

მე ვხედავ ყველგან მღელვარე გულებს,
დაძარღვულ კუნთებს, მოქნეულ მკლავებს;
ხევში გმირული შრომა გუგუნებს,
მთებს შესევიან და ღამეს ჰკლავენ.

წყალი ცეცხლს აქრობს,
აქ კი ცეცხლს აჩენს,
თვისება ძველი რამ შეუცვალა?
— აი იმ მრავალ ოცნების, ფიქრის,
სიტყვებისა და წიგნების ძალამ!

შენ გაიხარე, სამშობლო მთებო,
ტყეო, მინდორო, ბაღო, ვენახო,
ადამიანის სულის ამგზნები
რათა სიცოცხლის მზე მოგვეახლოს.

სვანეთის მთები მოჰგავს ჯავშანოს
და მეჩვენება: ზედა დგას კაცი,
რომლითაც თითქოს მზე იჩრდილება,
ვინაც გვასწავლა მთათა გარღვევა
და სტიქიათა დამორჩილება!

1968 წ.

ჰიმნი გაზაფხულს

მაისის თვალი იაა, მერცხალი სალამურია,
წყარო დამდნარი თოვლია, მინდვრებს ცის ნამი სწყურიათ,
ცაში ტოროლას ხმებია, ბაღებში ბულბულთ გალობა,
სიმშობლოს ნუ მოაკლდება, მზეო, ეგ შენი წყალობა!

მაისი ისე მობრძანდა, ადრე არ გაგვაგებინა,
თითქოს ფოთლებიც უცდიდა, ახლახან გამოეფინა,
მზემ მინდორ-ველი აავსო სხივების ოქრო-ვერცხლითა
და ქარიშხალმა ჩონგურის სიმებთან ომი შესწყვიტა.

დროშები წამოიმართნენ შავი ზღვის ტალღებივითა,
მშვიდობის მტრედი აფრინდა, დანიშნულ ადგილს მივიდა;
დროშებს მოჰყვება ჭაბუკთა სიმღერის აგუგუნება,
რომ ამოძრავდეს სამყარო, იდიდოს საუკუნემა.

რომ ვარსკვლავების სიაში იწერებოდეს გმირები,
რომ გამარჯვებით დასრულდეს ბრძოლებში დანაპირები,
რომ ვაზაფხულის აღლუმი მიიღოს შთამომავლობამ,
ჩემს მამულს ნუ მოაკლდება, მზეო, ეგ შენი წყალობა!

1969 წ.

* *

სიჭაბუკეში არ მქონდა ბედი
და ჩემი მტრედი წამართვა ძერამ;
ის დადიოდა, ვით თეთრი გედი,
ხანდახან შორით მტყორცნიდა მზერას.

მაგრამ არ იქნა, ვერა და ვერა,
ვერ ჩავაყენე გული საგულეს;
ის შეეგუა თვის ბედისწერას,
მე კი ცრემლებმა გამანადგურეს.

ის გახდა სხვისთვის სხივთა მფინარი,
ჩემთვის — მყინვარი მიუკარები;
და როს სიბერემ ჩამოჰკრა ზარი,
მერე გავაღეთ გულის კარები.

მაგრამ რაღაი! ჟამთა ღრუბლებმა
ცა დამიჩრდილეს, გაქრა ნუგეში;
არ განახლდება, არ დაბრუნდება
ის, რაც დავკარგეთ სიჭაბუკეში.

და სინანული დარდად გვეწევა
და დაგვეწყება სულის დაზრობა;
გაფრენილ დღეებს ვინ დაეწევა,
ვინ დაგვიბრუნებს ახალგაზრდობას?!

1969 წ.

• ■

ვაითუ შენმა დიდმა ტრფიალმა
ისე აღმაგზნოს, რომ სულ დავიწვა?
ვერ ვეკვრეტდე თვალებს, რომლის ცქრიალმა
ყველა ტკივილი გადამავიწყა.

ვაითუ გულმა, დარდით სნეულმა,
ვეღარ გაუძლოს ამ მგზნებარებას
და ადრე მამცნოს, რომ ყოველივეს
სამარის მიწა დაეფარება.

მაშინ რაღაი ჩემს სიჭაბუკეს,
ან ამ გულს, შენკენ გზნებით გაფრენილს,
თუ ოქროს გემი ზღვაში ჩაღუპეს,
თუ ქარს არ გაჰყვა მისი აფრები...

თუ გადუკეტეს გზა პოეზიას,
თუ ადრე გაჩნდა დღის დასასრული?! —
გულზე დარდები შემომესია
და დამაჩოქა ბრძოლად გასული...

მაგრამ იმედი ყოვლისმომცველი
ახლოს ციმციმებს, გული მაგრდება,
რომ ყოველივე, რაც დაეცემა,
გაივლის დრო და კვლავ ამაღლდება!

1970 წ.

*

ბარათაშვილის გენია ისეთი აღმამფრენია,
რომ მისი ჩანგის სიმთ ყღერას ხმა მზისთვის მიუწვდენია,
მისმა ნუგეშმა. დაატკბო ჩვენი კაცობის დღენია,
მის მერანს ფრთები ლაჟვარდში ღრუბლებად გაუფენია.

თუმცა ღრუბლები სად არი, ზეცა. სამოთხის ფერია ,
გზად შემომხვდარი სიკვდილი ფლოქვებით გაუთქერია;
იმისი ოქროს ფაფარი კლდიდან ნასხლეტი ჩქერია,
აბა, ყორანო, გზა მიეც, მისი გაფრენის ჯერია!

გადაიქუხა, გადიჭრა, სამყაროს გადაერია,
სიცოცხლის საზღვარს გადასცდა, სიბნელე მოიგერია,
და მისთა ფრთათა შრიალზე ცად ვარსკვლავები მღერიან,
რომ პოეზიის სიკვდილი ჯერ არვის დაუწერია!..

1970 წ.

* *

შენი ღიმილის სითბო სიცოცხლე არის ჩემი,
კვლავ სიხარულით ვლაღობ, როგორც ჭაბუკი მრწემი,
აღმართული ვარ მთაზე, ვით ძველისძველი გრემი,
კვლავ წინ მივცურავ, როგორც ოკეანეში გემი.

არა და არა, მზეო, ღრუბელს რა უნდა შენთან?
ჩვენ სიყვარულის ძალამ ერთ ჰანგად შეგვაერთა!
იმ სიყვარულის ძალით შეფიცული ვართ ღმერთთან,
არ გაახარო გული ავად მოშურნე მტერთა.

მე კვლავ იმ ხმაზე ვმღერი, რაც არის მგოსნის ჯერი,
რასაც მისმენდა მარად ჩემი მშობელი ერი,
ისევ მომესმის ზარად ხმა მისი გულის ძგერის,
— არ დაივიწყო, არა, სიმღერა ძველისძველი!..

1970 წ.

ჭყვიში

აბა ჭყვიში რა არის? წყალს მიკრული კუნძული,
ერთი თითის დადება, უსახო და უფერო;
ბევრი ბედს იწყევლიდა მისი ნესტით უძლური,
მის უბრალო ბუნებას როგორ უნდა ვუმღერო?!

ჩემში ეჭვი დაბუდდა, გულში ბოღმა აზღვავდა,
და მოვითხოვ მე პასუხს, ღმერთი ხარ თუ სატანა,
ჭაობიან სოფელმა ბუმბერაზი გაზარდა,
მე კი, მთიდან მოსული, რად ვარ ასე პატარა?!

იგი ბევრჯერ დაჰფარა ადიდებულ რიონმა,
გადასილულ ჭალებში ეგდო ღმერთის ანაბრად,
მაგრამ მისმა ნაშობმა, დიდმა გალაკტიონმა
ეს უჩინო სოფელი ჩარგალს გაუთანაბრა.

შენ პატარა სოფელო, დიდი ლექსის მფლობელო,
გრძნობის დამათრობელო, გულის აღმა აღმტყორცნო,
როგორ ძლიერ მომწყურდა შენი გზები მომევლო,
რომ სადმე ჩავიმუხლო და შენს მიწას ვაკოცო!..

1970 წ.

მარტოობა

როცა ხალხში ვარ, ვერ ვფიქრობ შენზე,
ასე მგონია, ფიქრი ხმაურობს;
და მუდამ მყუდრო სავანეს ვეძებ,
რომ ოცნებებში ვიმოგზაურო.

მე მარტოობას ვცდილობ ამიტომ,
რომ ვინმემ სულში არ ჩამაყუროს;
ჩემი სიცოცხლის ოქროს კრამიტო,
მინდა ჩემი ცა შენით დავხურო.

ხშირად ქუჩაში უმიზნოდ დავალ,
ზოგჯერაც გული უცეცხლოდ იწვის,
ხანდახან ნამდვილ ავადმყოფს ვგავარ,
რა მიხარია, ზოგჯერ არც ვიცი.

ყურს ვუგდებ ჰანგებს კეთილხმოვანებს,
ხან სიმღერაში ვბაძავ ჩანგურებს;
სულ მცირე რამე აღმაფრთოვანებს
და იმდენივე გამანადგურებს.

ხან განაბული მტრედი ვარ თითქოს,
იდუმალებით ჩავყურებ ჩემს გულს,
და ვეპარები თვითეულ სტრიქოხს,
ვით მონადირე მტრედს ჩაყუჩებულს.

ხან უსასრულო ცის მიღმა ვილტვი,
სული უმძიმეს უღელს ეწევა,
ცეცხლში შევდივარ, ყოველი სიტყვის
გამოტანისთვის ხორცი მეწვება.

სიცოცხლეს ამგვარ ყოფაში ვხარჯავ,
არ ვეპუები გზათა სიძნელეს;
ეს არის მგოსნის ისეთი ტანჯვა,
სხვა რომ ვერაფრით ვერ გაგინელებს.

და ვშიშობ: იქნებ მძიმე განცდებმა
ზოგჯერ თვალთაგან ცრემლად იდინოს,
და სულ უბრალო კენჭის დაცემამ
ოცნების მტრედი შორს გამიფრინოს.

ამიტომ უყვარს სულს მარტოობა,
გულის უფსკრულში ხშირად ჩახედვა,
გულთამხილავის ძალთა ტოლობა
და გაცოცხლება გამქრალ სახეთა.

გემუდარები, ნუღარა დარდობ,
შემინდე, ჩემო თვალთა კანდელო,
რომ ხან მოგშორდე და ვიყო მარტო
და გეტრფიალო, როგორც ანგელოზს!

1970 წ.

დუმილი, ზღვა და სიცოცხლე

მთა უნდა დუმდეს, ზღვა უნდა დუღდეს,
გული კი უნდა დუღდეს და დუმდეს;
ფიქრები მუდამ ტალღებად ფრენდეს
და არ ტოვებდეს მშობლიურ ბუდეს.

მე გუშინ ზღვა ვნახე ფიქრივით მდუმარი,
წყნარი, ვით ნიავი, ფოთლებში მთვლემარე,
თითქოს ყურს უგდებდა სამყაროს დუმილს...
ვუცქირე, ვუცქირე და ბოლოს ასე ვთქვი:
ზღვა ნამდვილ არ ვარგა წყნარი და ჩუმი!

ის, რაც ჩუმია, ის, რაც წყნარია,
ასე მგონია, თითქოს მკვდარია,
რაც ღელავს, იბრძვის, ელავს თუ იწვის,
რისი ხმაც ქვეყნად გრიგალად ისმის,
მხოლოდ ის არის, მუდამ ის არის,
მარტო ის არის სიცოცხლის ღირსი!..

1970 წ.

რომანსი

ვერ დავმალე გულში სევდა, ლექსმა თავი აიწყვიტა;
შენი ლანდი ყველგან მსდევდა, როგორც ძველი სერაფიტა.
შენს სიშორეს ვეღარ ვიტან, მომაშველე სიტყვის თაფლი
მაგ უმანკო გულის სკიდან და შუბლს ლექსით დაგიდაფნი.

მზეს წაართვი სხივთა ძაფი, მომიქსოვე სულის ბადე,
მე ხომ შენკენ მოვისწრაფვი, შენ ხომ ჩემთვის დაიბადე!
თუ გამანდობ გულისნადებს, შევინახავ, როგორც ჯერ არს,
წამოვხტები დილით ადრე შენი შუქის დასაჭერად.

შემოვძახებ ლაღ სიმღერას, ჩამოვკრიფავ ცად ვარსკვლავებს,
გავაქროლებ ველზე მერანს, გრიგალიც ვერ დამაკავებს.
და გავძახებ ირგვლივ მთა-ველს სიყვარულის მაღალ ქებას:
იგი სწამდა დიდ რუსთაველს, მე რომ მწამდეს, რა იქნება?!

1970 წ.

ჟვიშხეთში

ქარი არის ქარაშოტი,
მოქნეული, როგორც შოლტი;
მთა დამდგარა, როგორც ხოლტი,
იგერიებს ქარის რქენას;
მე გავცქერი ქართლის ველებს,
რაც დაუცავს სისხლით ძველებს,
ვინ ჩამოთვლის მათ სახელებს,
ან მათ გმირულ აღმაფრენას?

გადაშლილა ტაშისკარი,
ნარბევი და ნაშიშარი,
აქ რამდენჯერ მტერთა ჯარი
შეხვედრია ჩვენს რაინდებს;
შორს ბორჯომის მწვერვალები —
ზოგან ნისლით ფერმკრთალები,
ქარიშხალის მღელვარებით
მხრებზე ღრუბლებს გადაიგდებს.

მობრძანდება გაზაფხული,
აღსრულდება განზრახული,
გამრავლდება ველზე ხნული,
სახლში — ხვავი და ბარაქა;
მზემ დარეკა ოქროს ზარი,
გააღვიძა მთა და ბარი,
გადმოშალა სხივთა ჯარი
ღა მინდვრებზე დაბანაკდა.

გულს უნდა, რომ შორს გაფრინდეს,
გინდ მზე იყოს, გინდა წვიმდეს,
სურვილი ხომ გაიმინდვრებს,

სხვა რა უნდა მგოსნურ ვნებას!
მტკვარს გავყვები ქართლის გზაზე,
დადინჯებულ ტალღის ხმაზე,
და ღვთიური სილამაზე
გულში ლექსად აინთება!

ჩემს ყურს ესმის, რომ ბუნება
გულისპასუხს მეუბნება:
— არ დაკარგო ძველი მცნება,
გიყვარდესო საქართველო,
ნუ დააჭკნობ მის ვრცელ ბაღებს
და ვინც სამტროდ ხელს შეახებს,
ძველი რისხვა დაანახე,
ქართლო გმირებდაუთვლელო!

მეც მივდივარ, მივიმღერი,
თვალს იტაცებს ფერთა ჩქერი,
ჩემს გარშემო ყველაფერი
გულს აგზნებს და ადიადებს,
სამშობლოო, ახლა ვიცი,
სიყვარულით რატომ ვიწვი,
ან საგმიროდ საით მიძღვი,
შთაგონებას როგორ ბადებ!..

1970 წ.

* *

როგორც ავგაროზს, მე შენს ბარათს ისე ვინახავ,
მითხარ, ვინა ხარ, ჩემს სულში რომ ასე ბინადრობ?
უნდა ვინატრო სიჭაბუკე გაჩნდეს ხელახლა,
დილა შენა ხარ, სხივთა შენთა გული მივანდო.

გადამიარა თავზე ბევრმა ქვამ წისქვილისამ
და გზა წინსვლისა გადამიჭრა ბევრჯერ გრიგალმა,
ხან ცეცხლის ალმა დამანავლა, მტვერში მიმსრისა,
ცა გამიცრიცა, მზეს კინაღამ გამომასალმა.

მაგრამ ჩემს ბედად შენ გაბრწყინდი ოცნების ცაზე,
ვით მწვანე ვაზებს, მომეფინა შუქი დილისა,
გზა სიკვდილისა სიყვარულის მზით გადავხაზე
და ვდგავარ მთაზე, ვით არწივი ჟამს ყივილისა.

გავყურებ ირგვლივ ჩემ გარშემო მთათა მწვერვალებს,
ცა მოელვარე რომ დაუდგამთ თავზე გვირგვინად.
ვარსკვლავთა ბრწყინვამ, განთიადის შუქში მთვლემარემ,
გულზე მგზნებარე სიხარულად გადამირბინა.

და გამიბრწყინა კვლავ სიცოცხლე მოუწყინარი,
როგორც მყინვარი ცად აჭრილი, კლდეებფრიალო,
სულის ზიარო, საოცნებო გზები წინ არი,
რომ ჩემი ქნარით შენ გიმღერო და გეტრფიალო!..

1970 წ.

ავადმყოფის დღიური

ის წმინდა გრძნობა ჯერ არ გამქრალა,
ადრე რომ გულში გამიჩხრიალდა;
თუმც აჯობებდა, კვირტში გენახე,
სანამ გრიგალი გადამიარდა.

ახლა რაღა ვარ? დავეკნი, დავბერდი,
მზეც აღარ მაცლის გამოღვიძებას,
მე მაშინ ვქრები, როცა ამქვეყნად
სხვა ჭაბუკების ტრფობა იწყება.

მაგრამ გულს მაინც მხვდება იმედად
შენი ღიმილის შარავანდედი,
რომ შენს თვალებში კვლავ ის ცეცხლია,
მე რომ ლექსების ფიჩხით ვანთებდი!..

* *

ახლა გიგონებ და მენატრები,
შენზე ფიქრები ისევ მათრთოლებს,
სად არის შენი მკერდის ატმები,
რომ ვარსკვლავებად თავს დამნათოდეს

შენი ღიმილი რად არ მეფრქვევა,
გული მომდის და ფიქრს ვეურჩები;
როგორ დამატკბობს შუბლზე შეხება
შენი ალუბლისფერი ტუჩების.

ახლა სარეცელს ვარ მიჯაჭვული,
არ შემიძლია გავხსნა ფანჯრები,
ნუთუ არა გრძნობს მანდ შენი გული,
რომ მე უშენოდ აქ ვიტანჯები?!..

1970 წ.

ქუთაისი

„ქუთაისი საქართველოს დასაწყისია“.
ძველი ლიტ. ჟურნალიდან.

ქუთაისი!
ლაღად ისმის
როგორც სუნთქვა ვარდ-მაისის,
შორეული გზიდან მოდის,
სიცოცხლე აქვს მარადისი!

ქუთაისი
მუდამ რისხვით
უხვდებოდა მტრის ურდოებს,
მას დაუცავს წმინდა სისხლით
საქართველოს სიმყუდროვე.

გაუვლია ხნული ველზე,
დაუნთია ცეცხლი კაჟით,
როს ბერძნები ოქროს ვერძებს
იტაცებდნენ კოლხიდაში.

ახლა გზნებით გადავყურებ
შის ანთებულ არემარეს,
ირგვლივ ყველა ხე თუ სახლი
სილამაზით გაგახარებს.

როს ბაგრატის ტაძრით ვტკბები,
ვესიტყვები ამხანაგებს:
— ეს ნანგრევი, მგონი, ჯობნის,
ზოგ დღევანდელ ახლად ნაგებს.

მაგრამ დღეებს დღევანდელთა
უგალობდეს მგოსნის ლექსი;

წარსულიც ხომ კარგი გვქონდა,
აწმყოც გვქონდეს უკეთესი!

იჩხრიალოს! იშრიალოს!
იდუღაბოს ქვა და რკინამ,
და აღსრულდეს, რაც სამშობლოს
სიყვარულმა დაადგინა!

ქუთაისი!
        მე ვარ მისი
შენამტკიცარ-შენათვისი, .
იგი არის ჩემი სიყრმე,
ჩემი ლექსის დასაწყისი.

ქუთაისი!
        ლაღად ისმის,
როგორც სუნთქვა ვარდ-მაისის,
შორეული გზიდან მოდის,
დღენი ჰქონდეს მარადისი!

1970 წ.

მხოლოდ რწმენა

მე სიცოცხლეც აღარ მინდა,
თუ არ ვმღერი ჩემი ჭკუით;
იმ ქართველ ქალს ვერ ვაკოცებ,
სიყვარულში ვინცა ტყუის.

გაუმარჯოს ყველა მართალს,
როცა ასეთს სადმე ვპოვებთ;
სამშობლო თუ მიმსახურებს,
სხვა რა უნდა მსურდეს პოეტს?!

ჩემი ლექსის ყველა სიტყვა
მძიმე შრომით მოვიპოვე;
სულ წამართვით ყველაფერი,
მხოლოდ რწმენა დამიტოვეთ!

მხოლოდ რწმენა, ჭირთა თმენა
გულის ენად მომცა ზენამ,
რაც სიცოცხლეს ძალას მატებს
და სულს აძლევს აღმაფრენას.

აღმაფრენა, ვარსკვლავთ წვდენა,
აი, ქვეყნად ყოფნის აზრი,
დედაარსი სიყვარულის,
სიცოცხლის და სილამაზის!

1970 წ.

„კომუნისტის“ 50 წლისთავზე

ჩვენი მაცნე და მოამბე,
ჩვენი ფიქრების მტვირთველი,
გაზეთი, რომლის გამოსვლას
შეეხარის ყველა მკითხველი;
ჩვენი მარჯვენის მეხოტბე,
სიკარგის კარგზე მიმთვლელი,
მუდამ ერთგულთა ქომაგი,
ორგულთა განუკითხველი.

ცა როცა მტრედისფერდება,
როცა ცისკარი ინთება,
ხან მზე მოასწრებს, ხან გაზეთს
მოაქვს მზიური დიდება,
დღე, შრომის ალში ჩაფლული,
ნაღვერდალივით ღვივდება,
პურად მწიფდება ჯეჯილი,
შუმი ქვევრებში ღვინდება.

გრიალებს როტაციონი,
მოფრინავს თეთრი მტრედები,
კითხულობ: როგორ აყვავდა
ჩვენი ველი და ქედები,
ყოველ სვეტიდან ხმა ისმის
სამშობლოს შემოქმედების,
გულს სიხარული აღავსებს,
სიცოცხლით დაიმედდები.

მაგრამ სიხარულს თან ახლავს
დაღონებაც და ცრემლებიც,
როცა ვიეტნამს ან კონგოს
უშენენ ტყვიამფრქვევლები;

— ღმერთო, მტერს რისხვა მიაგე!
ხმამაღლა დავიწყეველები,
თან ლოცვით ვიტყვი: — სამშობლოვ,
შენს მთა-ბარს შემოვევლები!

მოხატულ ქართულ ასოებს,
ჩაწიკწიკებულს გიშრებად,
გადახსნი, მთელი მსოფლიო
თვალისწინ გადაიშლება,
რომ ჩვენი ახალგაზრდობა
არ დაიზარდოს მშიშრებად,
რომ ნიჭსაც უნდა, ვით მერანს,
ლაღად სადავის მიშვება.

თავს დასტრიალებ სამშობლოს,
ცა ფირუზს, ზურმუხტ მთებიანს,
შენს ჩირაღდანზე რამდენ კაცს
გონება განათებია,
მეც შენი მძლავრი მარჯვენა
მხარზე იმედად მდებია,
და შენს დაზგებთან მრავალი
ღამე დღედ მითენებია.

შენა ხარ ყველა ბოროტის
დამთრგუნველი და მძრახველი,
ავს ავით ეპასუხები,
კარგს ამკობ კარგის სახელით,
შენი ხმა მწვერვალს ასცილდა,
მეცხრე ზღვის გაღმა გახველი,
ხარ ძალსა შიგან უდრეკი
და ჭირთა გადამლახველი.

საუკუნენი გაგევლოს
ასე გმირული ბრძოლითა,
კვლავ დაუნდობლად ამხელდე
სიგლახეს გადაყოლილთა,
ხოტბას ასხამდე მშრომელ კაცს,
ვინც ხარობს ქვეყნის მოვლითა,
გიყვარდეს ყველა კაი ყმა
სიყვარულითა ყოვლითა!

1970 წ.

♣ ♣

უშთაგონებო ვრჩები მე იმ დღეს,
როცა ვერ ვხედავ შენს ხატოვნებას;
მარტო შენ გიმზერ, მარად შენ გიმღერ.
მხოლოდ შენ მაძლევ ზეშთაგონებას.

რისთვის მიკარგავ ამ ძვირფას წუთებს,
რომ არ მოდიხარ და თავს მანატრებ?
გამოჩნდი, ელვას დამასაკუთრე,
თავზე ცისკარი გადამანათე.

და მერე ნახე, როგორ ავანთებ
სულის ტაძარში ოქროს კელაპტრებს,
გადმოშუქდება ზეცის თავანზე,
მის შარავანდედს ბევრი შენატრებს.

მაგრამ შორია გზები შენამდე,
თვალწინ მყავხარ და მაინც ვერ გწვდები,
შენ გავხარ მთებში მფრინავ შევარდენს,
მე კი მამძიმებს სიბერის წლები.

ვაი, რა ვუთხრა ჩემ ბედის დამდებს,
რომ სატანჯველად მიმცა ქვეყანას,
რად გამაჩინა შენზე უადრეს,
ან შენი თავი რად შემაყვარა?!

1970 წ.

სულ ბედნიერ ფეხზე გევლოთ!

სექტემბერი,
შემოდგომა.
საოცნებო მზე და დარი,
ახალ ყრმათა მოსახმობად
აწკრიალდა სკოლის ზარი;
იფურცლება „დედა ენა“
ყმაწვილთა გულგასახარი,
რომ ვისწავლოთ,
რომ ვიმძლავროთ,
რომ მთასავით გვედგას მხარი.

აეღურტულდა,
აშრიალდა,
აფრთხიალდა ბავშვთა ჯარი;
მეც სკოლისკენ მივიჩქარი,
რომ ხელახლა დავინახო
გაფრენილი ჩემი ყრმობა,
გულში მდგარი გაუქრობლად
და ფრინველთა მუსიკობად
გაირბინოს ჩემთან ახლო.

ჩემი სკოლა,
ჩემი სკოლა,
შორს, სოფელში ჩუმად მდგარი,
ალბათ ყრმათა მოსახმობად
ირეკება იქაც ზარი;
მისმა ნატვრამ დამაღონა,
გამიჩინა გულზე ბზარი,
ჩემი ყრმობა,
ტკბილი ყრმობა,

რა შორს არი...

მაგრამ წინ დგას მომავალი
სამშობლოს და ჩემი ხალხის,
იავნანად ისმენს ყველა
დიდი ბრძენის გადმოძახილს:
რომ სწავლაა ჩვენი დედა,
რომ შრომაა სიხარული,
რომ ვეძებდეთ,
                  რომ ვპოვებდეთ,
რომ სიცოცხლით ჩქეფდეს გული!

და ნუ გინდათ სხვისი მთები,
სხვისი მზე თუ სხვისი ჩრდილი,
უნდა გწამდეს,
                  უნდა გახდე
მხოლოდ შენი ქვეყნის შვილი;
ხის ტოტები ისე ზარდო,
როგორიც აქვს იმ ხეს ძირი,
თქვენს შემდგომად რომ ჩვენც გვექნეს
სამარეში მშვიდი ძილი!

ჩვენო ნორჩო მალხაზებო,
ფრთამერცხლებო,
                  თვალნაზებო,
ჩვენი ქვეყნის ტკბილო რთველო,
შვილებო და შვილიშვილნო,
სიყვარულით დასათვლელნო,
სულ სწავლაში,
                  სულ შრომაში,
სულ ბედნიერ ფეხზე გევლოთ,
გემღეროთ და გაგემარჯვოთ
თქვენ — მომავალ საქართველოს!

1970 წ.

რომანტიკული საღამო

ზღვას გავცქეროდით... მღელვარე ტალღა
თითქოს ლამობდა გაფრენას ცაში;
შენ გახარებდა სტიქიის ბრძოლა
და აღტაცებით შემოჰკარ ტაში,
ვითომ იდექი არა ზღვის პირად,
არამედ სადღაც, რთველში თუ მკაში,
და ვერც კი გრძნობდი რომ ჩემი გული
შენს ახლო უფრო ღელავდა მაშინ.

ვხედავდი შენს შუბლს, ზღვასავით გაშლილს,
ცისარტყელა რომ აკრავს სინათლედ,
როგორც დაისზე მზე დამავალი
ზღვის გაშლილ სარკეს აათინათებს;
მე შეგყურებდი და გულში ჩუმად
სადმე ჩარდახში ყოფნა ვინატრე,
რომ ჩემი ბაგით უხვად შემესვა
შენი მზიური სახის სინაზე.

რაც უფრო ტალღა კლდეს ეხლებოდა,
შენც სიხარულის ზღვად იღვრებოდი,
ჩემი ფიქრები შენ გეხებოდა,
შენი ოცნების გზებს მივყვებოდი,
გავეხვეოდი მეც იმ ტალღაში,
შენს თვალთა მზერას რომ შევხვედროდი,
მაგრამ მციოდა და უნებურად
შენი ღიმილის მზეზე ვთბებოდი.

ასე ვიყავით დაღამებამდე...
და როცა ზღვაზე დაჯდა უკუნი,
ჩაქრა ხანძარი და ქვეყნად დარჩა
ზღვაც და ეს გულიც გადაბუგული,

აღარ ისმოდა ტყის შარიშური,
აღარც გალობდა ვარდზე ბულბული,
მხოლოდ მარტოდენ პოეტის მკერდში
მძლავრად ისმოდა იმ ზღვის გუგუნი.

იყო ფანჯარა ზღვას გადამდგარი
და ფანჯარაში ვით ბადრი მთვარე,
იცქირებოდა ჯეირნის სახე,
აბრიალებდა მოშვილდულ თვალებს,
გადმომხედავდა ზოგჯერ მალულად,
შემოანგრევდა ამ გულის კარებს,
მაშინ გადაწყდა, და ის თვალები
სამარადისოდ მე შევიყვარე!..

1970 წ.

რა დაგიშავე?

რატომ ამაფორიაქე, რა დაგიშავე?
გთხოვდი, აგრე ნუ მიცქერი, არ დაიშალე,
ჩამიღვენთე გულში შენი თვალთა სიშავე
და ქვეყანა ბაღჩა-ბაღად გადამიშალე!

შენი შუქის აბრეშუმით სული მოვქარგე,
რაც კი სევდა-დარდი მქონდა, მივკარგ-მოვკარგე,
შენს ძებნაში ამ შორეთში გადმოვიკარგე,
მადლი უფალს, რომ ვიპოვე შენი სიკარგე.

ჩემი ფიქრის ალამდარო, ცამდე ასულო,
ჩემს მკლავებზე მოხვეულო ალადასტურო,
გთხოვ, სიცოცხლის სიხარული არ დაასრულო,
და ტრფიალით სიჭაბუკე დამიდასტურო.

სიყვარულით გამიშუქე გულის ლამპარი,
ლაღად გამისინამდვილე ტრფობის ზღაპარი,
გაზაფხულად გამიმწვანე წლების ზამთარი,
და დავდივარ მაგ ღიმილის ელვით გამთბარი.

ჩემთა ლექსთა, ფიქრთა ჩემთა ოქრომჭედელო,
ცრუ ბედის წინ აღმართულო მთების კედელო,
სევდის ზვავთა გზების ზღვართა გადამკეტელო,
და სიცოცხლის გზნების ტაძრად ასაგებელო.

ეს ქვეყანა ბაღჩა-ბაღად გადამიშალე,
ჩამიღვენთე გულში შენი თვალთა სიშავე,
გთხოვდი, აგრე ნუ მიცქერი, არ დაიშალე,
რატომ ამაფორიაქე, რა დაგიშავე?!

1970 წ.

* *

შემოდგომით გაზაფხული
მაგრძნობინა შენმა გულმა,
ხევში თავქვე მიმავალი
აღმართისკენ შემაბრუნა.

გამიმზევა მომავალი,
გამიბრწყინა ლექსის ენა,
მე მეგონა ვღამდებოდი,
მან აისად გამათენა.

აღმიშენა ციხე-კოშკი,
დამაბრძანა, მომასვენა,
საალერსოდ მომეახლა,
სიჭაბუკე გამახსენა.

სევდის ჟანგით დაფარული
გადამფერა, გამამძაფრა,
და სიცოცხლის ნეტარებას
ხელმეორედ დამაწაფა!

1970 წ.

* *

უშენოდ ეს ზღვა წყალია,
შენ რომ ხარ, ეს წყალი ზღვა არი;
და მიხვდი, რომ მხოლოდ შენა ხარ
ჩემი სიხარულის საზღვარი.

წახველ და ზღვა დაცხრა ზვიადი,
მზეც ნაზად ეფრქვევა მწვერვალებს,
ბუნება დამშვიდდა და მარტო
მე დავრჩი, მე დავრჩი მღელვარე.

ზღვის გულზე დაისი აენთო,
ცა თითქოს ქართული თონეა,
დიდი მზე ტალღებზე მისცურავს,
შენ გიცქერ, შენ გიცქერ, მგონია!..

1970 წ.

მთვარეს

„ახლა მე ვოცნებობ, შენთან ამოვიდე,
შენგან გადმოვხედო ჩვენს დედამიწას;
იქნებ მეც მოვესწრო,
თორემ ჩემი შვილი
რომ მოგინახულებს,
ეს ნამდვილად მწამს!“

როცა დავწერე ეს ერთი სტროფი
და სხვა სიტყვათა ძებნად მივქროდი,
მთვარეს ესტუმრა უკვე ამსტრონგი
და შემაცივდა ხელში სტრიქონი.

ეს რა დროში ვართ!
პოეტი სიტყვით
ვერ დასწევიხარ მქროლავ ეპოქას;
ადამიანი კოსმოსში მიჰქრის
და მე ლექსებზე ფიქრი მეყოფა?!

თუმცა რას ვამბობ!
განა იმ ფოლადს,
ვარსკვლავთა გზებზე რომ დასრიალებს,
ადამიანის აზრი არ აწრთობს
და პოეზია არ ახმიანებს?!

მათი ერთურთის სიელვარეში
ცხოვრების წინსვლა უნდა ვეძიოთ,
არც ლექსი ვარგა რკინის გარეშე
და არც ფოლადი — უპოეზიოდ!

1971 წ.

საგურამოში

მე ახლა საგურამოში ვცხოვრობ,
„დიდის ღმერთის საკურთხევლის“ ახლოს;
ნამდვილი გლეხი გეგონები,
დილით რომ ჩემს ბაღში მნახო!

ხან ვბარავ, ხან ვთოხნი, ხან ვკაფავ,
შრომაში გულის დარდს ვიკლავ;
ზოგჯერ მტრედივით მოფრინდება
ლამაზი, სალექსო სიტყვა.

შემრცხვება!..
გავხედავ ილიას კაკალს,
თვალებს მიმოვაფრენ ჩარგალის მთებზე...
მერე კრძალვით ავიღებ კალამს
და ვახსენებ პოეზიის ღმერთებს.

პირველად, რა თქმა უნდა, დავლოცავ სამშობლოს,
მერე შვილებს და შვილიშვილებს; —
რამდენი კარგი ფიქრი შემიძლია,
თვითონ ღმერთი რომ არ მიშლიდეს.

ღმერთო! მე, რაც გინდა, ის მიყავი,
ოღონდ ჩემს ქვეყანას გარდმოხედე,
ნუ აგვყრი დედაბუდიანად
და ნუ გადაგვაქცევ მოხეტედ.

ჩვენი მიწა-წყალი დაიფარე,
ჩვენი ნაოფლარი დაგვიბედე;
არასდროს არავისი არაფერი გვინდა,
სულსაც გაგიყოფთ, ოღონდ გაყოფა დაგვანებე!

ჩემი ნაღვერდალი უკვე დაიფერფლა,
დრომ მას ცივი ნაცარი მიაყარა,
ვეღარ მოვასწარი, რაც უნდა მეთქვა,
და მომდის ცრემლი ნიაღვარად.

სიცოცხლეო, მაინც უსაზღვროდ მინდიხარ,
მაინც მსურს მომავალმა გამახაროს,
თითქოს ვემსგავსები ვაჟას მინდიას
და მინდა გადავძახო მთელ სამყაროს:

რამ აგაფორიაქათ, ადამიანებო,
რატომ ვერ ეტევით საკუთარ ტყავში, —
ამერიკაში განა ცუდი ბუნებაა,
რა გინდათ ვიეტნამში?!.

1971 წ.

ისევ ის ცრემლი

როცა გიგონებ, ქვეყნად მხოლოდ მაშინ ვიწყები...
ვერ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე დამივიწყებდი;
მე ისევ გეტრფი, ჭაბუკურად, თავდავიწყებით.

და როცა თვალის მისალულად სადმე მივწვები,
და თავს მაცვივა ვარსკვლავები, როგორც წიწვები,
ბურანში ვცურავ, სიცხისაგან ცითქოს ვიწვები.

შენ კი ჩემს ახლო, ვით ლერწამი, ისე ირწევი,
სიზმარი ჩემი ახლოვდება და როგორც მრწემი,
ხელებგაშლილი მოსახვევად წამოვიწევი.

მაგრამ ამაოდ, შენ კვლავ ნისლად გადაიქცევი,
მეც, მოცელილი, სარეცელზე უხმოდ ვიქცევი
და იღვენთება წამწამთაგან ისევ ის ცრემლი.

1972 წ.

* *

შენ, ჩემო გულის ტკივილო,
ჩემო დარდო და ვარამო,
მაინც შენა და შენა ხარ
ჩემი ჭრილობის მალამო.

ყველა გზა შენთან თავდება,
შენს იქით დიდი ხრამია,
ახლოს ხარ — ბნელიც ციმციმებს,
შორს თუ ხარ — დღეც კი ღამეა.

ამიტომ ბლომად დავლიე
მე სიყვარულის შხამია,
და მწარე ცრემლით ავავსე
ჩემი ცხოვრების ჯამია.

გამოვიარე კლდე-ღრენი,
თვალიც არ მიხამხამია,
და შენს ტრფიალში დავხარჯე
სიცოცხლის ყველა წამია.

ხან ჩემი ლოყის ბალიში
ცრემლებით დამინამია,
მაგრამ განვლილი სიცოცხლე
არასდროს დამინანია.

კვლავ შენ ხარ ჩემი ტკივილი,
გულის დარდი და ვარამი,
მაინც შენა და შენ გიმღერს
ჩემი ალალი კალამი!..

1972 წ.

* *

შენს მოლოდინში ეს დღეები მძიმედ მიდიან,
და მე დავდივარ ეულივით ამ ზღვის არეზე;
შენი თვალები ჩემი სულის მეხთამრიდია
და ჩემს გულს სხვათა გაღიმებას არ აკარებენ.

აბა შგოსანმა უღიმღამოდ როგორ ვიარო,
ან შენს გარეშე ამ ვარსკვლავებს როგორ ვუცქირო?
ვისთვის ვიმღერო, ანდა ვისღა გავუზიარო
ჩემი ფიქრები, ამ ზღვასავით ღრმა და უძირო?!

გემუდარები, გამოჩენას ნუ დააყოვნებ,
ნუ შემიძრწუნებ გრძნობას ისეც ღრუბელმოსილსა,
რომ შეემატოს სევდიან გულს მეტი ძალ-ღონე,
და კვლავ ვიხილო სახე ციურ ანგელოზისა.

მე შენს გარეშე, კარგად იცი, აღარ ვარსებობ,
ვეღარ ვოცნებობ, ვეღარცა ვქსოვ ლექსის სტრიქონებს;
ვიღას გავანდო ჩემი დარდი, ან ჩემი სევდა,
თუ შენი გული კეთილ ზრახვებს არ გამიგონებს?!

ჩემო სურვილო, გადმოლახე გზები კლდოვანი,
გამომზეურდი, ჩემს დაღლილ გულს მოესალბუნე,
რომ გაჭაბუკდეს სიყვარული ათასწლოვანი,
რომ კვლავ აღზევდეს სიხარული, რაც შენ მარგუნე!..

1973 წ.

გალაკტიონის კითხვისას

შუაღამე გადასულა, საათს იპყრობს შიშის ზარი,
გარეთ ქარი დაჯირითობს, ვერაგი და უმეცარი;
ჩემს ახლოს კი გალაკტიონს გაუშლია თვისი ქნარი
და მეძახის: პოეზიას გაუღეო გულის კარი!

გაუღეო გულის კარი და დასჭექე, როგორც ზარი,
მხოლოდ ხალხის წარმტაც ფიქრებს მთელი სული მიაპყარი,
ამღელვარდი და წინსვლისთვის ტალღებივით დაიძარი
და წამოდი, როგორც ქარი, ანდა მთათა ნიაღვარი!

მეც ავმღერდი, მეც ავბორგდი, მეც ავტეხე ზეიმ-ზარი,
ხან ქარბუქად მომქროლავი, ხან ტალღებად ამომსკდარი,
არ დავტოვე არც მთა-ბარი, არც ზღვისა და არც ცის კარი,
მაგრამ ვერა გავაწყვე რა და დავრჩი გულამომჯდარი.

და შევუდგი ცრემლებს ღარი, იდინა და იმღელვარა,
ღ.ა დაგროვდა ისე ბევრი, არასოდეს დაილევა,
წამოვიღე, ვთქვი, ახლა ხომ მეც მექნება ტალღის ძალა,
მაგრამ გზაში შემისრუტეს ბუჩქებმა და ყვავილებმა.

დარჩა ისევ დიდი წიგნი, ჩემს წინ ცეცხლად დანთებული,
ვით რუსთველის მარგალიტი, ვით მზით სავსე დანტეს გული,
ან გოეთეს ელვარება, ან შექსპირის სიტყვის განძი,
მაგრამ ხელსაც არ ვაკარებ, მეშინია მისი ხანძრის!..

1973 წ.

ს ა ლ ხ ი ნ ო ს ფ ი

ნიკო ლორთქიფანიძის ეზო

ექსპრომტი

მე ამ ეზოში მეორედ მოველ.
პირველად იმ დიდ გალაკტიონთან;
მაშინ ამ ჭადრის მწვანე ფოთლებში
მზისა და მთვარის ოქრო დიოდა.

ჩვენ დიდი მგოსნის ლექსი გვშიოდა,
მანც ღვთაებრივად გახსნა ბაგენი. .
მე ბევრი ვდიე მას კვალზე, მაგრამ
უკვდავების გზას ვერ მივაგენი.

ის მზეს მისდევდა ლურჯა ცხენებით,
მის ქროლვას თვალიც ვერ დავაწიე;
მერე დავცალე ღვინის თასები
და გულის დარდი ამით დავძლიე.

დღეს კი მეორედ ვარ ამ ეზოში,
დღესაც კვლავ ღვინო ძარღვებს ახურებს,
მაგრამ არ გვახლავს გალაკტიონი,
რომელიც, ალბათ, ციდან დაგვყურებს!..

1973 წ

* *

მშვენიერება ღვინოსავით მათრობელია;
მე შენს მშვენებას ვაზის ლერწად შემოვეხვევი.
ახლა კი წავალ, მეგობრები რადგან მელიან, —
დაგვიანება სიყვარულში საშინელია;
ისე გაკოცებ, რომ ბაგეებს არ შევეხები.

მაგრამ თუ ჩემდა უნებურად ვერ გავუძელი
და შენს საყურეთ ჩრდილის ახლოს მოვიტკბარუნე,
გახსოვდეს მუდამ, რომ ქანაობს სიკვდილის ცელი
და ქვეყანაზე არრა რჩება მას შეუცვლელი
და ბოლოს მაინც განშორებას წილად გვარგუნებს.

და ნუ იქნები გულზვავი და შეუბრალები,
ნუ აღუდგები სიყვარულის მღელვარ მდინარეს,
ნუ განრისხდება გრძნებით სავსე შენი თვალები,
ნუღა გახდები გულთა მწველი ცეცხლის ალებრივ,
თორემ ცხოვრების დასასრულში მწარედ ინანებ!..

1973 წ.

მოხუცის ფიქრები

გამარჯობა, სიკვდილო,
რაღას მეკამათები?
ვიცი, ბოლოს ჩამიხვევს
შენი შავი კალთები.

ბოლოს მეც ხომ შევიცან
ამ ცხოვრების ზღაპრები;
შვებას არ ღირსებიან
არც ჩვენი წინაპრები.

და როგორც მსურს, მომავალს
ისე ვერ ვესწრაფები,
ნიავს დაუხევია
ჩემი ნავის აფრები.

მაინც ბლომად შემომრჩა
აბრეშუმის ძაფები,
რაც უნდ მუქთად გამყიდო,
ვეღარ გავიაფდები.

სხვისი ოქრო—ზარნიშით
აწ ვერ მოვინამქრები,
ხანძრად აალებული
პატრუქივით ჩავქრები.

რომ არ ავყვე ამ ფიქრებს,
მოდი, ერთი დავთვრები,
ჩემს მტრებსა და მოშურნეთ
ავურიო დავთრები.

გაზაფხულიც მინახავს,
უფრო მეტი — ზამთრები,
ცხოვრებამ თუ დამაზრო,
სამარეში გავთბები!..

1973 წ.

* *

მე შენს ბაღჩაში სამოთხეს ვეკრეტდი.
სიცოცხლეს ვგრძნობდი ტკბილსა და ნეტარს,
შენ იდექ ჩემ წინ, ვინ ნათლის სვეტი,
მეც ვნათდებოდი, როგორც პლანეტა.

და გულში ვბჭობდი: ახ, ნეტავ, ნეტავ
შემეძლოს ახლად გაჭაბუკება,
ვუძღვნიდი ყველა ჩემს გრძნობას ერთად
და ლექსებს, გულში რაც დაგუბდება.

თუმცა ხანდაზმა განა შემიშლის
ღირს ვიყო შენი ტრფობის ტარების?
რახან შენს ლამაზ ბაღში შემიშვი,
უნდა გამიღო გულის კარებიც.

ნუ დაიშურებ მზე და მთვარული
შენი ციმციმის ელვა-ნათებას
და დარწმუნდები, რომ სიყვარული
სიკვდილ-სიცოცხლეს აღემატება.

რამეთუ იქეც სინათლის სვეტად,
ამაბი სხივი გულზე სიმებად,
რომ ვიდგე შენს წინ, როგორც პლანეტა
და სულ მანათოს შენმა სხივებმა!..

1973 წ.

ღიმილი

ღიმილზე უფრო ქალს ძვირფასი რა უნდა ჰქონდეს?
შენც გაიღიმე, ღიმილია ბაგეთ შშვენება;
მზეც ხომ იღიმის, ქვეყანაზე ამოდის ოდეს;
დე, სიყვარულიც ჩაუქრობელ ღიმილად ჰქროდეს,
რომლის გარეშე კაცთ ცხოვრება გადაშენდება.

და თუ ღიმილის ცისარტყელას ჩემკენ მოპართავ,
და თუ მოიღებ გულის კართა ეგზომ გაღებას,
ისევ გავხდები საქებარი ტოლ-მეგობართა,
ვზღავ, თუ კი ოდეს სიყვარულის ვალი მემართა
და ჩემი ჩანგიც სიმღერებით კვლავ გალაღდება.

და დაინახავ, რომ ვყოფილვარ სულ სხვა მესია.
დე, ჩემი ქნარი შენი გულის კართან აენთოს,
გამომზეურდეს, რაც ფიქრები გულზე მესია;
ეწამდეს მარადის: სიყვარული და პოეზია
ვერ იარსებებს ქვეყანაზე უერთმანეთოდ!

1973 წ.

* *

ლილისფერი ცა მთის გადაღმა ისე ელვარებს,
რომ მისი ლანდი აჩირალდნებს თმათეთრ მწვერვალებს;
გადმოვიკარგე, რომ არ შევხვდე სადმე შენს თვალებს,
მაგრამ ვერ იქნა და ვერასგზით ვერ დავემალე.

ამ უღრან მთებში მე ცხოვრებას გამოვეპარე,
რადგან ჩამიქრე მიჯნურობის ალი მგზნებარე,
ვთქვი: უამური ჩემი ყოფა გათავდეს ბარემ,
აწ ხომ სიყვარულს ჩემი გული ვერ მიიკარებს.

უგზოდ დავდივარ, მიუსაფრად, მუდამ მღელვარე,
უხმოდ, უენოდ, უფიქრელად, თითქოს მთვლემარე,
მწვავს უალებო ჩუმი ცეცხლი გულში მნთებარე,
ზოგჯერ მგონია, რომ მკვდარი ვარ, კუბოს მდებარე.

ამ უღრან მთებში მე ცხოვრებას გამოვეპარე,
უგზოდ დავდივარ, მიუსაფრად, მუდამ მღელვარე!..

1973 წ.

* *

შენი უარი როს ვისმინე, მაშინ გავთავდი,
მულღაზანზარზე გადმოხვეწილს ვგავდი ავთანდილს,
წუხილი ჩემი ადიოდა, ალბათ, ცათამდი,
და უნუგეშო ამოოხვრას ნიავს ვატანდი.

შენზე აწყობილ ჩანგის სიმებს ქარში ვფანტავდი,
შენთვის ჩამოქნილ ლექსთა ფურცლებს შუა ვფატრავდი,
შენს იერსახეს ცის გუმბათზე ცრემლით ვხატავდი,
და უმალ ვიგრძენ, რომ საოცრად დავპატარავდი.

როცა გიხილე, ორგულ მიჯნურს სულაც არ გავდი,
საამურ ენით საალერსო სიტყვებს ქარგავდი,
ო, რა ვიცოდი, თუ სიცოცხლის მიზანს ვკარგავდი,
თორემ ამგვარად სიჭაბუკეს არ დავჩაგრავდი!..

შენი უარი როს ვისმინე, მაშინ გავთავდი,
და უმალ ვიგრძენ, რომ საოცრად დავპატარავდი.

1973 წ.

* *

შენი გულის აბრეშუმი
თავზე გადმომეფარა,
ნეტავ რად ხარ აგრე ჩუმი,
რად აოცებ ქვეყანას!

მე შენსავით ვერ ვიყუჩებ,
გულის წადილს მივენდე,
უნდა დავწვდე მაგ ტკბილ ტუჩებს,
უნდა გავბედნიერდე...

რომ შევიქნე შენი გულის
მფლობელიც და მლოცველიც,
მალე დავთვრე სიყვარულის
იდუმალი ოცნებით.

ვერ ჩაგხედონ გიშრის ტბაში,
ჩადრს დაგხურავ თვალებზე,
გაგიტაცებ დაღესტანში,
ლეკებს დააბრალებენ!..

197.. წ.

პირველი ფაფაფეხები



ქართული პოეზიის არწივს

მეც განმიცდია წყაროს სიზმარი,
ოპოლ შვლის ნუკრის ცრემლების დენა,
მეც გამიღია ბუნების კარი
და გამიგია ფრინველთა ენა.

მეც შემიგრძნია შენი ფანდურის
სიმების ყღერა დამატკბობელი,
და გრძნობა, ლექსში გადასტამბული,
მიყვარდა, როგორც დედა მშობელი.

ვუცქერდი ბუჩქებს მე გატაცებით
და ხმელ წიფელზე შტოს ამონაყარს,
ბევრჯერაც ჩემი ბავშვურ განცდებით
ჩხიკვთა ქორწილში ვყოფილვარ მაყრად.

მინახავს ბევრჯერ მე ღამე მთაში
და ყვავილებზე ცრემლები დილის;
ბედნიერი ვარ, ჩემს გამოზრდაში
რომ შენს წიგნებსაც მიუძღვის წილი.

ვარსკვლავნი კვლავად გაიხარებენ,
მთებზეც დაწვება ნისლების გროვა,
ცის წიაღიდან ხევში წყაროზე
პირდასაბანად მთვარე ჩამოვა.

მდინარეები ხევში ჩქერებზე
ჰანგს იმღერებენ მზის და ვარდების,
შენსავით ფანდურს ააღერებენ
ჩემი თაობის ახალგაზრდები.

სიცოცხლის ძალას კვლავ დავინახავთ,
იელვარებენ დღენი მზიანი,
მაგრამ მე ვწუხვარ, რომ შენ არა ხარ
ჩვენი ცხოვრების თანაზიარი.

ვერ მოგიარეს და ჩაგყვა დარდად,
მთების ჰავა რომ გენატრებოდა,
ან ვინ იცოდა, შენში შენს გარდა
მსოფლიოს დიდი ნიჭი კვდებოდა?

წარსულმა თუ ვერ აგარიჟრაჟა
და გქონდა გული დანაგესლავი,
დღეს შენს სიმღერებს, ძვირფასო ვაჟა,
მშრომელი ხალხი ეტრფის მზესავით.

გული მოიცვა სხვა გაზაფხულმა,
ახლა მთის ხალხი არ კლავენ სტუმრებს;
ამ მზის ხანაში რამ დაგადუმა,
შენ — უტყვ ბუნების მესაიდუმლევ!

ვარდებმა გული წითლად გაშალა,
მკერდში ჩაიკრეს მზე მოცინარი,
შენი საფლავიც გამოიცვალა
და ახლა უფრო ლამაზი არი.

მთაწმინდის მიწა გინახავს ფრთხილად,
ჩარგალის მთებში აკვანნარწევო,
შენი ჩანგის ხმა უფრო გაზრდილა,
ქართული ლექსის დიდო არწივო!

რად გიდუმს ენა — გრძნობის მთაფლავი,
ჩამომქუხარი, როგორც არაგვი,
როგორ გავთხარო გულში საფლავი,
თორემ შენს ცხედარს მოვიპარავდი.

მზე — განთიადის ცაზე დამწერი,
შენს ხსოვნას ეტყვის ახალ სიმღერებს,
თანდათან გაგზრდის ყოველი წელი,
მაგრამ ვერასდროს ვერ დაგაბერებს.

კვლავაც დაგვატკბობს შენი ხმა წმინდა,
მზის სხივებივით ხალხში გაშლილო,
მთების ახალი სიმღერა გვინდა,
სადა ხარ, ვაჟა რაზიკაშვილო!

1936 წ.

ჩემი თბილისი

ძველმა თბილისმა და ნარიყალამ
მხრებიდან ნისლი გადაიყარა.

ხ ა ლ ხ უ რ ი

ყოველი კუთხე, დამტკბარი დღისით,
სიამით ისმენს დუდუნს მტკვარისას,
მოწმენდილ ცას ჰგავს ღამით თბილისი,
მთაწმინდა მკერდზე ვარსკვლავებს ისხამს.
  მისი კალთები მაგონებს ლაჟვარდს,
დუმილით დგანან საფლავზე ხენი,
ძმად შეჰფიცვია აკაკის ვაჟა
და საუბრობენ გასაგებ ენით.
  ლამაზ ბაღებში ჩახვალ თუ არა,
ზღვა სიხარულით შეიმოსები,
შეირხევიან ქალწულის გვარად
ტანაშოლტილი კვიპაროსები.
  შეირხევიან, როგორც ზვირთები,
როცა ნიავი მიუალერსებს, —
ათასგვარ განცდით დაიტვირთები,
აბა, მოდი და ნუ დაწერ ლექსებს!
  როცა მებაღე აუზში აშლის
შადრევნის ტალღებს მაღალტანიანს,
ასე მგონია, თითქოს გრიშაშვილს
პეტერგოფიდან მოუტანია.
  ნარიყალა კი, ამაყად მდგარი,
ახლაც რომ ზოგჯერ მწუხრი სჩვევია,
იგონებს თითქოს, თუ მტრების ჯარი
თბილისს რამდენჯერ შემოსევია.
  მეტეხმაც გული გამოიცვალა,
ამაღლდა ახალ ცხოვრების გზაზე;
თბილისი არის ლექსების ძალა
და პოეტებიც მღერიან მასზე.

1936 წ.

ილიას ხსოვნას

შენ მოგკლეს... მაგრამ შენი მგოსნობა
ჩვენში მზესავით დარჩენილია.
ვერაგებს სურდათ შენი მოსპობა,
მაგრამ ვერ მოგკლეს, დიდო ილია!

გასწირეს შენი დიდი სახელი,
დაუძრახველი, მზიურ გაშლილი,
ბარში აკაკის წვავდა ნაღველი,
მთაში მოთქვამდა რაზიკაშვილი.

ახლა კი დადგა სხვა გაზაფხული,
მამა-პაპათა ღვაწლი ფასდება;
და შენი მუდამ მგზნებარე გული
ცივ აკლდამაში ვეღარ თავსდება.

შემოიმსხვრია ლოდები ძალით,
ახალ ქვეყანას აზრებით ჰმოსავს, —
რად გადგას თავზე მტირალი ქალი,
ცრემლი რად უნდა დიდებულ მგოსანს?

ბევრი ცდილობდა შენს უკვდავ სახელს
დაუფლებოდა ყანგი და მტვერი,
მაგრამ... ყველაზე უფრო ის შალხენს,
რომ საფლავიდან დასძლიე მტერი!

1936 წ.

სამშობლოს მთებზე

მთებმა სუდარა ჩამოიცილა
მიწიდან ცამდე შავად ასული,
და შემოიჭრა ზაფხულის დილა
მზის მშვილდ-ისრებით აბჯარასხმული.

უფსკრულმა შთანთქა ღამის ბინდები,
გაბრწყინდა ველი ცვარნამიანი,
სიცოცხლეს იგრძნობს ხე და მინდვრები
როგორც ყოველი ადამიანი.

აშრიალდება ტყეში ფოთლები,
ჩიტების სტვენა მოგტაცებს ყურებს,
ახმაურდება გაღმა სოფლები
და გაჰყვებიან გლეხები ურმებს.

ბაღში ვაზებმა მომტაცეს თვალი,
ხანში შესულან ყურძნის მტევნები,
მწიფე ზვარების ცქერით დამთვრალი
მთებისკენ ბილიკს ავედევნები.

რომ ჩემი კანი დავჟანგო მზეში,
(გულში ბავშვური გრძნობა გამეფდა),
რომ ვისაუბრო ხეებთან ტყეში,
როგორც საყვარელ ამხანაგებთან.

მზემ გააჩინა მთებზე ალმური,
ხესთან შველივით წამოწვა ჩერო;
ვის არ აევსოს ამ ლხენით გული.
ან ვინ იქნება, რომ არ იმღეროს?!

1936 წ.

ფადიმე გოგიტიძე

პირველი აჭარელი მფრინავი ქალი

ალარ სჯეროდა ყურანის ძალა,
ვერ დაუჩრდილა თვალები ჩადრმა
და აჭარელი გოგო შავთვალა
მოწინავეთა რიგებში ჩადგა.
მოაგონდება გამზრდელი მთები,
მისი პატარა ყმაწვილქალობა,
ლაჟვარდი ღამე, სავსე ფიქრებით,
როცა ბულბული ტყეში გალობდა.
მოაგონდება ეზო და სახლი,
მოაგონდება ნაცნობი შარა
და აჭარელი მშრომელი ხალხი,
მისი მშობლების წმინდა ჭაღარა.
მაგრამ დატოვა ყოველი ძველი,
დატოვა სოფლად შრიალი ჭადრის,
გულს მოაშორა შავფიქრა ქსელი
და ჩამოიხსნა თვალთაგან ჩადრი.
სურდა ფადიკოს გაფრენა ცაში,
უნდოდა ასვლა ღრუბლებზე მაღლა,
რომ თბილისიდან იქ — აჭარაში
მიფრენილიყო, ცხრა მთის გადაღმა.
და აისრულა სურვილი კიდეც,
დაფრინავს რკინის ფრთებიან რაშით,
ხან შვეულივითი ძირს გადმოჰკიდებს,
ხან, ვით მაშხალას, აისვრის ცაში.
ხან აჭარაში შორეულ მთიდან
გადაუქროლებს მთებსა და კლდეებს
და დაუმტკიცებს მეზობლებს ციდან
საბჭოთა ქვეყნის გმირულ საქმეებს.

1936 წ.

საღამო ზღვასთან

ჰორიზონტს ფარავს ნისლის მანდილი,
თვალს მერცხალივით დავაფრენ ზღვაზე,
ასე მგონია, ცა მოწმენდილი
ძირს ჩამოსულა დედამიწაზე.

ქლდეებზე ქარი ტალღებს აკვნესებს,
იღვრება ქაფად ზღვა უნაპირო;
მინდა ეს ღელვა ვასწავლო ლექსებს,
რომ შემდეგ ხალხმა დაიზეპიროს.

ტალღები გემებს კვალდაკვალ მისდევს,
შორს აფრიანი ქანაობს ნავი;
ასაღამოვდა და ელვარე მზემ
უძირო ზღვაში „დაიხრჩო“ თავი.

დაიწყო მშვიდი ღამე, უეცრად
თითქოს დაწყნარდა ზღვის ავი გულიც;
ზღვაში ბათუმი აენთო ცეცხლად
და მოსჩანს, როგორც ოქროს კუნძული.

1936 წ.

ლაშქრობა მყინვარზე

1936 წელს მყინვარზე პირველნი ავიდნენ ფრუნზეს სახელობის არმიის ნაწილები.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან“,
დღეს ფრუნზელები დაესხნენ თავს და
ყინულის კლდეებს ეომებიან...

ცეცხლივით ენთო მათი გულები,
უჩქეფდათ სისხლი, ვით ნიაღვარი,
ვერ აშინებდათ კლდე ყინულების,
როგორც შმიდტელებს მკაცრი ზამთარი.

ესტუმრნენ მყინვარს სახე შეეცხლილს,
აუწვდათ თითქოს ცაში ხელები
და დანთებული ქვემეხის ცეცხლი
მოჩანდა, როგორც ცისარტყელები.

უთვალავ წლების გზაზე მდუმარი
მყინვარის წვერი აახმაურეს,
სადაც ამდენ ხანს მარტოკა ქარი
იყო ლოდების მოყარაულე.

დაადგეს, როგორც ბედნიერება,
ბელადის ძეგლი ყინულის კლდეებს,
რომ დროის წინსვლა და ძლიერება
უამბოს ახალ საუკუნეებს.

1936 წ.

ხალხურ კილოზე

მე შენმა ეშხმა ამანთო,
გული მიქცია ფიქრებად;
ნეტავი იმას, ლამაზო,
ვინც შენი ტოლი იქნება!

მსურს გაგიშალო ეს გული,
როგორც ლექსების რვეული; —
მკერდზე გიფეთქავს მერცხლები,
თეთრ ფრთებში გამოხვეული.

ეგ შენი ტანი მაგონებს
ალვის ხეს მინდვრად დარგულსა;
რად შემომიჩნდი და ცეცხლი
რად წაუკიდე ამ გულსა?!

შენი თითები ვამსგავსე
ლერწმებს აყრილებს ბუჩქებად;
მაგ ლაჟვარდისფერ თვალებსა
ვერავინ გადაურჩება...

შენი ღიმილი ჩამოგავს
ცაზე გარბენილ ელვასო,
მომხედე, თორემ ვერ ვაცხრობ
ამ გულში ამტყდარ ღელვასო.

ჯერ სიყვარული მაჩუქე,
ამივსე გული ლხენითა,
და მერე მთხოვე ლექსები,
დაგიწერ ოქროს ენითა!

1936 წ.

ჩემი ეპიტაფია

ვცხოვრობდი ქვეყნად კაცი კეთილი
და მქონდა რწმენა არარაობის;
ჩემი ცხოვრებით უკმაყოფილო,
ჩემს გაჩენაზე მუდამ ვდაობდი.

მზით და სიცოცხლით დატკბობა მსურდა,
თვალის გახელაც ვერ მოვასწარი,
და ახლა მივხვდი, რომ ყველაფერი
წარმავალია, ქვეყნად რაც არი!

თქვენი სიცოცხლეც და ბრძოლის ხმებიც
გაჰქრება, როგორც თოვლის ნამქერი;
წიგნების წერა, ლექსი, რითმები
გართობაა და სხვა არაფერი.

ამაყი გრძნობა გაჰყვა შავ დროსა,
ჟანგმა შეჭამა ლექსის აბჯარი,
როგორც სიცოცხლემ არ მკითხა მოსვლა,
სიკვდილმაც ისე გააღო კარი.

და ნუ გახდებით გულმანკიერი,
ნურც გაგიტაცებთ მელანქოლია,
ლატაკი, მეფე თუ მეცნიერი
აქ ყველა ჩემი თანატოლია!

1936 წ.

როდესაც ლექსს ვწერ

ჩემი ფიქრები იმ აზრს ვერ გასცდა,
მკითხველო, ჩემი გრძნობის აკვანო,
რომ ახლა ჩემში შექმნილი განცდა
შენს გულში როგორ გადმოვიტანო.

როგორ დავწერო ისეთი ლექსი
შენამდე გზები ჩქარა იაროს,
გაგათბოს გულის ამონაკვნესით
და შენც ჩემსავით შეგაჟრიალოს.

როგორ გაჩუქო მზედ დაღვარული
გრძნობა, რომელიც ყოველთვის მახლავს,
როგორ გადმოგცე ის სიხარული,
რომელსაც გული განიცდის ახლა?..

რამდენმა ფიქრმა გადამიარა,
რამდენ ოცნებამ იცვალა ფერი
და დამრჩა თითქოს სევდის იარად,
რომ ვერ ვთქვი ლექსად მე ყველაფერი!..

1936 წ.

ზოთა რუსთაველს

რა სახელი მოგინახო, შენზე დიდს რას შეგადარო,
შენ, მგოსანო, სიბრძნით სავსეე და განცდებიც ნიაღვარო,
წარსულიდან შენ გვეკუთვნი, ჩვენო დიდო წინაპარო,
მსურს მოვიდე დღეს შენს ძეგლთან და ვარდები მოგაყარო.

პოეზიის დიდი დროშა ცის თაღამდე ვინ აღმართა,
ვინ იქნება, რომ არ ეგრძნოს ბრწყინვალება მაღალ აზრთა,
სიხარულის სავსე ზღვა ხარ და ბაღი ხარ გაშლილ ვარდთა,
შვიდასი წლის მოხუცი ხარ და მაინც ხარ ახალგაზრდა.

ვინ დაგირწია აკვანი, ქარმა ზენამ თუ ქვენამა,
დედის ნანინამ გაგზარდა თუ იადონის სტვენამა,
რომ შენი ჩანგის სიმები ვერ დასჭრა დროთა დენამა,
ელვამ — ხმალივით დაკრულმა, ქუხილის გადარბენამა.

ვერც მოგერია სიკვდილი, ვერ შეგიხარა წარბია,
გულს სიყვარული გაგშლია და ცეცხლით მოგიქარგია,
შენი აზრები ქვეყნებში ხარირმებივით დარბიან,
მხნეობას ჰმატებს მეომარს, ამხიარულებს დარდიანს.

წიგნს რომ წერდი, თვალწინ გედგა თამარისა ლერწმის ტანი,
ყორნის ფრთიან გიშრის ცქერით გახდი ლექსის ფალავანი,
შენი აზრი შეგვიტყვია, შენი გულის ძგერა ვცანით,
რომ სიყვარულს შეუძლია შექმნას „ვეფხისტყაოსანი“.

პოეზიის დიდი ცეცხლით სავსე იყო შენი ქურა,
იღვრებოდა მისი ალი სიყვარულის სამსახურად,
განსაცდელში ხიდი იყო, ხელს უწვდიდა ძმასა ძმურად
და ბრძოლაში — შეუდრეკი, მტერს იპყრობდა შამაცურად.

იგი დღესაც არ ჩამქრალა, მისი ალი მოსჩანს მთებად,
იტაცებენ მას მგოსნები ხალხის გულში დასანთებად,
იტაცებენ და ადნობენ ხან სიმღერად, ხან ლექსებად,
მაგრამ განა ოკეანეს წვეთი წყალი დააკლდება?

რამ ჩაგიქრო თვალთა ხედვა და მოდუღარ სისხლის დენა,
რა გრიგალი მოერია შენი ჩანგის აღმაფრენას,
რამდენ ქუხილს პატრონობდი და ბულბულის რამდენ ენას,
ეჰ, ვინ იცის, გულში პოეტს ჩაგყვა ცეცხლი რამოდენა.

ვინც წაგიკითხავს, დატკბება, გულს ვარდად დაეფინები,
წამს გაზაფხული დადგება, დილის მზის ამობრწყინებით;
ჩვენ გვატკბობს შენი აზრები, ჩვენ გვიყვარს შენი გმირები,
ჩვენც ბევრი ავთანდილი გვყავს, ჩვენ გყვანან თინათინები.

მრავალი ციხე ავიღეთ, შენს დროსაც აუღებელი,
თავისუფლების სამშობლოს ავუგეთ მკერდის კედელი,
გამარჯვება და გმირობა მუდამ ჩვენია მხლებელი,
ჩვენ სიხარულის განცდა ვართ, ზეიმი შეუწყვეტელი.

1937 წ.

პატარა ლექსი

დიდება მას, ვინც პატარას
გიმღეროდა ნანას ტკბილად;
ერთმა დედამ გშობა, მაგრამ
ყველა დედას ჰყავხარ შვილად.
კავკასიის მყინვარები
გაწოვებდნენ ძუძუს რძიანს
და აკვანი მთის კალთებზე
ქარიშხალმა დაგირწია.
შენი მზერა გავდა არწივს
და ცეცხლიან გრიგალს სძლიე,
აქუხდი და „ხალხთ ბორკილი"
დალეწე და დაამსხვრიე.
თვალი ახლაც არწივს გიგავს,
ოქროს სიტყვებს აფრქვევ ღვარად,
გამარჯვების დროშა მიგაქვს
კომუნიზმის საწინდარად.
რა ძალა ხარ, რა ფოლადი,
რა ვაჟკაცი, რა დიადი,
შენ შეგვიქმენ გაზაფხული
და ნათელი განთიადი.
მზე გველეშაპს გამოსტაცე,
ხალხს სამშობლო დაუბრუნე. —
ჯუღაშვილი დედამ შობა
და სტალინი — საუკუნემ.

1937 წ.

ფიქრები მგოსანზე

* *

წიწამურს ქარი თავს დასტრიალებს
და ტყიდან ნანას უმღერის ველებს;
არაგვი ხევში მოხეტიალე,
თითქოს დაეძებს ილიას მკვლელებს...

საგურამოში მზე აქვს სიახლის
მწვანე ტევრებით მოსილ მთა-გორებს;
დგას ნაღვლიანად ილიას სახლი
და უარწივო ბუდეს მაგონებს...

* *

საგურამო, ილიასეული მამული.

ყველაფერს შენი იერი აკრავს,
ბაღში ფუტკრები ისევ მღერიან,
ხშირი ტოტები ასწლოვან კაკალს
ირმის რქებივით მოუღერია.

აქ რაოდენჯერ ია მოსულა,
რამდენ ოცნებას აქ უფრენია,
შენი აზრები აქ ჩამოსხმულა
და ვრცელ სამშობლოს გადაჰფენია.

და ვფიქრობ კაცის წარმავალ ბედზე,
რამდენჯერ შენს გულს აქ უძგერია...
და ყველაფერში მე შენ დაგეძებ,
მაგრამ შენს გარდა ყველაფერია!

თუ დღემდე შენთან ბურუსი იწვა,
ახლა ხომ ირგვლივ გაზაფხულია?
რა უნდა შენთან საფლავის ?იწას,
შენი აკლდამა ხალხის გულია!

შენი სახლ-კარი ალაღებს ფიქრებს
და გულს აგრილებს ანკარა წყარო;
აქ, შენს მამულში, ვარდნი დავკრიფეთ,
რომ მთაწმინდაში გულს დაგაყაროთ.

ჩვენი ხალისი ბუჩქებსაც დასწვდა,
ლაღი ვართ, როგორც არაგვის ველი,
მე გული მხოლოდ იმაზე დამწყდა,
რომ არ დაგვიხვდი შინ მასპინძელი!..

1937 წ.

სიმღერა

ანათებდეს მთვარე ბუჩქებს
და ფოთლებში ბადეს ქსოვდეს;
შენს სიყვარულს თუ მაჩუქებ,
არ მოვკვდები არასოდეს!

ვის აქვს ისე ბილწი გული,
რომ სამშობლო არ ახსოვდეს?!
ჩვენი ქვეყნის გაზაფხული
არ დაჭკნება არასოდეს!

იქნებ მტერი გათავხედდეს,
ტყვიას ჩვენკენ ჯარად სროდეს,
მაგრამ დროშას ძირს არ დავხრით,
არ შევდრკებით არასოდეს !

მოვარაყდეს მზით ეს მთები,
ხევში წყარო ბაასობდეს,
ჩვენც ვიმღეროთ ისეთ ხმებით,
რაც არ თქმულა არასოდეს.

გული ცაში აზიდული,
სიხარულის განცდას შობდეს;
ჩემში შენი სიყვარული
არ გაქრება არასოდეს!

1937 წ.

ბაღდათის მთებში

დგანან და დუმან ბაღდათის მთები,
ნისლის ბაღდადი წაუკრავთ თავზე,
სიმღერას ამბობს ნიავის ფრთები
ცაში გაფრენილ არწივის ხმაზე.

გამოქცევია მთებს ხანისწყალი,
ბარად რომ შეხვდეს სოფლებს, ქალაქებს,
საირმის მთების შთამომავალი,
ირმების ენით მოლაპარაკე.

წყალს ეურჩება კლდეების კოშკი,
მდინარე მაინც განაგრძობს დენას.
აქ იზრდებოდა მაიაკოვსკი,
სწავლობდა ბავშვი ტალღების ენას,

ახლა კი მივხვდი, მისი სიტყვები,
ბრძოლით გართულნი, თუ რად გალობენ;
აქედან წაჰყვა, ალბათ, ზვირთები,
მის ლექსებში რომ მოჩხრიალობენ.

ნისლებს მირეკავს ქარი — მეცხვარე,
ღრუბელთა ჯოგებს მთვარე ჰყავს გზირად,
და ინდუსტრიის ოქროს მერცხლები
ჩამოფრენილან ხანისწყლის პირად.

შეგხვდება გზაზე გლეხი ხალისით,
მიგიპატიჟებს შინ დაძალებით,
მოგეგებება დიასახლისი
და ქალიშვილის მორცხვი თვალები.

ვაზებს დაუბამს აივნის სვეტი,
დაგრეხილ რქებით ბაძავენ ირმებს;
ჯერ მასპინძელი ქარაგმას გეტყვის,
მერე მარნისკენ გაგასეირნებს.

ქვევრს მოხდის, სასმისს ააესებს როცა,
იხილავ ნამდვილ ვაჟკაც-გამრჯელად,
პირველად იგი სამშობლოს ლოცავს,
მერე ცოლშვილს და თავის მარჯვენას.

ვაზებს კალთები დაუბერტყია
ღა საწნახელში ღვივის ბარაქა,
მტევნებში სისხლი ვერ დაეტია,
ქვევრებში ჩადგა და ჩაიშაქრა.

ჩამოუშლია ყანასაც თმები
და არხევს ქარი ირმების მთისა;
ვის არ მოხიბლავს ბაღდათის მთები
და შემოდგომა იმერეთისა!

1938 წ.

ჩანჩქერები

ჩანჩქერებო, რად ხარხარებთ,
რა გახარებთ, ნეტავ, ასე?
ხევი ნებით გიღებთ კარებს,
რად მიდიხართ შეტევაზე?
ტყეს ეგ თქვენი ბროლის ტანი,
როგორც მკლავზე — ფესვზე ეწვა,
ახლა როგორ გაგიმეტათ
ამ კლდეებზე დასალეწად?
თქვენ კი მაინც სულ ხარხარებთ,
წინ ისწრაფით გამუდმებით;
რატომ სტოვებთ მშობელ მხარეს?
მთებში როდის დაბრუნდებით?
გიყვართ წინსვლა, გიყვართ ბრძოლა,
არ გედებათ ტანზე ხავსი;
თქვენც იცით, რომ მოძრაობა
არის ქვეყნის შინაარსი?
ჩანჩქერებო, რად ხარხარებთ,
რა გახარებთ, ნეტავ, ასე?
მე ცხოვრებას შეგადარეთ
და ერთმანეთს დაგამსგავსეთ.
შეგინახავთ ტყე და მთები,
სხივს დაგაფენთ მზე და მთვარე:
თქვენ არასდროს დაბერდებით,
მუდამ ასე იხარხარებთ!
მეც მწყურია თქვენი ხვედრი,
დღეგრძელობა რომ გულს ერგოს;
იხარხარეთ, იხარხარეთ,
გაზაფხულის ჩონგურებო!

1938 წ.

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ

1938 წელს ქართველ სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა პირველად ვიმოგზაურეთ ჩვენი სამშობლოს უდიდეს ქალაქებში. ჩემი განუზომელი შთაბეჭდილებანი ნაწილობრივ ავსახე რამდენიმე ლექსში, რომელთაც „მოგზაურის სიმღერები“ დავარქვი.

ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

I

სადგურის ზარმა მშვიდობა გვითხრა,
მზის ჩასვლა ღამეს ვეღარ აბნელებს;
ჩვენ გვიცქეროდა თბილისი დიდხანს
და მთაწმინდიდან გვიქნევდა ხელებს.

შორეულ გზაზე მივემგზავრებით
ჩვენ — საქართველოს მკვიდრი შვილები,
რომ ვნახოთ მოძმე ხალხის ცხოვრება,
დავბრუნდეთ მდიდარ შთაბეჭდილებით.

გვიცქერენ მთები, აწვდილნი ცამდე,
ჩვენზე მშობლიურ გრძნობების მქონი,
დ. თბილისიდან განთიადამდე
ფეხით მოგვდევდა კავკასიონი.

ცეცხლი და რკინა ასე მორიგდნენ:
უნდა გადავლონ მთა და გორები...
ყველგან ხელს გვართმევს ვაგზლის მორიგე,
ქუდებს გვიხდიან სემაფორები.

შენზე ფიქრებით აღვსილი ღამე

ჩემს თანამგზავრებს იპყრობს სიამე,
მე კი ხანდახან გავდგები ცალკე;
შენზე ფიქრებით აღვსილი ღამე
შენს სახედ მიმაქვს მოსკოვისაკენ.

შენზე ოცნება წამომყვა ჯავრად,
შენი აჩრდილი გულში ჩავრაზე,
რა იქნებოდა, შენაც გემგზავრა
ჩემთან, სამშობლოს შორეულ გზაზე?!

გულს ამინთებდა შენი თვალები,
ლექსებს ვიტყოდი უფრო ცეცხლიანს;
გახედე გარეთ, ცას ვარსკვალები
მზის ვარაყებით მოუვერცხლია.

მაგ ვარდისფერი ლოყების ქიმი
ყოველ დაკეტილ გულის კარს აღებს;
მე მახლავს შენი თვალთა ციმციმი,
რომელიც გულში დავატუსაღე!

აზერბაიჯანში

შორი მგზავრობა, შორი ველები,
მაგრამ არასდროს არ იქანცები;
ჩანს ამართული, როგორც ხელები,
ნავთის კოშკების ჯარისკაცები.

ჩქეფს მოძმე ქვეყნის დიდი ცხოვრება,
შავი ქალაქი ნავთის, ქარების...
ბაქოს ყოველთვის ემახსოვრება
უმანკო სისხლი კომუნარების.

შაუმიანი და ჯაფარიძე...
ხსოვნას საფლავი ზოგჯერ ვერ ფარავს —
მათ შემოჰქონდათ ლენინური მზე
აზერბაიჯნის მთებში და ბარად.

მოგონებები მწარე და შავი,
ო, რანაირი წლები წასულან,
მათ დიად საქმეს შესწირეს თავი
და გულის ფიქრი მათი აღსრულდა.

კასპიის ზღვასთან

აგერ კასპიის ზღვა წევს გულაღმა,
შორს კი ცა და ზღვა შეერთებულან
და ჰორიზონტზე, თვალის გადაღმა,
ღრუბლების გუნდი ჩასაფრებულა.

ზღვას უნდა ვუთხრა ჩემი ოცნება,
ზღვამ იცის მრავალ ფიქრის დატევა,
იგი ნიავით დაიკოცნება
და ზღვიდან ცაში დაიხატება.

უკვე შორდება მატარებელი,
ცეცხლმა და რკინამ ასე ინება;
მინდა ზღვა იყოს ჩემი მხლებელი,
ო, მეგობრებო, ნუ გეწყინებათ.

მე მას ვეტყოდი ჩემს აღტაცებას,
დავინახავდი შიგ ჩემს ორეულს,
ჩემს ხმას ტალღები მოიტაცებდა
და გადასცემდა ნაპირს შორეულს.

უკანასკნელი დღე

ცეცხლი და რკინა როგორც მორიგდნენ,
გადაირბინეს ცხრა მთა-გორები,
ყველგან ხელს გვართმევს ვაგზლის მორიგე
ქუდებს გვიხდიან სემაფორები.

მატარებელი მიჰქრის და მიჰქრის,
მგზავრი თანამგზავრს საუბრით ართობს:
სიცილი, მღერა, ნახულზე ფიქრი
და ტრამალები ზღვასავით ფართო.

მანძილს სიჩქარე ადვილად მოსპობს,
ჯერ კიდევ დღეა ჩაუქრობელი,
ალბათ ამაღამ ვიქნებით მოსკოვს
და გულს ჩაგვიკრავს, როგორც მშობელი.

რამდენი განცდა გროვდება გულში,
ჩვენი ხალისი ქვეყნის ტოლია; —
მთვარე თბილისში დავტოვეთ გუშინ,
თურმე მოსკოვში წამოგვყოლია.

1938 წ.

მე ვნახე ლენინი

ზღვასავით ღელავს დღეს ჩემი გული:
დღეს მე პირველად ვნახე ლენინი,
დიდიხანია ჩვენგან წასული
და ჩვენს რიგებში კვლავ დარჩენილი.
  უდიდეს ბელადს ვხედავდი მძინარს
და ჟრუანტელი მივლიდა ტანში,
აღარ ვიცოდი, ცრემლით მეტირა,
თუ გლოვა მეგრძნო მდუმარებაში.
  ვხედავდი: ნათელ კუბოში იწვა
და ვიწრო იყო მისი სავანე;
ის მდუმარებდა, ვით დედამიწა,
მაგრამ ღელავდა, ვით ოკეანე.
  სიკვდილის ნისლით არ იფარება,
ვინაც შობილა ძლევის ვულკანად,
ვინაც წაართვა მზეს ელვარება
და დედამიწას ჩამოუტანა.
  მას ხომ არასდროს იპყრობდა სევდა,
მუდამ ბრძოლებზე იყო ჩვეული
და ამდენ გრიგალს როგორ იტევდა
ასე უბრალო კაცის სხეული?!
  რა მოჰკლავს ვინაც გრიგალებს მოჰყვა,
ვინც საუკუნის ბჟე გაარღვია,
და თუ ლენინში სხეული მოკვდა,
ისიც ხომ ხალხის გულში მარხია?
  ის დღესაც ცოცხლობს, სიკვდილის წყვდიადს
მისი ჯან-ღონე ვერ დაუცლია,
ახლა ლენინი პარტიას ჰქვია
და მიუძღვება რევოლუციას!

1938 წ.

სიმღერა თბილისზე

აინთება დილა თეთრად,
ცაზე მართავს მზე მარულას,
და თბილისი ჩემთან ერთად
მზეს დახვდება მხიარულად.

მზეს დახვდება ლაღად, ლხენით,
მთის კალთებზე შემომჯდარი,
გამოჩნდება სასახლენი,
როგორც ზღვაში გემთა ჯარი.

ვით წარსულის საჩუქარი,
დგას ამაყად ნარიყალა,
ახალ დღეებს მისცა მხარი
და ნისლები გადიყარა.

მტკვარს აკვანი გაუკეთეს
მოუშედეს ვერცხლით კიდე,
მიწას ფერი შეუცვალეს,
ცას კოშკები ჩამოჰკიდეს.

კაცი სადაც უნდა შედგეს,
მწვანე ბაღი გულმკერდს გაშლის,
რომ მშრომელმა შრომის შემდეგ
დაისვენოს მის წიაღში.

უცებ გახსნის ოქროს თვალებს
ღამე ჩუმად მორბენილი,
და თბილისის ცაზე მთვარე
ჩანს ლენინის ორდენივით.

1938 წ.

ეთერს

უხსოვარ დროდან გიმღერდა ხალხი,
გრძელი შაირი გითხრა ვაჟამაც,
მაგრამ ობოლმა ვერსაით ნახე
ბედი, რომელიც შენ გაქვს ამჟამად.

სახლში გებრძოდა დედინაცვალი,
სახლგარეთ გდევდა შიში და ძრწოლა;
ბოლოს შეგაშრა ცრემლების ცვარი,
ჭაბუკ მეფეს რომ გაჰყევი ცოლად.

მაგრამ გიმტყუნა ბედმა ცბიერმა
და სიყვარულში ჩაქსოვეს გესლი...
შენ დაგიტირა მშობელმა ერმა
და სიბრალულის გიმღერა ლექსი.

მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა,
ღრუბლებმა ბრძოლით დატოვეს სივრცე.
ცხოვრება მოდის სხვა სათავიდან
და მზეს ახალი სინათლე მისცეს.

ახლა შენც სხვა ხარ, სხვა დროის შვილი,
ბედნიერებით გიფეთქავს გული,
შენი სახეა ვარდი გაშლილი,
მკერდი კი — ტოტი ატმებდასხმული.

როცა ვიგონებ ეთერის წარსულს,
გუმანს ვეძლევი შენი მნახველი,
რომ შენ, ბედნიერ ეპოქის ასულს,
გქვია საბრალო ქალის სახელი.

მაგრამ მგონია, რომ ვისმენ შენს ხმას,
იგი ეთერი აღმდგარა მკვდრეთით,
დასწაფებია ცხოვრებას ახალს
და დედის სახელს ატარებს მკერდით.

გმირებს დაუზრდი სამშობლო მხარეს,
რომ „ქართველის დედა“ გახდე, ეთერი;
ნეტავი იმას, ვისაც ახარებ,
შენი ტოლობა ვისაც შეჰფერის!

მე კი ბუნებამ ხელი დამრია,
არ გაიმეტა ჩემთვის წყალობა,
არ შემახვედრა შენს თავს ადრიან,
რომ გაგხდომოდი აბესალომად!

მაგრამ სიამის ფიალას სვამდე,
სხვას ახარებდე, რად მეწყინება?
მეც დაგინახავ ხანდახან სადმე
და გულზე ვარდი დამეფინება!

1938 წ.

თეთრი ღამე ნევაზე

ნევა თეთრად დაფენილი,
თვალნი ტალღებს როგორ სვამენ,
ცა — მთვარეზე აფრენილი
და თოვლივით თეთრი ღამე.

მიდის ნავი ამ ღამეში
და შრიალი ისმის წყნარი,
თითქოს ვიყო სადღაც ტყეში
და ხის ფოთლებს წეწდეს ქარი.

აღმიტაცა მრავალ განცდით
გულმა მუდამ ცეცხლის მქონემ;
ნაპირზე დგას ორი ნაძვი,
შენს სიყვარულს მომაგონებს.

ნეტავ ახლა ჩემთან იჯდე,
ქარი შლიდეს შენ დალალებს,
გადავლახავ ფიქრთა მიჯნებს,
თუ გავუძელ შენს მწველ თვალებს.

გნატრობ, სულო... ტალღა ზანტი
ჩემს ოცნებას გულში ირთავს,
შიგ ბანაობს მთვარის ლანდი
ოქროსთმიან ქალივითა.

მალე განახავ, გულის სწორო,
და სამშობლოს ჩრდილო მხრიდან
ამ განცდების სამახსოვროდ
თეთრ ღამეებს ჩამოგიტან!

1938 წ.

მარჯანიშვილის პორტრეტი სარეპეტიციიო დარბაზში

დაჰყურებს დინჯად დარბაზის არეს,
ჩამოჰგავს მყინვარს ჭაღარა თავი,
მისი თვალები, თითქოს მწუხარე,
ელვარებს, როგორც ორი ვარსკვლავი.

ელვარებს კოტეს სიდარბაისლე
და აკვირდება დარბაზს თამამად,
ყველა მსახიობს უცქერის ისე,
როგორც შეჰფერის საყვარელ მამას.

დარბაზში მიდის რეპეტიცია,
ხმის შადრევნები ასკდება კედლებს;
შემოქმედის სულს, მათ ხომ იციან,
საფერფლე ურნა ვერ დაატყვევებს.

აი, დატოვა ჩარჩო ლამაზი
და „შვილებისკენ“ წავიდა ნელა,
ჩამოიარა მთელი დარბაზი,
მიუალერსა მშობლურად ყველას.

ის დადიოდა, როგორც გუშაგი,
ხან შედგებოდა, როგორც წერტილი,
და რომ ვერ ნახა მათში უშანგი,
დაბრუნდა უკან გულდაწყვეტილი.

და მიაშურა მის ლამაზ ჩარჩოს
და დაჯდა ისევ დარბაისლურად;
დუმს, მაგრამ გულში ბორგავს და ჯავრობს,
რომ დღეს სურვილი ვერ აისრულა.

ვერ გაიგონა მისი ტკბილი ხმა,
ვერ გაიხარა მიალერსებით,
და იგრძნო, როგორც ტოტის მოტეხას
იგრძნობს მიწაში მუხის ფესვები.

ისევ დაჰყურებს ღრმა დაფიქრებით
ღარბაზის არეს ჭაღარა თავი,
შეხედავ, განცდით დაიტვირთები
და აენთები, როგორც ვარსკვლავი...

1938 წ.

ჩემი თაობა

ჩემი ტოლები რას არ დასძლევენ,
თუ გინდათ მზესაც წავართმევთ სითბოს,
ერთად ვზეიმობთ, როგორც და-ძმები,
ერთი მშობლების შვილნი ვართ თითქოს.

ვინც უნდა იყოს, რუსი, ქართველი,
ადამის შვილი ჩემთვის ერთია,
მე ყველა მიყვარს, ვისი ფიქრებიც
ჩემი სამშობლოს ფიქრებს ერთვიან.

ცას ომის ცეცხლი თუ გაუჩნდება,
ჩვენი საზღვარი თუ არ დაინდვეს, —
რომელი მტერი გადაურჩება
საბჭოთა ქვეყნის მამაც რაინდებს?

მკერდით დავიცვათ სამშობლო მხარე,
ძარღვებში ჩქეფდეს ძალა რიონის,
ყოველი სიტყვა იყოს მჭუხარე,
როგორც ლექსები გალაკტიონის!

1938 წ.

თბილისს

(საჩონგურო)

თბილისო, მთებზე გაშლილო,
ჩვენო ლამაზო ქალაქო,
უწინ მტრის ფეხით თელილო,
დღეს ბედნიერო ალაგო,
მინდა გიმღერო, გულიდან
ფიქრები ამოვალაგო.

რამდენი მტერი გეხვია,
რამდენჯერ დაგწვეს ალითა,
მოკენჭილი გაქვს ველები
ქართველ გმირების ძვალითა,
ვეღარ გიშველა ერეკლემ
ვერც სიბრძნით, ვერცა ხმალითა.

ვეღარც მეტეხი გფარავდა
და ვერც კლდეები მტკვარისა,
მრავალჯერ მსხვერპლი გამხდარხარ
მტრების სისხლიან ჯარისა,
მუდამ ღრუბელი გფარავდა
მოსიყვარულეს დარისა.

მაგრამ დღეს სხვა ხარ, წარსულის
აღარ გაქვს ერთი ნიშანიც,
შენ სხვა ხანაში მოხველი,
სულ სხვა გმირები იცანი,
გამოგეცვალა იერი,
გამოგეცვალა მიზანი.

ისე იზრდები, მრავლდები,
არც სიგრძე გყოფნის, არც განი,

ახალ მშენებელ გმირთათვის
შენ გახდი ზრუნვის საგანი,
ასფალტის ლები დაგიგეს,
ვხურავს ელექტროს საბანი.

რა ხელმა გთალა, მოგჭედა
ამ ათასნაირ ქვებითა,
მკერდზე ბაღები გაგშლია,
დასერილი ხარ გზებითა,
შენი მშვენების შემქმნელნი
ვინ არ ახსენოს ქებითა?!

1938 წ.

მუზეგლიური მთების ქარი

მთების გაფერმწვანებამ გაზაფხული მახარა,
გასჩენოდა აქა-იქ ტყეს ტყემლების ჭალარა.
ხევი დუმდა, ჩანჩქერი სიმღერებს აღ ამბობდა
ქარი ფაფარაშლილი ნადირივით დარბოდა.
ის ხან ჩასაფრდებოდა მუხებთან და არყებთან,
ხან ტყეს ახალ ძილდამტკბარს ტალღებივით არხევდა.
ეს ნამდვილი მთიელი, თავზე ხელაღებული,
მეც მომვარდა ჩამიქროს ოცნებათა კრებული.
მაგრამ, ქარო, აფთარო, არ შეედრკები არასდროს,
თუგინდ ადგეს ეს მთები და გზა ხევში ჩარაზოს!
ჩემი ქვეყნის შვილი ხარ, როგორც ეს ტყე, ეს მთები,
ძალა გაქვს და მტრის მიმართ ერთხელაც არ ენთები.
ჩვენს სამშობლოს უტევენ, შენ კი, ქარო, ტიალო,
აქ, ამ მთებში, კლდეებში უქმად დახეტიალობ.
შენი მკერდი რომ მქონდეს, შენებრ უქმად მნახავდი?
გადვიელიდი მთა-გორებს ზღვებსაც გადავლახავდი.
ვიქნებოდი რაინდი, მტრის პირველი მორკინე,
და დავლეწდი მსოფლიოს ციხეებს და ბორკილებს!
შენ კი მე მეჯიბრები, გზა ღრუბლებით მოჩრდილე,
მაგრამ დაგიმორჩილებ, მაინც დაგიმორჩილებ!
რომ შევიძლო ჩემს მკერდში შენი დატუსაღება,
რომ ამოჰყვე ხანდახან ლიქსის ამოძახებას,
რომ ოცნების მდინარე შინებრ ლაღად დიოდეს,
რომ პოეტის მაგიერ ქარიშხალი მქვიოდეს!
რომ ჩემი ხარ რიჟრაჟთან ერთად აენთებოდეს,
სიმღერა ვთქვა რუსთველის მიწას დაშვენდებოდეს!
ღაე დამწვას ამ ცეცხლმა, დაე ცრემლიც მცვიოდეს,
ოღონდ ჩემი სიმღერა ხალხში გადადიოდეს!..

1939 წ.

გაზაფხული ჩემს სოფელში

აქ უთვალავჯერ მოსულა იგი,
უხარებია ხალხის კერია,
მზეს გაუშლია ბუნების წიგნი
და რუსთველივით დაუწერია.

მთების კალთები მზით მონაქარგი,
წყაროს კამკამი, ფოთლების ტაში...
რა უნდა იყოს იმაზე კარგი,
როგორც მაისი ჩემს ქვეყანაში.

აი, მოვსულვარ, სამშობლო მთებო,
რომ თქვენს წიაღში დავტკბე, ვიხარო,
კვლავ იავნანა შემომაგებოთ,
გულიდან დარდი გადამიყაროთ.

თქვენი აჩრდილი ყოველთვის მახლდა,
თუმც გამატანეთ ბევრი ნაღველი,
გახარებული დავბრუნდი ახლა
ერთი პატარა მგოსნის სახელით.

ჩემი ბავშვობა თქვენთან ახლდება,
მინდა შეგფიცოთ კვლავ ერთგულება,
აქ მამის ძვლები ხომ ინახება,
აქ დედის კალთა ხომ მეგულება!

თქვენს ლამაზ მინდვრებს, მთებსა და სერებს
თუგინდ მოვშორდე, ბედმა მიმუხთლოს, —
ახლა კი არა, სიცოცხლის მერეც
თქვენ მეყვარებით ყველაზე უფრო!

1939 წ.

ოცნება და სინამდვილე

თქმული ოპერის თეატრში გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოებზე.

რა მივუძღვნა მის დიდ სახელს, მთებზე ასულს, ბარად გაშლილს.
რა მივუძღვნა გალაკტიონს — ჩვენი დროის ბარათაშვილს!
მზის ქვეყანა, მზის სამშობლო, მზის მუდმივი საბუდარი,
სადაც ამაყ კავკასიონს აღუმართავს ცამდე მხარი,
სადაც კაცი, მთა და ველი მზის სხივებით შეიმოსნენ,
აქ ზეიმი გაუმართავთ პოეზიის გენიოსებს.
თავში ოქროს კვარცხლბეკი დგას, ზედ ბრძანდება რუსთაველი,
იქვე ახლოს ილია ზის, თვალში უდგას მზის ნათელი,
აქ აკაკი ჩამომჯდარა, უელვარებს თეთრი წვერი,
აგერ ჩარგლის რაინდი დგას და ფრანგულზე უდეევს ხელი;
გურამიშვილს ლეკეთიდან ცხრა მთა გადმოუარია,
ვარდის ბუჩქთან დგას ბესიკი, თითქოს უცხო სტუმარია;
აელვარდა ჰორიზონტზე, როგორც ხმალი პირმახვილი,
და მოაპობს გზას მერანი კოშლი მხედრის მოძახილით!..
გენიოსნი ღაღადებენ: „ო, დიდება იმ გმირ კაცსა,
ვინაც ჩვენი სახელები დავიწყებას გამოსტაცა,
აღგვიდგინა უკვდავება, თანაც გულით შეგვიყვარა,
ვინც წაართვა მზეს სხივები და მიწაზე ჩამოყარა“.
სხვაც ბევრი რამ წმინდა აზრი წარმოსთქვეს და გაიხსენეს...
უცებ შეკრთნენ, მოიმზირეს, თვალი მოჰკრეს ლურჯა ცხენებს;
აქ მორბიან, რომ თვალები ლაჟვარდებში გაახვიონ,
აქ მთაწმინდის მთვარე მოაქვს დაუდეგარ გალაკტიონს
ის მოვიდა ბრძენ მგოსნებთან, დაიკავა თვისი ბინა,
ვაჟამ მხარზე ხელი დაჰკრა და რუსთველმა გაუღიმა.
ამშვენებდა გმირის მკერდი, სახე ჰგავდა ყალმით ნახატს
და თვალები ფიროსმანის — სურათებში რომ მინახავს.
მან თქვა: „ჩემო მეგობრებო, ოცნებებო ძველისძველნო,
თქვენს შემდგომად მე დავლიე ახალ დღეთა სადღეგრძელო!“

სალმნენ ახალ სტუმარს და მიუძღვნეს ერთხმად ტაში,
ეს, რომ ცეცხლი არ ჩაქრება რუსთაველის ქვეყანაში!
მისი ხმა იმ მგოსანთ ხმებს შეერია, შეუერთდა
მე მჯერა, რომ ეს ხმები დარჩებიან მუდამ ერთად.
მობენ, ვერ აშინებთ ვერც რისხვა და ვერც მუქარა,
ვერ წაშლის ისტორია, მათ სიკვდილი ვერ დაფარავს!
უნდ დიდი დრო გავიდეს, რაც უნდ წლებმა წლებს გასდიონ,
დაიპყრობს დავიწყება ჩვენს საყვარელ გალაკტიონს!

1939 წ.

აქ ყველაფერი მზით იფერება

ამ ზღვის ტალღებს და ამ სპეტაკ ნიავს
ლაღი ფიქრები მოაქვს და მიაქვს.

აქ ყველაფერი მზით იფერება,
ქვებიც კი გრძნობენ ბედნიერებას.

არც ღრუბელი ჩანს, არც დაქრის ქარი,
ზღვა მაინც არის მოუსვენარი.

ტალღაც ისწრაფვის ნახოს ეს მხარე,
მოვა და კლდესთან გადიხარხარებს.

შორს, ზღვის სივრცეში მიცურავს გემი
და მას მიჰყვება ოცნება ჩემი.

ფერხულის თამაშს ტალღების ჯარის
ღინჯად დასცქერის მთები აჭარის.

ნარინჯოვნების მწვანე ქსოვილი
ფორთოხლებითა მოოქროვილი.

ცა შეპარვია ამ დილით დარაჯს
ღა ვარსკვლავებით ბაღში დამჯდარა.

ლაღი აჭარა ახარებს ამ გულს,
აქ ვერ გაარჩევ ზამთარს და ზაფხულს.

მახარებს ხალხის ბედნიერება,
და აღტაცებულ გულს ემღერება,

რომ აჭარასაც დასცქერს ცა დილის
და ამ ცაზეა შუქი სტალინის!

1939 წ.

მოხუცის ნათქვამი

დავბერდი მუხლმა მიმტყუნა,
თვალმაც დამიწყო კლება,
რა ვუყო, შვილო, სიბერეს
თვალიც კი დაუდგება;
ქვეყნად ყოველი იზრდება,
დაბერდება და კვდება,
მეც ხომ ბუნების შვილი ვარ,
სასჯელი არ ამცდება.

იქ რომ წითელი დროშაა,
რომ აფრიალებს ქარი,
ბრძოლებში შეღებილია,
შიგ ჩემი სისხლიც არის.
მახსოვს: სოფელში მოვიდა
ღამით დამსჯელი ჯარი,
უცებ ხანჯალი ვიშიშვლე,
მტერს მოვაცალე მხარი.

მოვაცალე და გავიქეცი,
მთას შევეფარე ტყიანს,
ვერ დამეწია მდევარი,
ვერ დამეწია ტყვია;
შევერთდით ხალხი მშრომელი,
ბრძოლას გავყევით მზიანს,
ჩვენი გმირული მიზანი
ვერავინ დაარღვია.

მტერი ხომ ახლაც ბევრი გყავს,
სამშობლოვ მშვენიერო,
და მე უბედურს არ ძალმიძს
მტერს ხმალი დავაძგერო;

სადა ხარ, სიჭაბუკეო,
ძარღვებში სისხლის ჩქერო...
დავბერდით გულო? ოჰ, რა ვქნა
არ მინდა დავიჯერო.

უწინ კი სიკვდილს ვნატრობდი,
ახლა სიცოცხლე მინდა,
ბედნიერების მზე ჰყვავის
კაცის გულში და მინდვრად,
მეც მსურს ვუცქერდე გაზაფხულს,
ჰაერს ვსუნთქავდე წმინდას,
მაგრამ სიბერე ოხერი
თვალს გადაეკრა ბინდად.

მტერი ვერაფერს დააკლებს
ძმურად შეფიცულ ერებს,
სადაც ბელადის მზის შუქი
ანათებს მინდორ-ველებს;
მე სიხარულში მოვკვდები,
გულზე დავიკრეფ ხელებს,
თქვენ გაიხარეთ შვილებო,
სამშობლო ასახელეთ!

1939 წ.

თბილისი და წაღვერი

ამ ლექსის მუსიკის ავტორს და პირველ
შემსრულებელს
მ ა რ ი ხ გ ო ძ ი ა შ ვ ი ლ ს.

გრძნობა როგორ დაგიამო,
ან რა ლექსი გიმღერო?
ქალო, ალვისტანიანო,
ვარდისა და მზის ფერო!

ნუთუ აღარ გაგახსენდი,
რაც აქედან წახველი?
ო, ნეტავი ერთად იყოს
თბილისი და წაღვერი...

თვალს გავახელ, წიგნს გადავშლი
თუ მიდამოს გავცქერი,
მომანათებს შენი სახე
და თვალების ჩანჩქერი.

შენზე ფიქრებს გადავურჩე,
თუ თბილისის მზეწვიას?..
ვერ მოვუსწარ მატარებელს,
ეს რომ გამომეძია;

ბევრი კოცნა დაგადევნე,
ერთიც ვერ მოგეწია!..

აგერ თითქმის სამი თვეა,
რაც დატოვე ეს მხარე,
და წერილიც არ მომწერე,
ერთხელ არ გამახარე!

შენ ნაძვნარში დასეირნობ,
მე კი მადნობს ივლისი;
ო, ნეტავი ერთად იყოს
წაღვერი და თბილისი!..

იქნებ სხვაზე გადამცვალე,
სხვას აენთე კელაპტრად?!
არ გიყვარვარ? ჩემი ლექსი
აბა, რად მოგენატრა?!

თუ გიყვარვარ, რად გამირბი,
რატომ თავაზიანობ?
თუ ჩემი ხარ, რატომ გინდა
ეჭვით დამაზიანო?
ჩემო ვარსკვლავთვალიანო,
მთვარის თანაზიარო!..

ჩემი გრძნობა წმინდა არის,
ვით ანკარა მთის წყარო,
და მგოსანზე უკეთესმა,
ქვეყნად ვინ შეგიყვაროს?!
პოეზიის სურნელება
მსურს რომ გადმოგიღვარო,
სიხარულის დღეებია,
მოდი, ჩვენც გავიხაროთ!..

1939 წ.

ᲨᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ

მზემ დაფერა ველ-მინდორი,
მთებს სიცოცხლე ჰქონდა დილის,
ხევის გაღმა ჩანდა შორით,
შეეწყვიტა ნისლებს ძილი;
მიფრინავდა მაღლა ქორი,
ვით ისარი ავთანდილის.

დგას ხეები ყელმოღერით,
აქვთ კაცური გამომზერა,
აქ ფოთლების ენით მღერის
ეს მუხა და ეს წიფელა
და მზეს მათი მწვანე ფერი
შეუცვლია ოქროს ფერად.

ხევში წყარო — ირმის თვალი
კლდეზე ლესავს ვერცხლის დანას,
გადმოლახა ზღუდე ძალით
და მდინარეს დაემგვანა;
მოფრენილა აქ მერცხალი
თეთრი მკერდის დასაბანად.

ცელქ ბავშვების ჟრიამული
სოფლის შარებს ლხენას ჰგვრიდა,
ვით სიმები ჭიანურის,
ვარდს სხივები დაეკიდა
და შორს ქარი გულმოსული
ღრუბლებს ზღვისკენ მიდენიდა.

დღეს სტუმრად ვარ შენს სოფელში,
მინდა სადმე მარტო გნახო,
რომ ფიქრების მთაგრეხილი,
გავბედო და გადავლახო;
ერთის მეტი თუ გაკოცო,
დე, ტოლებში დავიძრახო!

ზღვის ნიავქარს ფაფარაშლილს
ეჯიბრება ველზე ყანა,
ბუჩქები კი ჩაის ბაღში
მხედრებივით რიგში დგანან,
და ჩიტების სიმღერაში
უკვე ბინდმა მოატანა.

მზე ჩავიდა... მთების თავზე
გადიღვარა სხივთა ჩქერი,
მზე ჩიტებმა გააბრაზეს,
დაიღალა მათი ცქერით,
მზე ჩავიდა, მაგრამ ცაზე
დარჩა მისი ხელნაწერი...

1939 წ.

რაღა ლეჭსის კაცი ვარ

ვიდექ. მხრებზე მეხურა
ღამე, როგორც ნაბადი.
უცებ ჩამოიარე,
თვალებს მორცხვად ნაბავდი.

თითქოს მოწყდი ვარსკვლავი
ლურჯი ზეცის თავანზე,
და ღიმილით სალამი
დინჯად შემომთავაზე.

მე კი სევდა ფარული
გულს დამეცა ჩრდილებად,
რომ ჩემს ნაცვლად სხვა ვინმე
სახლში მიგაცილებდა.

რად მინდოდა სალამი,
ან ღიმილი ამგვარი?
ისე წავიბარბაცე,
თითქოს თოფი დამკარი.

ჩანგს სიმები დასწყვიტე,
მგოსნის მუზაც დაობლდა;
და დავბრუნდი ბინაზე
თითქო სასაფლაოდან.

მომყვა შენი თვალები
და ღიმილი მგესლავი,
და დაეშვი ჩემს ტახტზე
მოჭრილ ალვის ხესავით.

რამდენ ლექსს ვინახავდი
შენს სახელზე ფარულად,
შენებრ უხმოდ ამ გულში
არვინ შემოპარულა.

შენებრ გრძნობა მორევით
არვის გავუტაცნივარ,
ახლა ცეცხლი ჩამიქრე,
რაღა ლექსის კაცი ვარ?

შენ იმგვარად დაჩლუნგდი
ჩემი ნანატრისთვალი,
რომ მგოსანს ამჯობინე
ვიღაც ნაარტისტალი.

მსურდა გული ამევსო
სიყვარულის რწმენითა,
დაფნის გვირგვინს გიწნავდი
პოეზიის ენითა.

მსურდა ლექსში მომეცა
გრძნობა აუსახველი
და ყველაფერს რქმეოდა
ქვეყნად შენი სახელი.

მაგრამ არ გამიმართლე,
დარჩი ისევ წარმართი,
ჯერ სასახლეს დამპირდი,
მერე ქოხიც წამართვი.

ცალად დავიარები
და ფიქრები სტირიან,
ყველგან ღია კარები
ჩემთვის დეკეტილია.

1939 წ.

უკანასკნელი ბარათი

რამდენი ლექსი დავწერე შენზე,
ვერ გავხდი ღირსი მათი ხილვისა.
შენი ოცნება სიმდიდრეს ეძებს,
მან მგოსნის გრძნობა ვერ შეითვისა.

სად გაჰქრა შენი იმ ღამის ეშხი
და მოცქრიალე თვალთა ჩქერები,
როცა თბილისის სილაჟვარდეში
ვიყავით მართლა ბედნიერები?!

ო, რანაირი ღამე ყუჩობდა...
და მოაჯირთან ახალი ქუჩის
მტკვარის ტალღები კლდესთან ურჩობდა,
შენ კი სრულებით არ იყავ ურჩი.

შენს თვალებს გული როგორ უვლიდა,
აწი ვერ ნახავ მასთან გამხელილს,
ჩემი ლექსების თაიგულიდან
ამოვარდება შენი სახელი.

რა უნდა შენთან პოეტის სიტყვებს?
ვნანობ, ეს ლექსიც გამიცდენია.
ხან თუ ოცნებით დავისეტყვები,
ჩუმ ამოოხვრას გავატან ნიავს,

მაგრამ არასდროს ცრემლის ვარდებად
არ აყვავდება ჩემში დარდები,
მე არასოდეს შემიყვარდება,
ვისაც არასდროს შევუყვარდები!

1939 წ.

წერტილი

როგორ მიყვარდი, როგორ გეტრფოდი,
მე შენ გსახავდი ზეციურ ქალად,
თვით პოეზიის ვარსკვლავებს ვფლობდი,
შენზე ფიქრიც კი მაძლევდა ძალას.

მაგრამ მოვტყუვდი, ჰმ, მერე როგორ!
აენთე, ჩაქრი, როგორც ცის ელვა.
ო, სიყვარულის პირველად მომგონს
ჩემგანაც ჰქონდეს ათასი წყევლა.

რა კანონია, აიღე თუნდაც
ქვეყნად უწესო მისი ტარება:
ვისაც ვუყვარვარ, ის გულს არ უნდა,
და ვინც მე მიყვარს — არ მეკარები!

და ერთი აზრი ვერ მოვიშორე,
რომ თურმე ქალი არ ღირს დიდებად —
სულს ვეძიებდი მე შენში თორემ
ხორცი ბაზარშიც კი იყიდება!..

1939 წ.

გადაიარს სიყვარული?

გადაიარს სიყვარული?
გადაჰყვება ცივ ნამქერებს?
მოვა სულ სხვა გაზაფხული,
ყელს სხვა ვარდი მოიღერებს?
სხვა ბულბული მოფრინდება
და დასძახებს ტკბილ სიმღერებს?

მაგრამ მე ხომ უშენობით
ვერ ვიცოცხლებ მარტოხელა?
დავიბარებ, რომ მიმსხვერპლა
სიყვარულის ამბოხებამ.

დავიბარებ: მეგობრებო,
ნუ ჩაიცვამთ ჩემზე შავებს,
ჩემს სიკვდილში მხოლოდ ერთი
ქალი არის დამნაშავე!

მას თვალებად ვარსკვლავი აქვს,
სახედ — მთვარე, ტანად — ალვა,
მე სიკვდილი არ ვიცოდი
და მან ადრე დამასწავლა.

გადაიარს სიყვარული?
გადაჰყვება ნისლის გროვას?
ჩემს გულში კი შენს მაგიერ
ვეღარავინ ვერ შემოვა!

შენებრ ამ გულს ვინ მოხიბლავს,
შენებრ ვნებით ვინ მაკოცებს?..
მე — ტრფიალით მოკლულ ვაჟკაცს
სხვა ვერავინ გამაცოცხლებს!..

1939 წ.

ჟუთაისს

მოვდივარ, მომიხარია,
შენკენ მომიძღვის გზა-კვალი,
შენ დამირწიე პირველად
პირველი ლექსის აკვანი.
უხსოვარ დროის ქალაქო,
ნაშენო ქვით და კირითა,
ვინ მოსთვლის შენზე რამდენმა
მტრის ურდომ გადიჯირითა.
ბევრჯერ დაგფატრეს მახვილით,
კალთები სისხლით აივსო;
ტყვილა გეძახდნენ მგოსნები
— ქალაქო სავარდმაისო.
შენთან ვარდი არ ჰყვაოდა,
მაისშიც თოვლი გეყარა,
ახლა გამოხველ მზის შუქზე
და გიცნობს მთელი ქვეყანა.
მას შემდეგ ბევრი მივლია,
ცრემლში მილესავს ნაღველი,
მიყვარხარ, რომ შენ პირველად
დამარქვი მგოსნის სახელი.
როცა არწივმა მე ბარტყი
ბუდიდან გადამაფრინე,
ბრძოლის გზას ფეხი დავარტყი,
გავცდი შენს ლამაზ ნაპირებს.
დავდივარ ასე... და მთები
დათოვოს თუნდა დაწვიმოს,
მინდა რომ ჩემი სიმღერა
სამშობლოს გადავაწვდინო!

1939 წ.

ოპერის ბალში

ირმებს პარავდა რიჟრაჟი ფერებს,
მზე ამოსწიეს ფრთებით ჩიტებმა;
თვით ვაჟას ლექსიც ვერ დაიტევდა
იმ განთიადის სიმშვენიერეს.

ფოთლებს ცრემლებად ცვარი სცვიოდა,
მეც ამ ფოთლების შრიალს მოვყევი;
გასწითლებოდა ღრუბლებს ლოყები,
მთების გადაღმა ცა იცინოდა.

თითქოს მყინვარი დასთმეს ღრუბლებმა
(ცასაც სცოდნია მიწის ავ-კარგი);
დგას ზღვა ფოთლებში ძეგლი აკაკის,
ჩუმად მთაწმინდას ესაუბრება.

როგორც სამშობლოს ძვირფასი წიგნი,
გადაუხსნია მკერდი გულამდე,
რომ ნახოს ხალხმა, დარდებს თუ რამდენს
გამოუთქმელად მალავდა შიგნით.

უცებ შეირხა მთაწმინდის კალთა
და მკვდრეთით აღსდგა სამი აჩრდილი,
ბევრჯერ სიკვდილის შემდეგ დასჯილი;
ღიმილის ფრქვევით მოვიდნენ ბაღთან.

მოვიდნენ, მოჰყვათ მზე სხივოსანი,
მზეს იზიდავდნენ ბაღის კარებთან:
მერნის ჭიხვინი, ხმლის ელვარება,
შუბლ განგმირული ბრძენის ლოცვანი.

აქაც გაიხსნა აკლდამის თაღი,
აქაც წამოდგა სამი აჩრდილი,
რომ იგრძნონ სიტკბო ამ ლამაზ დილის,
რომ კვლავ იხილონ წარმტაცი ბაღი.

ერთი მეტყველებს ჩანგის ენაზე,
ერთი — ბულბული სიმღერით ხარობს,
ერთიც გასცქერის დინჯად სამყაროს,
რომ ეს სურათი დადგას სცენაზე.

შემოერტყმიან ჭაღარა მგოსანს,
როგორც თოვლიან მთას მთა ათასი,
ძიულოცავენ ზეიმს მზის თასით
და სამშობლოში მეორედ მოსვლას.

უთრთოდათ გული ნათელით სავსე,
მათ ხმას ლაჟვარდში მზეც კი ისმენდა,
შემდეგ აღმართეს ხელი ცისკენ და
დაფნის გვირგვინი დაადგეს თავზე.

1940 წ.

ივანე ჯავახიშვილის კუბოსთან

რა გულმა გაუძლოს ამ დიდ მწუხარებას,
რა თვალმა დაღვაროს სამყოფი ცრემლები.
მოდიან, კუბოსთან დუმილით დგებიან
მისი და სამშობლოს პატივისმცემლები.

ცრემლები არ გვიყვარს ბედნიერ ჩვენს დროში
და მხოლოდ დღეს არის ნიაღვრად მომსკდარი,
აღარ გვყავს ამ ტაძრის ერთგული მედროშე,
ქართული კულტურის სულმნათი მოძღვარი.

დავკარგეთ მზე კაცი, ქართველთა მშვენება,
შედგა და ისვენებს აწ სამარადისოდ...
ის ახლა რომ აღდგეს, ჩვენ მოგვეფერება
და გვეტყვის, ცრემლები სირცხვილი არისო.

იმისი ფიქრები ქვეყნად ხომ აღსრულდა,
ხომ აღსდგა სამშობლო დიდების ლამპარად?
ცრემლები მას უნდა, ტირილიც მას უნდა,
ვინც ქვეყნად ყოფილა და უხმოდ ჩამქრალა.

მის სპეტაკ ჭაღარას, მის სათუთ ბაგეებს,
მაისის ვარდები თვის ფოთლებს შეახებს,
საფლავთან ბულბული გაუთევს ღამეებს,
უმღერებს სამშობლოს გმირობის შესახებ.

ჩვენ მაინც წუხილი ვერ გაგვტეხს ვეროდეს,
მზე გვახლავს გაშლილი მთებიდან ბარამდის;
დიადო ქართველო, გჯეროდეს, გჯეროდეს,
რომ საქართველოსთან იცოცხლებ მარადის!..

1940 წ.

ᲐᲯᲐᲯᲘᲡ

ყოველ ვარდში შენ მეგულვი,
ყოველ გულში ანთებ ხანძარს
და მინდვრებში- ნაზ ბულბულებს,
ალბათ, შენთვის მიუბაძავს.
დაჩაგრულთა ნათელ მიზანს
დააღვენთე გული ღვარად,
მკერდს უშვერდი მტრების ისარს,
ᲮᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ რომ დაგეფარა.
სატრფოს წყლულებს ცრემლით ბანდი,
გულს ტანჯვა რომ აწვა ლოდად
და გჯეროდა, განთიადი
შენს ქვეყანას მოელოდა.
„გადიყარა, დადგა დარი“,
სატრფოს წყლული განიკურნა,
ამირანის ხმა მქუხარი
გრიგალებსაც წელში ღუნავს;
და შენ — ხალხის გულის ფეთქვა,
სამარემც ვერ დაგადუმა.
ტკბილი ჩანგის ტკბილი ხმები
დაფრინავენ ხალხში გუნდად,
აღსდგა შენი საქართველო,
შენც დიდება დაგიბრუნდა;
შენი ცეცხლი არ ჩაჰქრება,
მზე რომ ჩაჰქრეს ქვეყნად თუნდაც;
ო, სიცოცხლე ამას ჰქვია
და სიკვდილიც ასე უნდა!..

1940 წ.

ახალი წლის სადღეგრძელო

ამივსეთ თასი! გულმა უძირომ
ამ ძმობის ნიშნად ღვინო დალიოს!
ამ ლამაზ ღამეს ვათევთ უძილოდ,
რომ ჩვენ პირველნი შევხვდეთ ალიონს.

ახალო წელო! იყავ კედელი
კიდევ მრავალი ახალწელისა,
იყავი მუდამ დაუშრეტელი,
როგორც კალამი რუსთაველისა!

ამ საუკუნის უღრმეს წიაღში
შენი დღეები ია-ვარდობდეს,
გადასულიყო ძველთა სიაში
და შენი ხსოვნა არ დაგვკარგოდეს!

ააევსეთ თასი! გულმა უძირომ
ამ ძმობის ნიშნად ღვინო დალიოს!
ძმებო, ვათიოთ ღამე უძილოდ
და ტაშით შევხვდეთ პირველ ალიონს!

1940 წ.

* * *

სიყვარული ბევრჯერ გითხარ
და მაინც ვერ დაგაჯერე,
შვლის ნუკრივით გამირბიხარ,
მე კი შენთვის ჩანგს ვაღერებ.

თუგინდ დადგეს განსაცდელი,
თავს გავწირავ შენთვის უხმოდ,
გინდ მომეცი ბრძოლის ველი,
ვაჟკაცურად დავიქუხო.

ვერ აღმართოს მტერმა ხელი
ჩვენი ქვეყნის მიწის ახლო,
გულს დამეცეს შენი ცრემლი,
თუ გმირულად მკვდარი მნახო.

რა ვქნა...
სიტყვაც არ გსურს ჩემგან,
აღარც გჯერა ბრძენთა თქმული,
რომ სიყვარულს მოაქვს ქვეყნად
სიცოცხლე და სიხარული!

•

1940 წ.

ნისლიან საღამოს

დამსეტყვა შენმა თვალებმა,
არ დამენახე ნეტავ,
ჩემო ცისფერო სიშორევ,
ლაჟვარდზე მონაწყვეტო!

მიდამოს ნისლი ფარავდა,
ჩემს თვალებს — სახე შენი,
მიირხეოდი ეზოში,
როგორც ბილიკზე შველი.

არ დამიცადე, გამასწარ
და გაგიტაცა ბნელმა;
შენს გულში იყო სიმშვიდე,
ჩემს გულში დარჩა ღელვა.

შევდექი ნაძვის კარავთან
(ეხურა თოვლის ფიფქი),
მიდამოს ნისლი ფარავდა,
და მე კი — შენზე ფიქრი!..

დამსეტყვა შენმა თვალებმა,
არ დამენახე ნეტავ,
ჩემო ცისფერო სიშორევ,
ლაჟვარდზე მონაწყვეტო!

1940 წ.

ხალხის პოეტი

თუ ხალხის გულში არ გაქვს ფესვები
ვიცი, დაღუპვას ვეღარ ასცდები, —
მე მინდა შუქი ჩემი ლექსების
იყოს ხალხი და მისი განცდები.

თუ გულში ჩადგა სინათლის სვეტად,
ვიცი, არასდროს დაიბინდება, —
ხალხმა თუ მიცნო თავის პოეტად,
ქვეყნად რად მინდა მეტი დიდება!

სიხარულში ხომ მასთან ვიქნები,
დე, ჭრილობებიც ერთად გვტკიოდეს,
მე მინდა, ჩემი წმინდა ფიქრები
ხალხის გულიდან გამოდიოდეს.

თუ გრიგალივით გაჰყვა დროებას,
ლექსი არასდროს დაიბინდება, —
ხალხმა თუ მიცნო თავის პოეტად,
ქვეყნად რად მინდა მეტი დიდება?!

1940 წ.

ჩემო ლექსებო!

ბოლოსიტყვაობა ლექსთა კრებულისა
„ვარსკვლავების ღიმილი“

დამტოვეთ მარტო და ხალხში მიხვალთ!
მწამს, ბევრ ჩემთაგანს გაუხარდებით,
თქვენ „გაზაფხულის“ შემდეგ გაშლილხართ
როგორც მაისის თეთრი ვარდები.

მიდიხართ კეთილ ოცნების ფრთებით,
ბუნებამ თქვენი წინსვლა ინებოს,
ჩემო ლექსებო, ჩემო ბარტყებო,
ჩემი გულიდან აფრენილებო!

მტრების მუქარა ნუ შეგაშინებთ,
იარეთ მტკიცედ, როგორც დროს ჰშვენის,
მზესა და ვარდებს დაჰკრეფთ გზაშივე
და გამარჯვება გჯეროდეთ თქვენი!

ვინაც მიგიღოთ, მას ემსახურეთ,
მისთვის იდინეთ, როგორც მთის წყარო,
იყავით ხალხის მოჭირნახულე,
თუ გინდათ ქვეყნად რომ გაიხაროთ.

და თუ პარნასის მთაზე ვერ ახვალთ,
მტერთან ბრძოლაში ნულარ გატყდებით,
უთხარით ყველას, რომ ჯერ თქვენა ხართ
ჩემი ოცნების მხოლოდ ბარტყები!

1940 წ.

საბჭოთა საქართველოს ოცი წელი

ეს ოცი წელი — ოცი აგური,
მრავალ ათასი წლის საფუძველი,
ან მოოქროვილ ყდაში ჩასმული
ქართლის ცხოვრების ოცი ფურცელი.

მისი დღეები აურაცხელი,
ხან როგორც ელვა, ხან როგორც მძივი,
და ჩემი ქვეყნის ეს ოცი წელი
საუკუნეზე უფრო ხანგრძლივი,

ვერ დაეტია სამშობლოს მკერდში
და პოლიუსებს ხელი უწია;
ვისაც ჭაბუკის გული არ ერჩის,
ჩვენი დღის განცდა არ შეუძლია.

თუმც მოხუცები ძველი ჩანგურით
ახალი ქვეყნის მზეს შეჰხარიან,
გახარებულნი, როგორც ჯამბული,
ახალგაზრდების გვერდით არიან.

გვახარებს ლამაზ ბუნების თვალი,
ჩვენი ზაფხული, ჩვენი ზამთარი
და საქართველო თავისუფალი
ბედნიერების გზაზე დამდგარი,

ის ააყვავა მშრომელის ხელმა,
შევხარით დღეებს ლაღსა და მზიანს;
აქ რას დაატევ, ამ ოცმა წელმა
თუ რაოდენი ბრძოლები სძლია.

თვალს შეაცურებ ვარდების ნისლში,
დააკვირდები ბალახებს რძიანს,
ო, თუ არა გაქვს ჭაბუკის სისხლი,
ჩვენი დღის განცდა არ შეგიძლია.

სამშობლოს მთებზე მზე დაიღვარა,
აღარ სდის ცრემლი შეუშრობელი
და ჩვენი მხარე იცოცხლებს მარად,
როგორც უთვალავ გმირთა მშობელი!

1941 წ.

სიმაგუკის ოცნებანი

სიყვარულმა მათქმევინა,
თორემ მე ვინ, ლექსი ვინა?

გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

1

მე არ მიტაცებს სხვა მისწრაფება,
ოცნების ბევრი მთა გადაელახე;
ჩემი სული ჰგავს მერცხლის გაფრენას
და სულ პატარა შუქიც მალაღებს.

მზეც, თურმე მთვარეს ტრფობით დაჰყურებს,
ტრფობას ძალუძსო შთანთქას წყვდიადი;
თუ სიყვარული გულს არ ახურებს,
რა უნდა იგრძნოს უფრო დიადი?!

ჩემი სიმღერა გეუცხოებათ?! —
სიყვარულისთვის ჩიტიც კი გალობს;
მე ხომ უმიზნოდ არ მსურს ცხოვრება,
ვიყო ქვეყნად და ასე ვიწვალო!

მე ხომ არა მსურს ციხე-კოშკები,
არა მსურს, თუნდაც, ვფლობდე საწუთროს,
შენს თვალებს ვნახავ დროგამოშვებით
და ავმაღლდები ყველაზე უფრო.

არ გავკვირდები მეფეთა ბედით
თუნდაც ოქროში ჩამსვან ყელამდი,
მე მირჩევნია კალთები მთების
და ყვავილები ათასფერადი.

გავხედავ ლაღად ჩემს საქართველოს,
სად სილამაზეს ქვაც კი გაჰყვირის;
დამარჩენს ჩემი ქვეყნის ნათელი,
ლეგა ღრუბლები მთებზე დაყრილი.

დამარჩენს ზღვა და ხმელეთი წმინდა,
ვარსკვლავთა გუნდის ცაზე ანთება;
მე მზე არ მინდა, მთვარეც არ მინდა,
მეყოფა ერთი ციცინათელა.

და თუ ნაღველი გულს დამიტყვეევებს,
მაინც იმედით დავუცდი მყოფადს,
გავხედავ ზვარებს, გავხედავ ტყეებს
და პოეტს საზრდოდ ესეც მეყოფა.

და თუ ჩემი გზა ბნელს მოიფარებს,
და თუ ჩემს სურვილს ვერ დავეუფლო,
მე მაინც ვნახავ შენს ლამაზ თვალებს
და ავმაღლდები ყველაზე უფრო!

2

ვინ დამიამებს ამ გულის წყლულებს?
დროზე მკურნალი აღარ მეღირსა.
და შენც იმიტომ ნუ შემიძულებ,
რომ გავხდი მსხვერპლი ბედისწერისა.

დაე, ყოველი წაიღოს ქარმა,
რა შემაშინებს სიმართლის რაინდს?
დაე, დავკარგო ყველა შენს გარდა,
მე უმდიდრესი ვიქნები მაინც.

არა მსურს ვინმეს მონურად ვეყმო,
დე, შემიმოკლონ დღეთა მანძილი...
მე უარვყავი, ვინც მყავდა ქვეყნად,
შენ ერთს დაგითმე მათი ადგილი.

შენს გარდა, მითხარ, აბა რა დამრჩა,
თუმცა რა იყო ამქვეყნად ჩემი?

ერთი პატარა გული გამაჩნდა
და ისიც მხოლოდ შენ მოგიძღვენი.

ვიგონებ დღეებს წარსულს და მიმქრალს,
განვლილი ტანჯვაც არ დაბრუნდება...
გული წაიღო ამდენმა ფიქრმა,
ნეტავი როდის გაზაფხულდება?!.

3

ვისთვის ვიცოცხლო, რისთვის ვიწვალო,
ვიღას ვუმღერო ტკბილი ჰანგები?
ჩემგან დაკარგულო ალმასის თვალო,
ვის უხეშ ხელში დაიჟანგები?

მე შენთვის ვქსოვდი ლამაზ სტრიქონებს,
ყველაფერს ძვირფასს შენ გადარებდი,
გიკრეფდი ვარდებს და იის კონებს,
მეგონა, შენს გულს გავახარებდი.

უსიყვარულოდ ქვეყნად რა ხარობს,
უშენოდ მგოსანს რამ მომცეს ძალა?
დაცარიელდა გულის მაღარო,
ყველაფერს ეშხი გამოეცალა.

არავინ მიდგას მეგობრად მხარში,
გულწრფელი გრძნობაც ვეღარსად ვპოვე,
დღეს გადავაგდე კალამი ხრამში
და პოეზიის ცა მივატოვე.

და რადგან ბედმა ასე გამთელა
და ცრემლებისგან ასე დამაშრო,
მშვიდობით, ჩემო ციცინათელა,
ჩემო მტრედივით გაზრდილო ბავშვო!..

მშვიდობით! წავალ სადმე შორეთში,
გავყვები ქარს და ღამეს უსიერს,
იქნებ დარდები გადავიშორო,
შენ რომ ამ ჩემს გულს შემოუსიე.

გადავერევი ღრუბლის ქაოსებს,
გამითავდება ტანჯული წლებიც
და სადღაც, ძმათა სასაფლაოზე
დაისვენებენ დაღლილი ძვლები.

როცა სიკვდილი გადამეხვევა
შორეულ მიწის მარტოხელ სტუმარს,
ვფიცავარ: შენი წამწამის რხევას,
ჩემდამი ნათქვამ გადაჭრილ უარს,

რომ შენ ჩემს გულში კვლავ იშრიალებ,
როგორც ფოთლები მაღალ ვერხვების,
სიცოცხლე შენზე ფიქრს შევალიე,
სიკვდილსაც შენზე ფიქრით შევხვდები.

უკანასკნელად წარმოთქმულ ბგერამ
ჰაერში ლაღად გაითამაშოს:
— მშვიდობით, ჩემო ციცინათელა,
ჩემო მტრედივით გაზრდილო ბავშვო!..

4

ასე ვათენებ თეთრად ღამეებს
და მღელვარება უფრო იზრდება,
სული თხოულობს ისეთ რამეებს,
რასაც სხეული ვერ ეზიდება.

არ დავნებდები ბედის განაჩენს,
თავი შენდამი ფიქრებს მივანდე,
დე, ზოგის ლანძღვა დაღად დამაჩნდეს,
დე, გზების გავლაც დამაგვიანდეს.

ოღონდ მე მივწვდე სასურველ მიზნებს,
ოღონდ ნუ ვნახავ მწუხრსა და ჩრდილებს,
გინდ დამაყენონ უფსკრულის ქიმზე,
ერთ ვარსკვლავს მაინც დავიმორჩილებ!..

5

მომეჩვენები, როგორც სიზმარი,
წახვალ და გულში დარდებს დამიტოვ,
ამ მტანჯველ ფიქრებს ყოველ ცისმარე
ვერ გავუძელი და მეც ამიტომ

დავემშვიდობე შენს ლამაზ თვალებს,
ტრფობის სურვილი გულში ჩავკალი,
მე მივატოვე ოცნების მხარე
და პოეზიის წმინდა აკვანი.

თუმცა ამ გრძნობას ვერ განვასხვავებ,
ვერ შევძლებ გულში ცეცხლის დავსებას,
მე შევიყვარებ ცისკრის ვარსკვლავებს,
შენს ულამაზეს თვალთა მსგავსებას.

მე შევიყვარებ მზის ელვარებას,
მას მივულოცავ ჩანგსა და რითმებს,
იგი არასდროს მომეფერება
და არც შენსავით პირს მომარიდებს.

6

გულის წყლულები შენ დამიამე,
თუმც დაინისლა კვლავ ცის კარედი,
მე განვერიდე ადამიანებს,
შენს გარდა ვერვის ვერ ვეკარები.

ხან გავიფიქრებ, ღამეს მთვარიანს,
სადღაც, შორს, მთაზე შენს გვერდით ვიდგ
და მე სიცოცხლეც არ მიხარია,
თავს შენს გარეშე თუ წარმოვიდგენ.

ბედნიერი ვარ დაუსრულებლივ,
შენი თვალები გზას მინათებენ
და მიხარია, ჩემი სურვილი
მტრებმა რომ ფეხით ვეღარ გათელეს.

სხივებს მაშუქებს სხვა ვარსკვლავედი,
რად უნდა მქონდეს მელანქოლია?
ცხოვრების ზღვაზე ისე გავედი
ერთი მომხმარეც არა მყოლია.

7

ჯერ არ მინახავს ცხოვრება ტკბილი
იმედი მაინც არ დამკარგვია,
მომნატრებია ბევრჯერ სიკვდილი,
მჯერა, სიცოცხლე მაინც კარგია,

როცა დავრწმუნდი, რომ აღარ ფძულვარ,
ვიგრძენი რაა ბედნიერება,
გულს გადაშორდა დარდი და ურვა
და გამიტაცეს კვლავ სიმღერებმა.

ისევ გაზაფხულს ვეამბორები,
ლექსის მერცხლები ისევ მეწვიენ;
მე შენკენ მოვალ სხვა შთაგონებით,
გზაში ღრუბლები ვერ დამეწიენ.

მხოლოდ შენ ძალგიძს ჩემი აღდგენა,
ჩემს ლამაზ მიზნებს ნუ ეკრძალები,
ბედს ვეომები, როგორც არსენა,
და გზას მინათებს შენი თვალები.

არ ჩამითვალო ეს ლექსი კვეხნად,
მე დავარწმუნე გული სრულიად,
რომ გამარჯვების ღირსი ამქვეყნად
მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია!

1941 წ.

უეკმოტევა, უერკვინეგა, ჯამარჯვეგა

ჩვენი ხალხი გაიმარჯვებს

დაილოცოს ქართლის მიწა ულამაზეს მთა-გორებით,
სიყვარულის წარმომშობი და გმირობის შთამგონები.
დაილოცოს: იავნანა, დედის ძუძუ, მამის მკერდი,
ვინც გაზარდა ვაჟკაცები მტრის წინაშე შეუდრეკი.
ბრძოლის ველზე ერთად იყვნენ შეფიცულნი მკვიდრ და-ძმებად,
საამაყო იყო მუდამ მამულისთვის თავდადება.
ბევრჯერ სისხლით შეღებილა არაგვი და ალაზანი,
გამოსულა „ქუდზე კაცი", ვაჟკაცი თუ ლამაზმანი.
აუღებელ ციხედ მდგარა მყინვარი და თრიალეთი,
მიდიოდნენ წინ მებრძოლნი და დროშები ფრიალებდნენ.
მიდიოდნენ შეუდრეკლად ფშაველნი თუ მარაბდელნი
და გვინახავს ბევრჯერ მტერი მკერდიდან სისხლდანადენი.
ახლაც მტერმა დაუმცხრალმა ნახა ჩვენი მკლავის ძალა,
შემოსეულ მუხანათებს თავს ვატყდებით ქარიშხალად.
ვინ გაბედა ჩვენს დიდ ბაღში ბინძურ ხელის შემოტანა?
ვის დავუთმობთ რუსთაველის და სტალინის დიდ ქვეყანას?!
გამარჯვების რწმენა იპყრობს ციმბირელს თუ კავკასიელს,
რომ მტარვალი ვერ ჩააქრობს ჩვენი ქვეყნის ნათელ სხივებს.
ერთი გრძნობით უცემს გული მოხევეს თუ თრიალეთელს,
მალე ვნახავთ მტრის მიწაზე ჩვენი დროშა ფრიალებდეს.
ვერვინ დასცემს ჩვენს ამაყ სულს, თუნდაც სისხლით დავიწუროთ,
ჩვენი ხალხი გაიმარჯვებს, მას სტალინი მეთაურობს!

1941 წ.

ციხის ნანგრევებთან თქმული ლექსი

ყური დაუგდეთ ციხის ნანგრევებს
ათას ბრძოლაში გამონატარებს,
როგორ გვტანჯავდნენ, როგორ გვარბევდნენ,
როგორ სტაცებდნენ დედებს პატარებს.

ქართლის მინდვრებზე სისხლის ტბა იდგა,
თუმც ერთგულ შვილებს აქ არ ეძინათ:
ციხე-სიმაგრეს ქმნიდნენ, მტრებისგან
რომ საქართველო გადაერჩინათ.

მაღლა ეჭირათ ბრძოლის დროშები,
ხალხში ჩნდებოდა ძალა მთებური
და შენდებოდა ციხე-კოშკები
მთებიდან მთებზე ჩასაფრებული.

ბოლოს დაეცა მტერი მზაკვრული,
ისევ გამრთელდა ხალხის იარა,
მოვიდა ქვეყნად ლაღი ზაფხული
და კიდით კიდე შემოიარა.

ახლა არ ვაგებთ ციხე-სიმაგრეს,
ჩვენს მებრძოლ გმირებს არ სურთ საფარი;
მტერშეუხებელ სამშობლოს ვაგებთ,
რომ შრომის ცეცხლში რეკდეს მთა-ბარი.

რომ ხალხთა ძმობა დაბრძანდეს ტახტზე
და იბატონოს, როგორც ჩვევია,
რომ სიყვარულით ყოველი აღსდგეს,
რაც ოდეს მტრობას დაუქცევია.

1941 წ.

დიდება გმირებს

როგორ მრავლდება, როგორ იზრდება,
სამშობლოვ, შენი ხმა და დიდება,
შუქშემოსილი შენი მთა-ბარი
მტრებისგან მალე გაიწმინდება.
ძმებო, ეს თქვენი ბრძოლის ამბები
არის სამშობლოს შარავანდედი,
იმისმა ნანამ და სიყვარულმა
თქვენ ჩაგინერგათ ძალა ამდენი.
ქვეყანას მარცხი არა რგებია
არაგვიანს და ვაჟას მთებიანს,
რომელსაც თქვენი გმირობა იცავს,
სადაც ამდენი ვაჟკაცებია.
და წინაპარნი, თქვენს დიდ სახელებს
რა გაიგებენ, თვალს გაახელენ,
წამოდგებიან და სიხარულით
ფარ-მუზარადებს შეაჯახებენ.
იტყვიან: „მტერი ბევრი გვყოლია,
მაგრამ მრავალჯერ ჩაგვიქოლია;
ჩვენს შვილიშვილებს დღეს კიდევ უფრო
გასაოცარი ძალა ჰქონიათ.
არ უდრკებიან ხრამს და მთიანეთს,
მათი ბრძოლის ხმა ცას ახმიანებს,
მტერთა ბუნაგში შევარდებიან,
მკერდით ლეწავენ კედლებს ქვიანებს.
გასწით! — მოგძახით სამშობლოს ლომებს,
თქვენც დაუმტკიცეთ მტარვალს ულმობელს,
რომ ჩვენი მიწა ზრდის გოლიათებს
და მტერს სამშობლოს არ დაუთმობენ!“

1942 წ.

დედის წერილი

წითელარმიელთა საახალწლო საჩუქრებთან

გიგზავნით ფორთოხლებს, ჩირსა და ჩურჩხელას,
შემკულს და დალოცვილს მშობლიურ ალერსში;
თქვენს რისხვას მტარვალი ვერ გადაურჩება
და ჰპოვებს სამარეს საბჭოთა მხარეში.

მათ ვატან სიყვარულს, გულსა და მხნეობას,
ეს ჩვენი ბაღების ოქრო და ვერცხლია;
გილოცავთ ახალწლის ბრწყინვალე დღეობას,
რომელსაც ვერასდროს მტრები ვერ შესცვლიან.

დასცხეთ და დაჰკარით მტერს ყოველ ქალაქში,
დიდება თქვენს ნაბიჯს, დიდება თქვენს მარჯვენს!
თქვენ გმირულ ბრძოლით და ჩვენ შრომის ბარაქით
მივიყვანთ სამშობლოს სრულ გამარჯვებამდე.

თქვენი ჯანმრთელობა ბუნებამ ინებოს,
სამშობლოს კედელი — ეს თქვენი მკერდია;
გეხვევით და გკოცნით, ძვირფასო შვილებო,
ჩემი ხართ თუ სხვისი, ეგ სულ ერთია!

1942 წ.

მამულო საყვარელო

ულამაზესო ჩემო მამულო,
მთებო, გაზაფხულ დაუჭკნობელო,
გმირების სისხლით მკერდდანამულო
და სიყვარულო განუზომელო;
აყვავებულო, ლაღო მთა-ბარო,
მუდამ უხვო და მუდამ ძლიერო,
შენი შვილები ფეხზე ამდგარან
და მტერს უხდიან სამაგიეროს!
— მძარცველთა ხროვას წყევლა და ზიზღი! —
გვეძახის ქვეყნის ვრცელი მანძილი,
ჩვენი უმანკო ბავშვების სისხლი
და უწმინდესი დედის მანდილი;
შურისძიების სურვილი გვანთებს
მარად მრისხანე, მარად ახალი,
დე, ჩემი ჩანგიც ბრძოლაში გახდეს
გამარჯვებათა ბაირაღტარი!
მამულის დამცველთ შემატოს ძალი,
გაუთანაბრდეს ტყვიებს, ყუმბარებს,
ის ელვარებდეს, ვით გმირის ხმალი,
მტერს აღვრევინოს ცრემლი მდუღარე;
როს მოიხადოს პირნათლად ვალი,
მას ბრძოლის ველზე რაც დავუბარე,
გამარჯვებულმა გააღოს კარი
და მიესალმოს სამშობლო მხარეს.
შურისძიება! ძმებო, დაჰკარით
ჩვენზე მოსეულ ყველა გარეწარს,
ვინც გადმოლახა წმინდა საზღვარი,
ვინც განიზრახა ჩვენი დალეწვა;
დიდი ლენინის უძლეველ დროშით,
და მისი ბრძნული სიტყვით ძლიერით,
მტკიცედ წავიდეთ გადამწყვეტ ომში,
წინ! გაუმარჯოს მტერზე იერიშს!

1942 წ.

სიმღერა ქართველი ფეიმარისა

დარიალი გადავლახე,
დაღესტანის მთებში დავდექ,
ვერ გაბედოს მტერმა მოსვლა
საქართველოს კარებამდე.

ვერ შეიძლოს ვერასოდეს
კავკასიის მთებზე დგომა,
ვერ დაგვიჭნოს გაზაფხული,
ვერ წაგვართვას შემოდგომა.

ჩემი ქვეყნის ვაქკაცებო,
ვეფხვებო და ლომგულებო,
მთებო, ცამდე აზიდულნო,
მდინარეთა ჩონგურებო.

ვერ დაიპყრონ თქვენი კალთა,
ვერ შესწყვიტონ თქვენი დენა;
ვერც ჩაახშონ ჩვენი ხალხის
სილაღე და აღმაფრენა.

გადავეშვათ გრიგალივით,
მუხლი დავკრათ მიწას ძვლიანს,
ჩვენ სამშობლოს მტერთა მუსვრა
მამებისგან გვისწავლია.

წამოვიდეს ტყვიის თქეში,
შუბლს დაღავდეს სისხლის ღვარი,
მტერი მაინც ვერ გახდება
ჩვენი ქვეყნის ბინადარი.

თუნდ ჭრილობა გვაჩნდეს მკერდზე,
მტერს მზე მაინც დავუღამოთ! —
გმირი კვდება ბრძოლის ველზე,
მაგრამ ცოცხლობს სამუდამოდ.

გადავეშვათ გრიგალივით,
მუხლი დავკრათ მიწას ძვლიანს,
ჩვენ ბრძოლაში უშიშრობა
მამებისგან გვისწავლია!

1942 წ.

ბრძოლის სიმღერა

სიმღერა, ბრძოლის სიმღერა
გულებს ანთებს და აკაჟებს.
მტრის შესამუსრად ეძახის
მამულის დამცველ ვაჟკაცებს.
ვინ დაიმონებს ჩვენს მიწას,
ჩვენი ბაღების მშვენებას?
ვის შეუძლია საბჭოთა
სამშობლოს გადაშენება?
ვით ერთი კაცი, აღვდგებით,
დავეჯახებით უკუნეთს,
სადაც ბრძოლაში გამწვევი
სიმღერა დაიგუგუნებს.
ჩვენს მამულს მტერი დაესხა,
დაჰკრა ველური ბრჭყალები,
მაგრამ გრიგალად ავქუხდით
ვაჟკაცები და ქალები.
კავკასიონიც წამოდგა,
თერგიც წამოდგა მრისხანედ,
მტრის შესამუსრად მიდიან,
ფოლადის ჯავშანს ისხამენ.
ვინ თქვა: სიმღერა სავსეა
ნაღვლით და მწუხარებითა,
მაშ გმირებს რატომ ეძახის
ის გამარჯვების ხმებითა?
ჩვენ ამ დაძახილს მივყვებით,
და ვეჯახებით უკუნეთს;
მივდივართ, სადაც საბრძოლო
სიმღერა დაიგუგუნებს!

1942 წ.

შეხვედრა

მეგობარ პოეტს სანდრო ჟღენტს.

შორს საქართველოს მთები დავტოვე,
აქ ლექსს ვუმღერი მებრძოლებს ველად.
და ლაშქრად წასულ მეგობარ პოეტს
მათ შორის შეგხვდი მოულოდნელად.

ძმაო, კალამი და პოეზია
დღეს გაუტოლდა ხიშტს და შაშხანას,
სამშობლოს მტრები შემოესია,
ტკბილი ცხოვრება რომ ჩაგვაშხამონ.

მაგრამ მტარვალი ვერ გაიხარებს,
ჩვენ გამარჯვების გვაქვს ტრადიცია.
გმირები ქმნიან სამშობლო მხარეს
და თავგანწირვაც ომში იციან.

რომ ამღერდება კვლავ ბულბულები,
რომ დაწყნარდება მკაცრი მიწის ძვრა
და სამშობლოში რომ დაბრუნდები,
გადაგეხვევი, როგორც მკვიდრი ძმა.

ხიშტით და კალმით მიიჭერ მტერზე,
გწამდეს სამშობლო ქვეყნის მიზანი,
და როცა გნახავ, შენს ფართო მკერდზე
ალმომეჩინოს გმირის ნიშანი!

1942 წ.

ჭ. ბუინაკსკი, დაღესტანი.

მშვიდობით

მივდივარ, სადაც სამშობლო მიხმობს
სად მტერს ებრძვიან ლომგული ძმები.
მშვიდობით! — გითხარ არა იმიტომ,
რომ სამუდამოდ გემშვიდობები.

მშვიდობით! — მაგრამ დიდხანს კი არა,
რად აციმციმდა თვალებზე ცრემლი?
მოდი, გავიყოთ თანაზიარად
ჩვენი მამულის ეს განსაცდელი.

მშვიდობით! — ვამბობ, მსურს მშვიდად დარჩე,
აქ ამაგრებდე სამშობლოს კედელს,
მამულს უზრდიდე ქოჩორა ბავშვებს,
როგორც ჩვევიათ ქართველთა დედებს.

და მე თუ მოვკვდი, ჩემი სიცოცხლე,
დაე, განაგრძონ ჩემმა ვაჟებმა,
მამის გმირული სული იცოდნენ,
არ შეარჩინონ მტერს თავაშვება.

არ შეიბრალონ, ეკვეთონ მარჯვედ,
ვინც ვერაგულად გადაგვეღობა; —
ბრძოლაში მხოლოდ ის გაიმარჯვებს,
ვისაც ვერ დასძლევს უიმედობა!

მშვიდობით! მინდა მტერს შევხვდე მსახვრალს,
შორიდან მესმის სხვა საყვირის ხმა,
შენდამი ფიცი გულს დამისახავს,
როგორც ანდერძი ავთანდილისა.

ჩემი ცხოვრების აღმოსავლეთო
და ჩემი გულის ცეცხლო ძლიერო,
შენს თავს მართმევენ და როგორ გავძლო,
მტერს არ მივუზღო სამაგიერო?!

მშვიდობით! უნდა დავხვდე თავხედებს.
ვინც მოინდომა ჩვენი გათელვა,
შენი თვალები გზას მინათებდეს,
როგორც ღამეში ციცინათელა.

მშვიდობით! მაგრამ მე მოვალ ისევ
და სალამს გეტყვი „მშვიდობითს“ ნაცვლად;
დღეს კი მსურს ბრძოლით შევხვდე მოსისხლეს,
ვიწოდებოდე სამშობლოს კაცად.

გჯეროდეს, მოვალ გამარჯვებული,
ისევ ლაღი და ისევ მგზნებარე,
რადგან აქ შენი გული მეგულვის
და საქართველოს ცა მოელვარე!

1943 წ.

მარადი ხსოვნა

ომში დაღუპულ მეგობარ პოეტს
სევერიან ისიანს.

ის გვერდში ედგა სამშობლოს გმირებს,
ზღვის ტალღასავით მუდამ ღელავდა.
მკერდი უგავდა ქორბუდა ირემს,
მიიბრძოდა და მტერს მიცელავდა.

ის ხმალთან იყო ძმადშეფიცული,
მან არ იცოდა ცრემლი და კვნესა,
მასაც უყვარდა ვაჟკაცის გულით
თვისი სამშობლო უპირველესად.

სამარადისო დიდება მისი!
მან დააფარა სამშობლოს მკერდი;
მკლავში უჩქეფდა მღელვარე სისხლი,
ვით დარიალში მქუხარე თერგი.

მან არ დაზოგა შემოსეული
მტრები და ჩასცა გულში ლახვარი;
დაეცა მხოლოდ მისი სხეული,
სული კი დარჩა ისევ მაღალი.

მასთან სხვაც ბევრი გმირი ქებულა,
სხვაც ბევრი სიკვდილს დაუხვდა მტკიცედ,
და შეასრულა ყველამ ერთგულად,
რაც კი სამშობლოს დროშას შეჰფიცეს.

სამარადისო დიდება მათი!
არწივებს გავდნენ შეუდარებელს,

მოკვდნენ საყვარელ სამშობლოსათვის,
ბრძოლას კი მაინც არ ამთავრებენ.

ქვლავ ყიჟინებენ წინანდებურად,
რომ შურისგება ისევე შესძლონ;
მათი სახელი მზედ ანთებულა
და გვერდს უმშვენებს თვითეულ მებრძოლს.

ვერ მშვიდდებიან ბრძოლას ჩვეულნი,
მტერზე შეტევა იწყეს ახალი;
გმირის ეცემა მხოლოდ სხეული,
სული კი რჩება ისევ მაღალი!

1943 წ.

სამშობლოს ვინ წაგვართმევს

სტალინგრადისათვის მებრძოლ ქართველებს

ჩვენს ქუჩაზეც მოვა დარი,
მზის ნათელი აგვანთებს,
სტალინი ხომ ჩვენთან არის,
სტალინგრადს ვინ წაგვართმევს?!

არ მოვუშვებ გასათელად
მტერს სამშობლო მიწამდი. —
ჩემს საყვარელ საქართველოს
სტალინგრადთან ვიცავდი.

თუ დავეცე, მიგონებდეთ, —
ეს ვაჟკაცის წესია;
ვცოცხლობდე და მტერს ვმონებდე?
მოვკვდე უმჯობესია!

დაე დადგეს ცეცხლის მთები,
ცეცხლის ბარიკადები,
სამშობლოსთვის ნუ მოვკვდები.
გმირად დავიბადები.

ჩვენს ქუჩაზეც მოვა დარი,
მზის ნათელი აგვანთებს,
სტალინი ხომ ჩვენთან არის,
სამშობლოს ვინ წაგვართმევს?!

1943 წ.

გამარჯვების სადღეგრძელო

გაუმარჯოს! ვინც სიცოცხლე
ბრძოლის ცეცხლში ატარა,
დაეჯახა ვაჟკაცურად
და მტრის სისხლი დაღვარა.

გაუმარჯოს! ვისი გულიც
წმინდა გრძნობით იწოდეს,
ვინც იცოდეს სიყვარული,
სიძულვილიც იცოდეს.

მეგობრობის დიდი გრძნობა
ვისაც შუქად აჩნია;
გაუმარჯოს! ვინც სიკვდილი
მტრის მონობას არჩია.

ვინც დარაჯობს საქართველოს,
მის მთებს თეთრნაბდიანებს,
გაუმარჯოს! ვინც ბრძოლაში
წასვლას არ აგვიანებს.

ვინც ცდილობდეს შემოსეულ
მტერთა განადგურებას,
გაუმარჯოს ქართველ გმირის
შეუდრეკელ ბუნებას!

1943 წ.

უკრაინის დედაქალაქს

საბჭოთა არმიის მიერ ჰიტლერელებისაგან
კიევის განთავისუფლების დღეს

დნეპრი მკერდში ვერ თავსდება,
მზე ველს აფენს ოქროს დალალს;
დღეს სამშობლო ესალმება
უკრაინის დედაქალაქს.
ჩვენს მშობლიურ მთებსა და ველს
მტერი რისხვით მოერკალა,
მაგრამ მტრობას მუდამ დასძლევს
სიყვარულის დიდი ძალა.
ტყვეობიდან დახსნილ ქალაქს,
ვით არწივი გაფრენილი,
გადმოჰყურებს ცეცხლის ალად
დროშა ქარზე გაფენილი.
გადმოჰყურებს მებრძოლთ ამაგს,
მათ შეტევას გასაკვირველს.
და შევჩენკო, როგორც მამა,
გულში იკრავს მებრძოლ გმირებს.
დნეპრის მიწა ტყვიამ დახრა,
სისხლის ღვარი ლეწდა კარებს,
მაგრამ მისი ტალღა ახლა
გადაიქცა მტრის სამარედ.
ისევ მალე აყვავდება,
გაიმრთელებს ნატყვიარებს,
სულ სიამედ შეეცვლებათ
რაც წამება გაიარეს.
სამშობლოს მზე ოქროდ აქცევს
სისხლით მორწყულ ბაღჩა-ბაღებს
და სამშობლო მაღლა ასწევს
გამარჯვების ბაირაღებს!

1943 წ.

მზის მოსვლას ჰგავდა ამბავი

მზის მოსვლას ჰგავდა ამბავი
აქ რომ მოვიდა დილითა,
გადაიარა სოფელი,
მინდვრები გადიჯირითა.

ესტუმრა მიწას ნააკვნარს
ერთი ვაჟკაცის დიდება,
ვინც ვერაგულად მოსულ მტერს
არასდროს შეუშინდება.

გმირის ოჯახში მიფრინდა,
ბაღჩაში შუქი ჩაღვარა,
თმაგადავერცხლილ დედილოს
შეუთამაშა ჭაღარა.

ცამდე ავიდა ხალისი
თითქოს მყინვარის მხრებია,
მწყობრში ჩამდგარი ალვები
საომრად ემზადებიან.

მხარგადაშლილი ცაცხვები
ველზე დამდგარან დეევებად,
ააშრიალეს ფოთლები
სხვა ათასგვარმა ხეებმაც.

მათ აჰყვა მთელი მიდამო
და ხმა ღაღადჰყვეს ვეება:
„ვაშა, სამშობლოს მამაც შვილს,
ვინც მტერს გმირულად შეება.

ვისაც სიყრმითვე გამოჰყვა
შეუდრეკელი მარჯვენა,
ისე გაჰკრა და გაფანტა,
დააწყეველინა გაჩენა“.

ხარობდეს შენი ქვეყანა,
შენი გამზრდელი აკვანი,
შენ გააღვიძე საფლავში
    მძინარე მამა-პაპანი.

ხარობდეს შენი მშობელი
პირზე ვარდების ფენითა,
ჰქონდეს ხანგრძლივი სიცოცხლე,
რომ ამაყობდეს შენითა.

არ დაუთმობდე ურჯუკ მტერს
ჩვენს დაუჭკნობელ ტყე-ველსა,
ასახელებდე სამშობლოს
გმირობა დაულეველსა!

1944 წ.

მუნასიბი

ქართველ ებრძოლებთან დაღესტანში.

საქართველოდან ერთი პოეტი
სიმღერისათვის თქვენთან მოვედი
და მოგიტანეთ ვაშა მქუხარე,
რომ მტარვალს ქედი არ მოუხარეთ.
თავზე აყრიდით ცეცხლს და ყუმბარებს;
და ყველა მებრძოლს: ქართველს, ყუბანელს
ერთი მიზანი გულში გებუდათ:
სამშობლოს მტერი გადაგებუგათ.
კვლავ აღიმართეთ, როგორც კლდეკარი,
მტრის ყველა გზები მკერდით შეჰკარით,
პირსისხლიანებს ეკვეთეთ მარჯვედ!
გწამდეთ: ბრძოლაში ის გაიმარჯვებს,
ვინც თავის მამულს უდგას დარაჯად,
ვინც სიმართლისთვის იბრძვის მარად ჟამს!

1944 წ.

სიმღერა მებრძოლ ქალებზე

თქვენ მოდიხართ ურიცხვნი
და სიმტკიცე თან გახლავთ,
ქარიშხალის ხმაურში
თქვენი ხმებიც კიაფობს;
სამამულო ბრძოლაში
ვაჟკაცების მხარდამხარ
მტრის გარეწარ ურდოებს
თქვენი მკერდიც მიაპობს.

ტკბილ სამშობლოს არ დასთმობთ
საქართველოს დედები,
თქვენი მკლავის სიმარჯვე
მტერმაც კი აღიარა;
თქვენი რუხი ფარაჯა
და უდრეკი მკერდები
იმშვენებენ ორდენებს
და საბრძოლო იარაღს.

დიდ საბჭოთა სამშობლოს,
მრავალ მოძმე ერიანს
იცავთ, ქართველ ქალებმაც
თავი ბევრჯერ გასწირეთ,
იავნანის მღერაში
ხმალიც გაგიფერიათ
და მიჰყვებით ბრძოლაში
წინაპართა აჩრდილებს.

შრომითა და ბრძოლით გაქვთ
ცხოვრების გზა განვლილი,
გუთანზედაც გასწიეთ

ბევრი შრომა, ჯაფანი,
მხნედ მიდიხართ ბრძოლაში
და ეგ წმინდა მანდილი
ხან გაშლილი დროშაა,
ხან ჭრილობის საფარი.

რამდენ მებრძოლს თქვენს მკერდზე
მოუშუშდა იარა,
სად ტყვია წვიმს, თქვენც იქ ხართ
თვალთა შუქის ანთებით:
მარტო მხედართმთავრებსა
და ვაჟკაცებს კი არა,
ქალებსაც გმირებად ზრდის
კავკასიის კალთები!

1944 წ.

დედას

შენს სამარესთან ვდგავარ და ვტირი,
ვდგავარ და ვტირი, ძვირფასო დედა,
სანამ შენ მყავდი, ვიყავი გმირი,
ადვილად მტერი ვეღარა მძლევდა.

რა სიხარული მქონდა სიცოცხლის,
ახლა ცრემლების მწვავს აგონია.
შენი სამარის მიწას რომ ვკოცნი,
კვლავ შენი ტკბილი ძუძუ მგონია.

გულში მინთიხარ, როგორც კანდელი,
შენს წმინდა საფლავს თავზე ვევლები
და ცხოვრებაში რაც დაგაკელი,
მინდა შეგივსო ჩემი ცრემლებით!

1944 წ.

გამარჯვება მოგვილოცა

რა ქარბუქი გავიარეთ,
რამდენ გრიგალს გადავურჩით;
ქარიშხალმა დაგვისეტყვა
ჩვენი ბაღის ხე და ბუჩქი.

ღრუბლის ზღვაში ჩაძირული
აღარ ჩანდნენ მთები ლურჯად,
ჩვენი პირმზე გაზაფხული
ტყვიის კვამლით შეირუჯა.

მაგრამ მტარვალს
ვლეწდით,
ვჩეხდით,
ბრძოლის ცეცხლში ვხვევდით ტყე-ველს,
წმინდა სისხლი დავაპკურეთ
ჩვენ სამშობლოს საკურთხეველს.

წმინდა სისხლი ავაქუხეთ
და შევლეწეთ მტრის კარები,
გამარჯვება გვწამდა მუდამ,
შიშს არასდროს ვიკარებდით.

და ამ დილით
დიდმა ბრძენმა,
მზე ბურანში იწვა როცა,
კრემლის ნათელ დარბაზიდან
გამარჯვება მოგვილოცა.

— მოგილოცავთ!
მოგილოცავთ!
მორჩა ჩვენი გულის ურვა! —
წამით შედგა ყველაფერი,
თითქოს შეწყდა მიწის ბრუნვა.

ხმა ქუხილად ცას მოედო,
მთებიც შესძრა თმაჭაღარა,
ხალხის გულში სიხარული
ჩანჩქერივით ჩაიღვარა.

მეც ავმღერდი,
მეც ავყვავდი,
მეც ამ ლხენამ გამახარა,
— გამარჯვება!
გამარჯვება! —
გაისმოდა მთად და ბარად.

და ჩამოვკარ თითები ჩანგს,
სისხლის წვიმით დაუჟანგავს,
რომ ვისმენდეთ ხელმეორედ
გამარჯვების დიად ამბავს.

რამდენ გრიგალს გადავურჩით,
რა ქარბუქი გავიარეთ,
სიხარული დაეუფლა
გულს ნაცრემლს და ნაიარევს.

დღეგრძელობა!
ვინაც გულში
ჰედდა რწმენის ბასრ იარაღს,
ვინც დაგვიხსნა მტრის ხელიდან,
ვინც ისევ მზეს გვაზიარა;

ვინც გვიკაფავს ცხოვრების გზას,
ვინც გვაშორებს ქარს და ავდარს,
დღეგრძელობა! დღეგრძელობა!
ჩვენი ქვეყნის მთავარსარდალს!

1945 წ.

გამარჯვების პარადი

დედაქალაქმა მოსკოვმა
დედა სამშობლოს სახელით
ააფრიალა დროშები
ბრძოლაში შეულახველი.
წითელ მოედანს ფარავდა
გამარჯვებულთა პარადი,
გმირების ვაშა მქუხარე
შუქს ჰფენდა კარით-კარამდი,
აქ იყო ყველა ვაჟკაცი,
მტერს გულში მეხს რომ ახლიდა,
და გაისმოდა სიმღერა
გამარჯვებული ხალხისა.
ვარდებს ისროდნენ გმირები —
ქალ-ვაჟნი ტანახოვნები.
მტრის დაფლეთილი დროშები,
ვით განგმირული ყორნები,
ეყარნენ სისხლში მოსვრილნი,
როგორც სირცხვილის ნიშანი,
გაცრუებული იმედი
და წაგებული მიზანი.
ირგვლივ ტანკების გუგუნი
და პროპელერთა ზრიალი
ისმოდა, გაიხარებდა
ჩემი სამშობლო მზიანი.
თავზე გვირგვინად დაედგა
გამარჯვებულთა პარადი
და ცეცხლოვანი სიმღერა
შუქს ჰფენდა კარით-კარამდი.

1945 წ.

ᲕᲐᲫᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ
ᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲗᲐᲜ

მომეცით ჩემი ფანდური,
ჩემი ფრანგული, სიათა;
მიწამ სხეული დამიდნო,
სული არ დამიზიანდა.

გადავდიოდი მყინვარებს,
ერთხელ არ დავიმუხლებდი,
ახლა კუბოში რა მინდა,
ვინ დამიკრიფა გულ-ხელი?!

თქვენს გამარჯვებას რომ ვუცქერ
ხარირემივით ვლაღდები,
არწივის ფრთები მგონია
სამშობლოს ბაირაღები.

თქვენი ყიჟინა რომ მესმის,
საფლავში ვეღარ ვეტევი,
გულიდან ფიქრი მოფრინავს,
როგორც ბუდიდან მტრედები.

ჯერ ჩემთან სიკვდილს რა უნდა,
ვინ დამიკრიფა გულ-ხელი?!
ბევრი ვაჟკაცის ქება ვთქვი
და ბევრიც დამრჩა უთქმელი.

ამღერდი, ჩემო კალამო,
აყვავდით, ქართლის ზვარებო,
გმირებო, ჩემო ვოჟებო,
ჩემს გულში ნაბუდარებო.

თქვენზე ფიქრში და ძებნაში
მრავალი ღამე ვათიე
და ლექსებს მივეც სამღერად,
რაც გულში ვეღარ ჩავტიე.

ვერვინ დასცინებს ქართლის მთებს
ლაჩარი შვილის ყოლასა;
ერკინებოდით ურჯულოს,
კბილით ამტვრევდით ფოლადსა.

თქვენი ხმლით მტერი დაემხო,
ცამ გადირეკა ღრუბლები
და გამარჯვებულ გმირებთან
მე საფლავიდან ვბრუნდები.

მამულიშვილნო, თქვენთან ვარ,
თქვენი მარჯვენის ჭირიმე,
ამ ქვემეხების გრიალთან
ხმა შეუწყვია ხირიმებს.

მათი ქუხილი ჩამესმა,
გულმა დამიწყო ზრიალი,
ამიშრიალდნენ საფლავზე
ყვავილნი ფოთლებ რძიანი.

და ჩემებურად ვულოცავ
გმირთა გმირს ლომის მარჯვენას,
ვინც ძალა მისცა სიცოცხლეს
და აზრი — კაცის გაჩენას.

ვინც მზით შემოსა სამშობლო,
ბნელი დასცა და დაისრა;
მე მათ გმირობას ვუამბობ
შოთას, თამარს და დავითსა!

1945 წ.

სიმღერა ლეონელიძისა

ჩემი ქვეყნის ვარდგაშლილი სერები
სამშობლოსთვის თავდადებას მირჩევდა:
მტრის ურდოებს მუდამ ვაცამტვერებდი,
სანამ მკერდში გული არ გამიჩერდა.

არ ვიცოდი მტრებზე ტყვიის დაცდენა,
ჩემი ცეცხლით ბევრის ზეცა დავხურე;
არად ვაგდებ ამ უდროო დაცემას,
რადგან მტერი უკვე გავანადგურეთ.

სამშობლოსთან ჩემს სახელსაც იტყვიან,
ძმებო, თვალი ცრემლით არ დაგისველდეთ!
ჩემი სული კუბომ ვერ დაიტია,
ჩემგან დაზრდილ გმირებთან ვარ ისევე.

და თუ მამულს მსხვერპლად შეეწირები, —
ბრძოლა არის ქვეყნად კაცის ღირსება! —
ხალხის გულში იმარხება გმირები,
მტრის სამარე მხოლოდ ლეშით ივსება!

1945 წ.

გაზაფხული

ომში დაღუპულ ქართველ მებრძოლებს

მზე ღრუბლებში არა ჩანდა,
დღეს პირბადე ჩამოიხსნა.
და ბუნება აამღერა;
გაზაფხული შემობრძანდა —
დაბადება სიცოცხლისა,
დახატული ათასფერად.

ქარმა ფოთლებს დაუბერა,
აშრიალდნენ ხის ტოტები
და სალამით გაგვახარეს.
გაზაფხულის სიტყვა მჯერა!
სიყვარულში გიტოლდები,
მშობლიურო ჩემო მხარევ!

ვაი, ძმებო, სად დაეცით,
რომელ მიწის მკერდი ფარავს
თქვენი გულის მღელვარებას?
ვარსკვლავები მოვა ზეცით,
დაგეყრებათ სხივნი ღვარად,
ვით მარადი უკვდავება.

ყველა წვეთი თქვენი სისხლის,
ყველა სიტყვა თქვენგან თქმული
მამულის კარს ედგა მცველად,
ეს აპრილი, ეს მაისი,
ეს მზიანი გაზაფხული
მტერს რომ ვეღარ გაეთელა,

კვლავ თქვენი ხმა ისმის მუდამ,
ისევ ელავს თქვენი ხმალი,
მოგვიწოდებს მტერთა ძლევას.
    როცა ქვეყნად გაზაფხულდა,
    თქვენი სული ჩაუმქრალი
    სამარეში არ ეტევა.

ის მოჰყვება აპრილის თვეს,
ბალებში და მდელოებზე
გაიშლება ყვავილებად,
    მამულის მზე სხივებს მოჰფენს;
    ვინც დაეცა ბრძოლის ველზე,
    მათი შუქი არ ილევა!..

1945 წ.

ბარათაშვილისადმი

სამშობლო მთები — შავი ნისლით შემობურვილი,
უმზეო ზეცა, სხივ ჩამქრალი აღმოსავლეთი.
და აზრის მეფე ამ ქვეყნიდან ისე წახვედი,
ვერ აღასრულე ჭაბუკური ერთი სურვილიც.

ვერღა აგიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი
და შენი ტრფობის ყვავილები უმზეოდ დაზრა.
თვით შენი ლექსი გადაიქცა სამშობლოს ტაძრად,
როს სევდიანი ფიქრნი შენი ლექსად დასძარი.

მგოსნის სიმღერით თვით სიკვდილი არის ძლეული;
აღანთე შუქი მომავალის იმედით სავსე,
შენ იყავ, ვინაც სული გვამში ვერ მოათავსე,
ვერც სამარეში დაეტია შენი სხეული.

მშობელი ერი, მადლიერი მზეს გადარებდა,
დღესაც მოვიდა და მუხლს იყრის შენს სამარესთან...

1945 წ.

ბარათაშვილის ლექსმა სთქვა

მე სამშობლოს ძახილი ვარ,
საუკუნის გადამწვდენი,
ხან ჭაბუკის ოცნება ვარ,
ხან ფიქრი ვარ გულდამწველი.

მიჯნურობის სიმღერა ვარ,
ავთანდილის ბაგით თქმული,
ჩონგურების ღუღუნი ვარ,
ხან ხმალი ვარ შემართული.

ბედნიერი მერმისი ვარ,
ასი წლის წინ დანახული,
მე მაისის მზის მოსვლა ვარ,
მე ვარ თვითონ გაზაფხული.

განთიადის ვარსკვლავი ვარ,
მე ვარ მერნის ნიავქარი,
სიყვარულის მორჩილი ვარ
და შავ ბედთან უშიშარი.

ლხინში მუდამ მეჯლიში ვარ,
გული ჭირშიც არა დრკება,
მე ისეთი სიცოცხლე ვარ,
არასოდეს რომ არ კვდება!

1945 წ.

სტამბაში

ლამაზ კარადებს კრძალვით გავყვები,
— რარიგ მალაღებს ასო ქართული:
ყუთებში სხედან, როგორც ბარტყები
წამოსაფრენად ფრთებშემართული.

სხედან, ვით კლდეში წყაროს ზვირთები,
ზოგი მზე, ზოგი — ნამგალა მთვარე;
ფრთებზე შეისხეს ჩემი ფიქრები
და ცის კიდური შემოატარეს.

გადაივლიან მრავალ ორღობეს,
უკან დარჩებათ მთის მწვერვალები
და ხალხის გულებს დაიმეგობრებს
ჩემი მართალი ლექსის პწკარები.

ხან ბარად ნახავ, ხანაც მთიული
წაიკითხავს და იტყვის: — ვინ არი! —
მე გუტენბერგის ლანდი ღვთიური
თავზე დამყურებს, როგორც მყინვარი.

და მაგონდება ვახტანგ მეექვსე,
პირველი ფუძე ვინც აქ ჩაპყარა,
ვინც რუსთაველის მადლიან ლექსებს
ხალხს გასძახოდა, როგორც ნაღარა.

მათმა გონებამ წაშალა ბნელი,
ნათელით მათით ვინ არ დამტკბარა?
მეც მათი ნიჭის მადლით შევძელი
ჩემი სიმღერის ხალხში გატანა!

1945 წ.

ი. ბრიშაშვილის იუბილე

დედაქალაქს ზეიმი აქვს, ქარს ნისლები ხევში მიაქვს,
შეფოთლილი ხეივანი ტანს აყოლებს კოჯრის ნიავს.
მზის სხივები აციმციმებს ვერცხლად დაყრილ ნამთა ღილებს,
საქართველოს გაუმართავს ხალხის მგოსნის იუბილე.

შეკრებილან რჩეულები, სიხარულში ჩვეულები,
ლაღობენ და მუსიკობენ, იხარებენ ჩვეულებრივ;
და ოდესმე ცხოვრების გზა თუ ღრუბლებით დაფარულა,
ახლა გულის სამყაროდან მწუხარება გაპარულა.

და ზღვა ხალხი ზღვისებრ ღელავს, ვინც ზეიმი იზიარა,
ყველა მასთან ახლოს იწევს, ყველა უხმობს მისიანად:
— სოსო ჩვენი მგოსანია და იქნება ჩვენთან მარად,
მან ქართული ჩანგის ჟღერა ახლებურად შეგვაყვარა.

ის ახალი პოეზიის მეხოტბე და ამაგდარი,
ხან ბრძნულ სიტყვად ჩამოქნილი, ხან რითმებად გადამდნარი;
ყვავილების რბილ ყვარცხლბეკზე ფეხი შედგა მოკრძალებით,
ღიმილს აფრქვევს მისი სახე, სიხარულის ცრემლს — თვალები.

ხალხს მადლობით გადახედა, გულში ჩადგა გაზაფხული,
ის ღელავდა ხალხისაგან სიყვარულით დადაფნული.
თქვა სამშობლოს დღეგრძელობა ამაყად და დაჯერებით,
შემდეგ ლექსად დაიღვარა, როგორც ვაჟას ჩანჩქერები;

— ვისაც უყვარს რუსთაველი, თამარი და საქართველო,
მე იმისი მგოსანი ვარ, მისთვის ვმღერი, მისთვის ვხელობ,
მე თბილისის მგოსანი ვარ, ვდგავარ ისნის მაღალ კართან,
მე სამშობლოს მგოსანი ვარ, მხურავს მისი დროშის კალთა.

ხანში შეველ, თუმც ჯერ კიდევ ხმა არ მესმის დაბერების,
ქვეყნად ბევრი ლექსი მრჩება, შვილებივით ნაფერები.
აი, ერთი:

და დაიწყო...

ხალხის ზღვაში შუქად ჯდება:
სიყვარული, სილამაზე, სამშობლო და გამარჯვება!..

მთაში წყარო ათამაშდა, ტყეში ქარი აიშალა
და ფოთლების ჟრუანტელმა ჩაირბინა მთა თუ ჭალა;
წამოფრინდნენ ნაპერწკლები, გულს მოედვნენ ნაღვერდალად
მისმა ლექსმა გვაგრძნობინა სიყვარულის დიდი ძალა.

აგვამღერა, აგვაჩქეფა, აგვიყვანა ცის თაღამდე...
სიტყვა უნდა ცეცხლად ენთოს, რომ სიამით გულს დაღავდეს;
მისი ლექსიც ხომ ცეცხლია, ხან მჩქეფარე, ხან დამწველი?
პოეზიას გაუმარჯოს ხალხის გულში გადაწერილს!

1945 წ.

ალ. წულუკიძის საფლავთან

ირგვლივ ცაცხვები ტოტებს არხევენ,
დაგშრიალებენ ფოთლები გუნდად,
იმეორებენ უკვდავ სახელებს
სამშობლოსათვის თავდადებულთა.

შენც მრავალ ცეცხლში მტერი დასძლიე,
მიტომ ბრწყინვალებს შენი ხსენება;
ბოლოს მშობელი კუთხე არჩიე
სამარადისო განსასვენებლად.

თუმცა საფლავი ერთი არა გაქვს,
შენ ყოველ კაცის გულში ბინადრობ.
დაე, გმირობის შარავანდედად
შენი სიცოცხლის შუქი ინატრონ.

სამშობლო ქვეყნის ბედზე ზრუნავდი,
შენი მიზანი უკუნეთს კვეთდა;
იმ ცეცხლმა დასწვა მტრების ბუნაგი,
შენ რომ ანთებდი კობასთან ერთად.

მტერს ხალხის ჩაგვრა არ აპატიე,
ბრძოლაში იყავ დაურიდალი, —
მიკვირს, სუსტ მკერდში როგორ ჩატიე
რევოლუციის დიდი გრიგალი.

მე შენს საფლავთან ახლა მოვედი
გამარჯვების და დიდების დღესა,
შენზე ნაღვლობენ მიდამოები,
მესმის ხეების ფარული კვნესა.

მოვედი, გმირო, მუხლთ მოვიყარე,
სხვა ჭაბუკებიც მომყვა მრავალი,
გულზე ვარდები გადმოგაყარეთ
და ჩამოგძახით შთამომავალნი.

რომ შენი აზრის შუქი ნათელი
ხალხს უმრთელებდა გულის იარებს,
ცეცხლი, რომელსაც ბრძოლით ანთებდი,
ახლა მამულში დროშად ფრიალებს!

1945 წ.

საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა

ყოველი დროის გულმართალ მგოსანს,
ანთებულს თავის ხალხის დიდებით,
უქია ქვეყნად სინათლის მოსვლა,
ბნელს შეხვედრია ცრემლის დინებით.

ცამდე ასულა ღაღადი მათი,
ხან ნაღვლიანი, ხან სულზე ტკბილი,
გადმოუციათ მომავლისათვის
სიხარული თუ გულისტკივილი.

მეც — ჩემი დროის ერთი მეხოტბე,
სამშობლოს დროშის ერთი დამცველი,
მომავლის შვილებს მსურს ვეძახოდე
ჩვენი დღეების გმირულ განცდებით.

სიმღერად ვქმნიდე იმ კაცის სახელს,
ვამკობდე მუდამ ლექსის ფერებით,
ვინც მოგვიტანა ქვეყნის სიახლე
და გზა გვიჩვენა ბედნიერების.

ვინაც დაგვზარდა ქარიშხლის პირად
და ბრძოლის სიბრძნე მოგვცა საზრდოთა,
ვინაც დაგვაწრთო სამშობლოს გმირად
საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა.

ჩვენი სიცოცხლე მზედ გაიშალა,
ჩამქრალი შუქი აღსდგა ყოველთა,
მოგვეცა ყოვლისშემძლები ძალა
გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

გადამწვარ მინდვრებს ჯეჯილად შევცვლით,
მაღაროში თუ რკინის დაზგებთან

დავანთეთ შრომის უქრობი ცეცხლი,
საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდებმა.

და მისი შუქი მარად ელვარებს,
მარად იზრდება გმირულ ღვაწლითა;
მეცნიერების მაღალ მწვერვალებს
მოედვნენ, როგორც გუნდი ირწივთა.

ვინღა ჩამოთვლის მათ დიდ სახელებს,
დაე, სამშობლოს დროშა ფარავდეს.
პოლიუსების მკვიდრ მოსახლეებს
და სტრატოსფეროს მამაც ფალავნებს.

როს გარეწარმა აღარ დაგვზოგა,
მტერი ჩვენს ჩანთქმას როცა ლამობდა,
საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა
გოლიათურად ფეხზე წამოდგა.

სიცოცხლის კართან სიკვდილი რეკდა,
ტყვია ლეწდა თუ ყინვა აზრობდა,
მაინც ებრძოდა მტერს შეუდრეკლად
საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა.

მისი საბრძოლო ქუხილი მკვეთრი
მტარვალს კი არა, მთებსაც ზარავდა;
კომკავშირული რუხი ბილეთი
ზოგჯერ ტყვიისგან მკერდს იფარავდა.

ბილეთი — ჩვენი გულის ნაწილი
იტევს რაოდენ საბრძოლო ძახილს,
გმირებს მიუძღვის, როგორც არწივი,
დიდი ლენინის ნათელი სახით.

მისი სიწმინდე ჩვენ შეგვიგნია,
შენახული გვაქვს გულთან მარადის,
ის შრომის ფრონტზე სიბრძნის წიგნია
და ბრძოლის ველზე ფარ-მუზარადი.

სამშობლოსათვის თავს არ დავზოგავთ,
გვწამს, გამარჯვებას ყოველთვის ვპოვებთ,
ვართ ბედნიერი ახალგაზრდობა —
დიდი ოქტომბრის თანამედროვე.

1945 წ.



კავკასიონზე ისევ დარია

აქეთ მიწვეევდნენ ჩემი ფიქრები,
წინ მომიძღოდა თეთრი აპრილი,
შორს ჰორიზონტზე იწვა ნისლები,
თითქო რძე იყო მთებზე დაღვრილი.

წინ მომიძღოდა ვით თანამგზავრი,
ნისლად ეხვია ალუბლის რტოებს,
მაგრამ აღმართზე მე გავასწარი,
ის კი მდინარის პირად დავტოვე.

ცას მაახლოებს გორდის გორები,
შორით კოშკები ჩანს ნახანძრები:
ცხენისწყლის ტალღებს ფიჭვის მორები
წელზე ჰკიდია, როგორც ხანჯლები.

კავკასიონის მწვერვალებს იქით
გადაიარეს ზამთრის წვიმებმა.
მიკვირს, ამდენი კლდეების ტვირთი
მიწას სრულიად არ ემძიმება.

კავკასიონზე ისევ დარია,
მთებს გადავცქერი სულგანაბული
და მიხარია, გულს უხარია,
რომ ამ მთებშია ჩემი მამული!

1946 წ.

მარჯვენა

სალამი, ჩემო სამშობლო მხარეე,
მკერდზე ვემთხვიე შენს წმინდა მიწას,
შენი მზის შუქით კვლავ გავიხარე,
განვლილი ტანჯვა გადამავიწყდა.

მომიტანია ფიქრები წმინდა
და გული ისევ სუფთა და სადა,
არ აღიგავა მშობელ მიწიდან,
ი უმცაღა მტერმა მრავალჯერ სცადა.

მრავალჯერ შეხვდა ერთი მეორეს
მ.თი სიკვდილი, ჩვენი სიცოცხლე,
მრავალი საფრთხე გვედგა მეომრებს
და, როგორც ვხედავ, არ დავიხოცეთ.

არ დაიჩრდილა სიცოცხლე ჩემი,
თუმცა დავკარგე მარჯვენა ხელი,
მტრისათვის მუდამ თავზარდამცემი
და მეგობრების გადამრჩენელი.

მუდამ წინ იყო, არბევდა მუხთალს,
მაღლა მეჭირა, როგორც ალამი,
— სამშობლოსათვის! — სჭექდა და ქუხდა
მტერთან ბრძოლაში დაუღალავი.

დაატყდებოდა. თავზე, ვით ზვავი,
მტერს შეუპოვარს, შურით დამცინავს;
ყველგან თან მახლდა ერთგულ ძმასავით
და ბევრჯერ სიკვდილს გადამარჩინა.

ერთხელ, როს დილა მთის წვერზე იჯდა,
მტერმა ჩვენს სანგარს თვალი მოასწრო...
ნაღმის ნამსხვრევემა მკლავი მომგლიჯა
და მეც მთელი დღე ვეგდე უაზროდ.

შემდეგ ტკივილი ვიგრძენ ძლიერად
და გულმა მკერდში ძალა იმატა,
ცეცხლად ამანთო შურისძიებამ
და ჩემი რისხვაც ნახეს იმათაც.

მარცხენას მივეც ძალ-ღონე ორის
სისხლით დაცლილმა და ფერწასულმა;
ჩემგან დახოცილ მტრის გვამებს შორის
გონს მომიყვანა ერთმა ასულმა.

ჩემი ჯან-ღონე ომში დავხარჯე,
მაგრამ ჯერ ცეცხლი კიდევ მეყოფა,
მხოლოდ ვიგონებ დაკარგულ მარჯვენს,
როგორც მტრის ტყვიით მოკლულ მეგობარს

მან ბევრ ტანჯვაში გამომატარა
და სიხარულიც ბევრი მაჩვენა;
ჩემი მარჯვენა ომში ჩამქრალა
ქვეყნის მარჯვენის გადასარჩენად.

მან ბევრი მკვლელი ძირს დაანარცხა,
სულ მუდამ ტყვიის ცეცხლში ომობდა;
ჩემი მარჯვენა ცეცხლმა დანაცრა,
რომ ხალხის მარჯვენს ცეცხლი ჰქონოდა.

ჯავშნად ფოლადის ბეგთარი ეცვა,
ძარღვებში ენთო ბრძოლის ალმური;
ჩემი მარჯვენა მიტომ დაეცა,
რომ ვერვინ დასცეს ჩემი მამული.

ღაეცა, როგორც გმირი ეცემა,
ვთქვი: ჩემი მკლავი მტრის ახლო იწვეს.
შიშით უცქირონ იქაც მხეცებმა,
რომ ჩემი დარტყმა არ დაავიწყდეთ!

ისევ შენთან ვარ, სამშობლო: მხარეს,
ვეამბორები შენს წმინდა მიწას,
შენი კალთის ქვეშ კვლავ გავიხარე
და მწუხარება გადამავიწყდა.

კვლავ შენს სიყვარულს სიცოცხლედ ვსაზღავ,
დიდება მამულს, ლაღსა და გამრჯეს,
ვინც მოკრძალებით გულში ინახავს
ომგადახდილი ვაჟკაცის მარჯვენს!

1946 წ.

შენი სახელი მარადი

შენი სახელი მარადი
გაშლილი მთიდან ბარამდი,
მქუხარე, როგორც არაგვი,
გულში ჩირაღდნად ანთია,
ის არის ჩვენი დიდება,
ის მზეზე უფრო ბრწყინდება
და არასოდეს ბინდდება,
მწუხრი შორს გაუფანტია.

შენი ნათელი ალაღებს
მინდორ-ველსა და ქალაქებს,
ფოთლებს თუ რძიან ბალახებს,
წყაროებს კლდეზე მჩქეფარეს;
როცა მტრის ურდომ აიშვა,
როცა ბრძოლის ხმა გაისმა,
არ დაანებე ქარიშხალს,
ფოლადად გადაეფარე.

სად მწვანე ველი ბიბინებს,
სადაც ირემი იძინებს,
სად თეთრი ნისლი ციმციმებს,
ან თოვლიანი მთებია,
სადაც ცხოვრების სიმძაფრე
ფიქრებს ლაჟვარდში მიაფრენს,
შენ აღასრულე, წინაპრებს
რაც წინსვლა უოცნებიათ.

მამა-პაპათა აჩრდილნი,
საფლავში წოლით დაღლილნი,
მტრის ჩასაქოლად აშლილნი,
შენ გადიდებენ — გოლიათს,

შენი გმირობით ხარობენ,
მამულზე ლოცვას გალობენ
და ისევ ალამდარობენ,
თავი ცოცხალი ჰგონიათ.

შენი დიდების მნახველი
შორს მიდის მათი სახელი,
გაჰქრა ჭმუნვა და ნაღველი,
სიცოცხლეს გაუხარია;
გამარჯვებათა გრიგალო,
მრავალჟამიერს გიგალობ,
კალამი არ დაიღალოს,
ელავდეს, როგორც ხმალია.

შენა ხარ ხალხთა საშველად
თავისუფლების აშვება,
უძლეველ ციხედ აშენდა,
რასაც კი თვალი დაჰკარი,
ქარმა ღრუბლები დაფლითა,
ოცნება ცამდე აფრინდა,
მზის აკვნად იქცა ქართლი და
შენი ქორბუდა სახლ-კარი.

შენი სიცოცხლე გვწადია,
სანამ მზის შუქი ცხადია,
ვარსკვლავნი ცაზე დადიან,
ან თერგი კლდეებს გაჰყვირის,
სანამ ათოვდეს მყინვარებს,
სანამდეც გაიმყივარებს
ქართული ლექსის მდინარე
რუსთველის პეშვით დაღვრილი!

1946 წ.

ქართველი მებრძოლის ეპიტაფია

ჩრდილო კავკასიაში ნახულ ქართველი
მებრძოლის საფლავზე

საქართველომ გამომგზავნა,
საქართველომ დამლოცა,
დარიალის ვიწრო კართან
მტერს დავუხვდი და როცა

სურდათ მთების გადმოლახვა,
სურდათ კლდეთა დალეწვა,
ჩემი მკერდიც ვეფხურ დახვდა
შემოსეულ გარეწართ.

თუმც აქ დამცა შავმა ტყვიამ,
მკერდი ჩამომიწითლა,
მაგრამ გმირის მღელვარე გულს
ვერ დაჩრდილავ მიწითა.

საქართველოს მთა-გორებო,
საქართველოს ველებო,
ცად აჭრილო მყინვარებო,
ჯავშანშეუცლელებო,

თქვენ გიცავდით, თქვენებრ ვიყავ
შეუდრეკელ ნებისა,
თქვენს სიყვარულს შევეწირე
მტერთან შერკინებისას.

და თუ კიდევ აქ აღმართა
მტერმა შავი მახვილი,
კვლავ აღვსდგები, კვლავ წინ წავალ
გამარჯვების ძახილით!

1946 წ.

გაზაფხულის სიმღერა

სალხინოს ვიყავ.
ვილხინეთ
მე და მდინარე სულორმა,
მე წყალი მსურდა, მან ღვინო
მასვა და გული დათენთა;
ვიარეთ, ბევრი ვიარეთ,
განა მრავალმა?
სულ ორმა!
შორით თეთნულდი გამოჩნდა
ტანმაღალი და თმათეთრა.

გადიდის გორზე გადაველ,
დაბლა ქვეყანა გადიდდა,
გადავერიე გარემოს,
გამოიდარა გულმა;
ჩემი ლამაზი მთა-ბარი
დიდების შუქით გამთბარი..
ყველა მის სახელს ახსენებს
თვალის გახელის უმალ.

სალხინოს მთებზე მოლხენა
ყველა ვაჟკაცის ვალია,
ცამდე აწვდილი ნაძვები
სულგანაბულნი დგანან,
თითქოს შორიდან ისმენენ
ციისკრის უსიტყვო ნანას:
— აქ სიყვარულით აღვსილი
ბრძოლაშიც შეუმკრთალია.

სამშობლოვ, ჩემო უტკბესო,
მარადის შუქის მფინარო,
გულმა დარდებით ძლეულმა
შეგხედოს, მოილხინაროს,
შემდეგ ბრძოლაში გასული
ცასა და მიწას შესძრავს,
— შენი გაზრდილი ლომები
მტერს არ მისცემენ შენს თავს!

1946 წ.

• •

აპრილი და მაისი
დგება სიდარბაისლით,
სიოს ნელი სრიალი
და ფოთლების შრიალი
ნანასავით გაისმის.

იფურჩქნება მთა-ბარი
გაზაფხულით დამტკბარი,
მზეს უცინის ყოველი,
მეც სახარულს მოველი
დღეითა თუ გაისით.

გამრავლდი და იხარე,
დარდი გადაიყარე,
წყლული გაგმრთელებოდეს,
მრავლად გაგთენებოდეს
სიხარულის მაისი.

და თუ მტერი ძლიერი,
ვერაგი და ცბიერი
კვლავ წამოვა რისხვითა,
რათა გაძღეს სისხლითა,
ხელი ხმალზე გაისვი!

1946 წ.

ჩრდილოეთ საქართველოში

ქლუხორის მთები, ტებერდას მთები,
შორს, კავკასიის მწვერვალებს იქით.
აქაც მე ქართულ განთიადს ვხვდები
სიყვარულის და სიცოცხლის ფიქრით.
ეს მხარეც შეხვდა სისხლიან მახვილს,
აქაც სიკვდილმა გაიჯირითა,
აქედან სურდათ, ქართველი ხალხი
რომ აღეგავათ მიწის პირიდან.
მაგრამ ქლუხორის მთებმა დიადმა,
მაგრამ ყუბანში მდგარმა კლდეებმა
მტერს დაატეხეს რისხვა ზვიადად,
მთაც სასიკვდილოდ მომხვდურთ შეება.
ხოლო ქართველ კაცს აჩვენა გზები,
ძმურად შეიტკბეს მათ ერთმანეთი
და გაიფურჩქნა ქლუხორის მთები,
როგორც რაჭა და როგორც სვანეთი.
სადაც ოდესმე ურდოთა რაზმი
აპარტახებდა ამ ლამაზ ბაღებს,
აქ ქართველებმა გადმორგეს ვაზი
და სიხარულის დღე გააჩაღეს.
მათთან სიცოცხლე არ მოგწყინდება,
გულს შთააგონებს სიმღერას მრავალს:
აქ მადნისხევში ოქრო ბრწყინდება,
ტებერდას მთებში გალაღებს ჰავა.
აღსრულდა რასაც ხალხი ელოდა,
მზით შეიმოსა ჭაღარა მთები
და შორს გაისმის საქართველოდან
გამარჯვების და დიდების ხმები!

1946 წ.

ძეთევან ირემაძის ხსოვნას

კელაპტარივით ბრწყინავდა,
კელაპტარივით დადნა;
ყაყაჩოს თვალში სიკვდილმა
გადაურბინა ლანდად.

უღმერთომ როგორ მიაგნო,
ან როგორ გაიმეტა
სიმშვენიერის ასული
და სილამაზის დედა?!

ალბათ კვალდაკვალ დასდევდა
შურისძიებით სავსე; —
არ მეგულება სამარე
გალაღებული ასე.

აწ არ შეამკობს სასახლეს
წყნარი ნაბიჯი შველის,
არ გამოკრთება ცისკარი
ნაზი ღიმილის მჩენი.

დადუმდა ბაგე — სიცოცხლის
და სიმღერების მთქმელი,
მწყემსის გათლილი ლერწამი,
ან გედის თეთრი ყელი.

ნახავენ ქართვლის დედანი
და ქეთევანიც ნახავს,
მშობლიურ კალთას გაუშლის
და-შვილად დაისახავს.

მოგროვდებიან სხვა ქალნიც,
იმწუხარებენ ალბათ,
რომ მელანშეუშრობელი
წიგნი ცრემლებით დალბა.

წარმავალობა წაიღებს
გულის ყოველგვარ ფეთქვას,
მაგრამ რა მოჰკლავს სიმღერის
და სილამაზის მეფას?!

კელაპტარივით ბრწყინავდა,
კელაპტარივით დადნა;
ყაყაჩოს თვალში სიკვდილმა
გადაურბინა ლანდად.

დადუმდა ბაგე — სიცოცხლის
და სიმღერების მთქმელი,
მწყემსის გათლილი ლერწამი,
ან გედის თეთრი ყელი!..

1946 წ.

დღესაც ბრწყინვალეს

სისხლით მორწყული მთა-ბარი
მკერდზე ცეცხლგადანაყარი,
შუქმფენი დედა თამარი —
ძველი დიდების ლამპარი.
რუსთველის ტკბილი აკვანი
და სიყვარული მესხური,
გარდასულ გმირთა გზა-კვალი
ქება-დიდება შესხმული.
აქ ბევრჯერ გადაირბინა
მტერმა ცეცხლით და კრულვითა
და მაინც იდგა გვირგვინად
თორმეტი საუკუნისა.
ერთმხრივ ხერთვისის ციხენი,
ერთგან უდრეკი ვარძია —
იდგნენ რაინდულ სიმხნევით,
მტერმა ვერასდროს დასძლია.
საუკუნეთა გამძლები
დიდთა ტაძართა ზარები,
რუსთველნი, ჩახრუხაძენი
და ძმები ოპიზარები.
კვლავ ამაღლებენ ამ მთა-ველს
და ნათელ შუქით მოსავენ;
დავცქერი იმათ საფლავებს
და ვამბობ: ბრძენო მგოსნებო,
ბევრი ძნელი გზა გათელეთ,
გულში ვარსკვლავად მესხედით,
თქვენი გონების ნათელით
დღესაც ბრწყინვალეს მესხეთი.

1947 წ.

თვითმფრინავიდან

გადმოვიქროლე კავკასის ქედი,
დაბლა დავტოვე ღრუბელთა ფენა;
შორს იალბუზი, ვით თეთრი გედი,
წამომართულა გადასაფრენად.

ირგვლივ ათასი თეთრი მწვერვალი
ცას შემოსცქერის შეშფოთებული;
არ დაჩნევიათ ჯერ ნატერფალი,
კვლავ სიამაყე ახლავთ მთებური.

მაგრამ სიმაღლე თანდათან ქრება
და ხეობები ჩანან გულღია;
იქ კაცის ასვლას ვინ იფიქრებდა,
სადაც არწივსაც ვერ გაუვლია.

ჯავრობენ მთები: ჩვენი ხელყოფა
ვინ თქვა, ვადგივართ მიწას გვირგვინად,
ასე ვინ დასცა ჩვენი მეფობა,
ეს რა გრიგალმა გადაგვირბინა?!

რა ძალა არის შემძლები ყოვლის,
ჩვენს ათასწლოვან დუმილს შეება?! —
მწვერვალზე უხმოდ აცრემლდა თოვლი
და დაიღვარა მდინარეებად.

დავცქერი მიწას ცით შემოგარსულს,
ოცნება მიპყრობს გასაკვირველად,
თითქოს ვხედავდე შორეულ წარსულს,
როცა ქვეყანა გაჩნდა პირველად.

როცა უკაცურ, უსიერ ტევრში
მარტოდენ თოვლი იყო შთენილი...
და იფანტება მანქანის ფრთებში
ჩემი ფიქრები ცად აფრენილი.

ისევ წინ მივალ, ცა არის ღია
და მესმის რეკვა ვახტანგის ზარის,
მხრებზე ფოლადის ფრთები მასხია
და ვარსკვლავების ვარ თანამგზავრი!..

1947 წ.

მიტომ ვარ ეგრე გულლაღი

უშბა ზეცამდე აწვდილი,
შეკრული ყინვის ჯავშანით,
ხან ფარავს ნისლის მანდილი,
ხან ხურავს ღრუბლის თავშალი.

ხან სარკესავით კრიალებს
მისი კლდეების შუბები,
ხან მზეზე გაიშრიალებს
ფერადი აბრეშუმები.

მთას გამოქცეულ მდინარეს
ხევში გაუდის ჩქაფანი,
მოგელაობენ ტალღები —
აწყვეტილ ლომის ფაფარი.

ეხეთქებიან მთის ძირებს,
გლეჯენ კლდეების არტახებს;
ღრუბლები ღრუბლებს შეებნენ,
იქნევენ ელვის მათრახებს.

აქეთ შხარა და ნამყვანი,
იქეთ ლეგარდეს ხეობა,
მათი ცქერა და ტრფიალი
გულში მიმატებს მხნეობას.

მათი ძუძუს რძით ვიზარდე,
ჯიხვივით ვკოცნე ბალახი,
მიტომ ვარ ეგრე გულლაღი
და უშბასავით ამაყი!

1947 წ.

ლასკადურა*

ლასკადურა, მომასხურე
შენი თეთრი ტალღის შხეფი,
მო, კალთაში ჩამიჯექი
და მიამბე მთის ზღაპარი!
სად გარბიხარ? ვინ გაშინებს?
მკერდი ასე რად გიბორგავს?
ის სალი კლდე, დევს რომ მოჰგავს,
მართლა დევი კი არ არის.

არ გებრალვის თავი შენი,
ეხეთქები კლდეთა ძირებს;
ერთხელ მაინც დაიძინე,
მოიკრიბე ღონე მუხლში;
ამ მთებივით რად არა ხარ
გულდინჯი და სიტყვაბრძენი,
თვის სიცოცხლის გადამრჩენი,
რომ ილხინო შენს მამულში?!

მზე ისწრაფვის მწვერვალისკენ,
ნისლი მწვერვალს ეტანება,
ჯიხვი იქ გრძნობს ნეტარებას,
ირემს უყვარს მთაში ყოფნა,
მწვერვალისკენ ილტვის მარად
არწივების ფრენა მძაფრი,
სულიც მაღლა მიისწრაფვის,
ვერ ეტევა ამა სოფლად.

მეც ხომ მთების სანახავად
აქ მოვსულვარ, შენს მშობელთან,

---

* ლასკადურა მთის პატარა მდინარეა ქვემო სვანეთში.

მსურდა ჩემი სიტყვა მეთქვა,
ვეღარ გავძელ ბარში, ველად;
შენ კი მწვერვალს გაქცევიხარ,
შურდულივით მიჰქრი სადღაც,
არ იცოდებ ბროლის ტალღას,
კლდეზე ამსხვრევ ულმობელად.

ერთფეროვნად მოდუდუნებ,
მაგრამ ზოგან, სად ჩანჩქერი
სიყვარულის ჰანგებს მღერის,
ხმას აუწევ ხან კვნესითა,
მიიჩქარი, როგორც ქარი,
ჩემს საუბარს არც კი ისმენ,
მიისწრაფვი შავი ზღვისკენ,
რათა გაჰქრე ამ ქვეყნიდან?

მე შევცქერი შენს დინებას,
ბრძოლით ამტვრევ კლდეთა კარებს,
მიყვარს შენი სიანკარე
და ტალღების ხმა ძლიერი;
ყველაფერი მზისკენ ილტვის,
ძირს არ იცდის თვით ზღვის ტალღაც,
ორთქლდება და მიდის მაღლა.
მე კი შენი საქციელი
მიკვირს, ძლიერ მიკვირს!..

1947 წ.

სადღეგრძელო ასი წლის კაცისა

როცა მთებს იქით დილამ ინათა
და ჩვენს თვალისწინ აღსდგა ასი მთა,
სტუმრად წავედით ჩარქსელიანთან,
სანთლის არაყით გაგვიმასპინძლდა.
ლხინში შეჯიბრი გავმართეთ მკაცრი
და შეჯახება გვქონდა სასმისთა,
თამადად გვყავდა ასი წლის კაცი,
გათეთრებული, როგორც ფასის მთა.
არწივულ თვალით გვზვერავდა სტუმრებს,
ჯანს გვისინჯავდა ბარელ ყმაწვილებს;
ქვეყნის ავ-კარგზე გავესაუბრეთ,
ჩვენი გულისთქმა გავუნაწილეთ.
აიღო ჭიქა, სურათს ახედა,
თქვა: „დღეგრძელ იყოს ეს ჩვენი მახვში,
ვინაც მომასწრო თვალის ახელა,
მზე გააჩინა მთების წიაღში.
იდიდოს მარად მისი მარჯვენა,
მის სადიდებლად გვესვას ფიალა,
სამშობლოს მტერი ვინც შეაჩვენა,
და ძლევის დროშა ააფრიალა!..“
შემდეგ დაგვლოცა ჩვენაც ხმიანად,
მამა-პაპათა საფლავი გვიქო;
მან ჩვენი ნახვით ისე იამა,
დღეს დაიბადა პირველად თითქო.
როცა მთებს იქით დილამ ინათა,
ლხინში შეჯიბრი გავმართეთ მკაცრი,
სტუმრად ვიყავით ჩარქსელიანთან,
თამადად გვყავდა ასი წლის კაცი.

1947 წ.

უშგულის კოშკებთან

უშგულელი მონადირის
ბესო ხაჭვანის ხსოვნას

მთებმა ნისლი დაიხურეს,
ჩანან თეთრად დასუდრული;
მლოცველივით ცის შემყურე
ხელაპყრობით დგას უშგული.

მრისხანებაᲐ მისი თქმულა,
ზანზარებდნენ, ალბათ, მთები;
დღეს მდუმარედ აღმართულან
თვალდათხრილი რაინდები.

ახალ დროს ვერ შეეთვისა,
თუმც არავის ხვდება მტრულად;
ისტორია სვანეთისა
მის ძველ ქვებში შენახულა.

ვხედავ: ნისლი ხევებს გასცდა
ქარისაგან დანაფლეთი
და ენგური ახალგაზრდა
მიკიკინობს დასავლეთით.

ვხედავ: გულმა გაიხარა
აქ — ჯიხვების სამეფოში;
გადმომდგარა მაღლით შხარა —
თვალუწვდენი თეთრი კოშკი.

ძველი დარდი არ ატირებს,
სისხლის წყარო უკვე დაშრა;
მთებში ვნახეთ მონადირე
შავთვალა და შავულვაშა,

შეგვხვდა, როგორც ნათესავი,
ჩვენთვის სულიც არ დაშურა,
ძირს დაგვიგო ირმის ტყავი,
ზედ ნაბადი დაგვახურა.

დილით ადრე, ძილს რომ მოვრჩით,
მიგვიწვია სახლში ყველა,
მწვადი შეწვა ჯიხვის ხორცის,
ჯიხვის რქითვე გვადღეგრძელა.

თქვა: მტრის ძლევა არ ეძნელოს,
ვინც მთის ხალხსაც შვება მისცას.
და დავცალეთ სადღეგრძელო
სამშობლოს და მშვიდობისა!

1947 წ.

ბარათი სვანეთიდან

ნ. ტ.-ს

ცასა და მიწას ბრძოლა აქვთ მძაფრი,
ელვა გასძახის ღრუბლის ბრძანებას.
ჩემი ფიქრები შენკენ ისწრაფვის,
თვალწინ მიდგახარ, როგორც ზმანება.

ამოიწმინდა მთებმა თვალები,
ცა გადისარკა ღიმილის მჩენი;
ბილიკზე ვნახე შვლის ნაკვალევი
და ნაფეხური მეგონა შენი.

შენც მენატრები და ჩვენი ვარდიც,
მსურს ერთად ვიყოთ ახლა სამთავე;
როგორც ეს შხარა ენგურისათვის,
ჩემი ცხოვრების შენ ხარ სათავე!..

1947 წ.

საოქტომბრო სიმღერა

ოქტომბრის ცისკრის ნათელო,
კრემლის ვარსკვლავთა კრებულო,
ლენინო — გრძნობათა ამნთებო,
უსიტყვოდ ამღერებულო.
ჩემი მამულის წინსვლაო,
ბრძოლის ქარბუქში შობილო,
შენ — დაპყრობილო მწვერვალო,
ჭაობი ამოშრობილო.
აშენებულო სახლებო,
ამწვანებულო ბაღებო,
გრიგალის ფრთათა თანმხლებო,
ოქტომბრის ბაირაღებო;
თქვენს გამარჯვებას ითვლიდა
კრემლის მქუხარე ზარები;
თქვენთვის ვიცოცხლე, სიკვდილსაც
არასდროს დავიზარებდი.
თქვენი მზე ჩაუქრობელი
მზრდიდა მამულის შვილადა,
მიტომ მტრის შავი ღრუბელი
ვერ დაგეფარა ჩრდილადა.
ნათელო დიდი მომავლის,
გულში იმედად ციალებ,
მიიბრძვი, როგორც ხომალდი
და აფრებს მიაშრიალებ.
იქ დალეწავენ მტრის უღელს
სად შენი შუქი შეამზერს
და ქარიშხალი იქუხებს
შენი დროშების შრიალზე!

1947 წ.

საახალწლო სიმღერა

ახალი წელო, მობრძანდი.
ღია მაქვს გულის კარები,
იად აყვავდა ნახმლევი.
ვარდებად — ნაიარები.

ისევ ვაჟკაცად დაგხვდები,
მუხლი მაქვს ამირანისა,
ნათელს მაშუქებს შენი ცა,
ღრუბლებმა რომ ვერ დანისლა.

არ დაბნელდება ჩვენი მზე,
მტერმა რაც უნდა იავოს;
დავჯდეთ პირსავსე ქვევრებთან.
სიმღერა დავაგრიალოთ!

ჩვენი სამშობლო დავლოცოთ,
ავავსოთ მზით და ბარაქით,
ერთმანეთს ვეძმოთ, ვიაროთ,
როგორც მტკვარი და არაგვი!

ვადიდოთ დიდი სამშობლო,
გული რომ რკინად გვიქცია,
ბედნიერებას დაგვაძმო,
ცრემლის ტბა ამოგვიცლია.

მისი მზის შუქი მალაღებს,
იმის ფრთების ქვეშ ვმაღლდები,
რუსთველის მიწის გაზრდილი
ისევ რუსთავში ვსახლდები.

სამგორის ველი დავქარგე,
ავამღელვარე ჯეჯილით,
მესხეთის მთებიც ვახარე,
ციხეებ გადაჯეგილი.

ახალო წელო, მობრძანდი,
შენთვის ავავსე ბეღელი,
შემოგფიცე და დაგიხვდი,
ვარ სიტყვაგაუტეხელი.

ავწიოთ თასი, დავლოცოთ
სამშობლო მზით და ბარაქით,
ერთმანეთს ვეძმოთ, ვიაროთ,
როგორც მტკვარი და არაგვი!

1948 წ.

ახლა სხვა არის ქალაქი ფოთი

მახსოვს ეს მხარე ჭაობში მყოფი,
არ აშუქებდა გულს იმედები;
ახლა სხვა არის ქალაქი ფოთი,
გაშლილ ქუჩებით და მოედნებით.
წუთით ცოცხლდება ძველი ფაზისი,
კოლხეთის მიწის ცრემლი მრავალი,
როცა გვესხმოდა ბერძენი რისხვით,
როცა გვჯიჯგნიდა თურქი მტარვალი.
ზღვაც კი არ იყო ცრემლის დამტევი,
როცა ღალატმა სიყვარულს სძლია,
როს საყაჩაღოდ არგონავტები
კოლხეთის მიწას შემოესია.
როს სამეგრელოს ნაზი ასულნი
მიჰყავდათ ხონთქრის ჰარამხანაში...
მაგრამ შორს დარჩა ბნელი წარსული
და ჩაიმარხა შავ აკლდამაში.
გათავდა ძველი ჯახი და შფოთი,
კოლხეთი გახდა მართლა ედემი,
ახლა სხვა არის ქალაქი ფოთიც
ახალ ქუჩებით და მოედნებით.
ვერ დაგვიმკვიდრა მტერმა ზიანი,
დრომ გადარეცხა ტანჯვანი ძველი
და, როგორც ზეცა ვარსკვლავიანი,
აყვავებულა კოლხეთის ველი.
აწ არ გაიჩენს გულზე იარებს,
ძველი სისხლი და ცრემლები მოშრა,
და ზღვის ნიავზე ლაღად ფრიალებს
ვაჭარჯვებული სამშობლოს დროშა.

194 წ.

ი მ ე რ ე თ ი

ლიხის მთიდან როცა დასცქერ
შორს, შავ ზღვამდე გაშლილ ბაღებს,
საქართველოს სიყვარული
თვით ზეცამდე აგამაღლებს.

აინთება შუქი ველთა,
მთათა რიგი აზავთდება;
ხე ჰყრის ყვავილს, თუ მართლა თოვს,
გულში მაინც არ ზამთრდება.

ვხედავ ნათელ კავკასიონს —
საქართველოს ფხიზელ გუშაგს;
ვით აკაკი თმაჭაღარა,
გადმომდგარა თეთრი უშბა.

ნაქერალას მთაგრეხილი
მკერდზე ნისლებდაფენილი
და გელათის მონასტერი —
თითქოს გედი გაფრენილი;

ალვის ხეთა თეთრი რიგი
შემართული ცაში ხმლებად,
ფასის მთიდან გადმოვარდნილ
ტალღის კლდეზე დაჯახება;

ხანისწყალის კალმახები,
ტანზე ვარსკვლავ ასხმულები,
წყაროები, ჩანჩქერები,
კლდეებს გადანასკვულები;

ჭიათურის შავი ოქრო
და რიონის ელვის ძალა
იმერეთის ფართო ცაზე
ნათელ შუქად გაიშალა .

ღუმელებში თუჯი დნება,
ფოლადდება, ცეცხლად ღვივის,
ხევში მიჰქრის ელმავალი
ტოლს მონატრულ ირემივით.

წყალტუბო და ქუთაისო,
ჩემო ტკბილო იმერეთო,
მინდა ლექსის ჩუქურთმები
შენს მშვენებას შევუერთო.

მინდა მკერდში ჩაგეხვიო,
თეთრ ნისლივით ფრთა გავშალო.
დაგილოცო ტკბილი კერა,
ჩემო ხალხო, გულმართალო.

ვნახო თქვენი შემოდგომა,
ღარზე მაჭრის წყაროები,
სიმინდების ამხედრება,
ხანჯლებივით ტაროები.

ჭადრის ჩრდილში სუფრა გვიცდის,
ვილხინოთ და გავიხაროთ,
ერთად ვიყოთ, ერთმანეთის
სიყვარულში დავიღალოთ.

ცას ვაწვდინოთ სიმღერის ხმა,
შორს რომ მტერი შიშით ძრწოდეს;
სიცოცხლეს და სიძლიერეს
ჩვენ სამშობლო მოგვიწოდებს.

ყველა კაცი ჭიშკარს გიღებს,
როს აივლი ვიწრო შუკებს,
ბაღჩიდანაც ლერწამტანა
თვალთა ელვას მოგაშუქებს.

მოგაგებებს ბროლის ღიმილს,
როგორც სატრფო დანიშნული,
ბაგე-ვარდი, თვალ-ლაქვარდი,
დალალებით დანისლული.

დასტრიალებს სუფრას ისე,
თითქოს ესხას მერცხლის ფრთები,
ჭინჭილას რომ ღვინით გივსებს,
მარტო ცქერით დაითვრები.

ვინ დააშრობს ამდენ თასებს? —
თვალი სვამს და გული ტკბება;
ბრძოლაც ვიცით, შრომაც ვიცით.
და არც ლხინი გვავიწყდება.

ლიხის მთიდან როცა დასცქერ
შორს, შავ ზღვამდე გაშლილ ბაღებს,
საქართველოს სიყვარული
თვით ზეცამდე აგამაღლებს!

1949 წ.

ჩემი სიმღერა

ვერ შემაშინებს გრიგალი,
მივალ და მიმიხარია,
ეს ჩემი გული ზღვა არის,
ეს ჩემი სული ქარია.

ჩემი ცხოვრების ლურჯ ცაზე
ხან წვიმდა ცრემლის ღვარია,
მაგრამ სევდას და ნაღველსა
გული ვერ გაუბზარია.

მტერთა და მშურთა მზაკვრობა
მეც მსდევდა დიდი ხანია,
მაგრამ კაცობის მიზანი
სიმტკიცით გამიტანია.

ახლა ლაღი ვარ, საღი ვარ,
ზეცას მიწვდება მხარია
და ნაპერწკლობა გულისა
ქვეყნისთვის მომიხმარია!..

1949 წ.

მომავლის სიმღერა

ლექსო, ჯერ კალამშეუხებელო,
ფიქრთ მაღაროში მიყუჩებულო,
ჩემი ოცნების თანამხლებელო,
დიდი ცხოვრების ზვირთთა კრებულო,

ამოჩხრიალდი, გაშალე ფრთები,
თავს შემოევლე სამშობლო მხარეს,
კლდეთა ბილიკებს ნუ შეუკრთები,
მთის მწვერვალები გადაიარე.

შენი ხმა ქუხილს უნდა უდრიდეს,
უნდა გადაწვდე დროსა და სივრცეს,
უნდა აფრინდე გულის ბუდიდან
და კოპუნიზმის სიმღერად იქცე.

მიზანი გქონდეს მარად მართალი,
ყველა მკითხველი გრძნობდეს თავისად,
რომ დღევანდელი ნათელი თვალით
ხვალის მქუხარე ხმები გაისმას.

მუდამ ცხოვრების წინსვლას მღეროდე,
ეჯიბრებოდე შუქში მნათობებს,
წიგნის ფურცლებზე ვერ ეტეოდე,
სოფლიდან სოფლად დანავარდობდე.

არ მოისვენო, მტერთან ომობდე,
სამშობლოს ნათელ მიზანს მისდევდე,
შენში დაზგების ხმა იგრძნობოდეს
და ჯეჯილების შრიალს ვისმენდეთ.

გვიამბო, როგორ გაჰქრა ღრუბელი,
სამშობლო შუქით როგორ ივსება,
როგორ დგას მუშა მკლავმოუღლელი,
როგორ ამაღლდა შრომის ღირსება.

როგორ აივსო მიწა ბარაქით,
როგორ დაიწყო მზის მობრუნება,
როგორ გაცოცხლდა ველზე ქალაქი,
როგორ გარდაქმნა კაცმა ბუნება.

უნაპერწკალო ნავლად ჩაჰქრები,
თუ კაცის გული არ გაახარე;
ლექსო, უთქმელო, გაშალე ფრთები,
თავს შემოევლე სამშობლო მხარეს!

1950 წ.

ილიას გახსენება მყინვართან

„მყინვარი მთელის თავის დიდებულებით სიკვიცოველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ...ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ ანატოკებს".

ილია ჭავჭავაძე

ვინც კი გიხილავს კეთილი აზრით,
ჭაბუკი იყოს და თუგინდ ბრძენი,
მოიხიბლება ამ სილამაზით
და გააოცებს სიმაღლე შენი .

მაგრამ ილია ვერ შეგეჩვია,
ვერ მოაფინე გულს ალმაფრენა,
შენს ცივ სიმაღლეს მუდამ ერჩია
თერგის მქუხარე ტალღების დენა.

მე კი მიყვარხარ, მე კი შეგხარი,
როცა შეგყურებ, გული ლაღდება,
მკერდში მკვიდრდება სული მედგარი,
მკლავში ძალ-ღონე კვლავ მიახლდება,

რით არ შეგამკეს დიდმა მგოსნებმა,
ყველა ტრფიალით ხელებს გიწვდიდა;
მე კი მგონიხარ ქვეყნის ოცნება
ამაღლებული დედამიწიდან.

არ მჯერა, თითქოს არ გაღელვებდეს
ქვეყნის სიკეთე, ან სიმწუხარე, —
შენ რომ არ იყო ასე მაღალი,
მაშინ ეს თერგიც ვერ იმქუხარებს.

შენი დამთმობი ქვეყნად ვინ არი,
რად გიწოდებენ მიუკარებელს? —

უნდა ამაღლდე, როგორც მყინვარი,
შემდეგ თერგივით რომ მქუხარებდე!

ვერ უნდა გძლევდეს შიში და კრთომა,
უნდა გაშალო ფრთები ღრუბლებად,
უნდა შეგეძლოს მიწაზე დგომა
და აზრით მზესთან გასაუბრება!

უნდა შენც იყო შუქთა მფინარი,
მუდამ ებრძოდე სიბნელეს მუხთალს;—
ილია თვითონ იყო მყინვარი
და სიტყვაც მიტომ თერგივით ქუხდა.

მიტომ გავბედე და დიდ გოლიათს
ასი წლის შემდეგ გავეპასუხე,
რომ დღეს მყინვარი ჩვენი ტოლია,
თერგის ქუხილიც ჩვენს გულში სუფევს.

1950 წ.

პოეტის ღამე

სადღაც ცისკარმა გაშალა ფრთები,
სადღაც მთებს იქით დილა ინთება,
და განთიადის ფარფატა მტრედი
ჩემს ფანჯარაშიც შემოფრინდება.

რიყრაყის შუქში მინდა ვუცქირო
ბაღებით შემკულ ამ ლამაზ დაბას,
მეც ვათევ ღამეს ახლა უძილოდ
და ვყარაულობ სამშობლოს მთა-ბარს.

სადღაც ჭრიალით მიდის ურემი,
სადღაც სიმღერის ტკბილი ხმებია;
დავაყურადებ და ბეღურები
ცისკარს ჟღურტულით ესალმებიან.

ნიავს შემოაქვს ყანის სურნელი,
მეც ვსუნთქავ ლაღად და მიხარია;
გზად გამოსულან კოლმეურნენი
და სამუშაოდ მიიჩქარიან.

განთიადივით მეც ავინთები,
გული ოცნებით დაითენთება,
შორს გამიტაცებს ქვეყნის ფიქრები
და თავზე თეთრად დამათენდება.

1950 წ.

ნინო ჯავჯავაძეს

მე ჩემს გოგონას შენი სურათი
გავაცანი და ვუთხარი ასე:
შენ გაიხარე, შენ გაიზარდე,
აი, ამ ქართველ ქალს დაემსგავსე.

მის სილამაზეს, მის სისპეტაკეს
ვეღარ იტევდა პოეტის ლექსი,
ის იყო შვილი, ის იყო ცოლი
და მეგობარი უზენაესი.

შენც თუ ცხოვრებამ ცა მოგიღრუბლოს
და გულს უდროოდ დარდი დააწვეს,
შენი ქალობის სიწმინდის შუქი
საუკუნეებს უნდა გადაწვდეს!

1950 წ.

პირველი კვირტები

დღეს გაზაფხულს თუ ვუმღერი,
რატომ უნდა გაგიკვირდეს?!
აი, მოდი, დააკვირდი
ხის ტოტებზე პირველ კვირტებს.

ფრთები როგორ დაუჩიტავთ
მზისთვის თვალის გასახელად,
თითქოს უნდა ხმა გამოსცეს,
გასკდეს, როგორც მაჭახელა.

გაზაფხული კარზე გვადგას,
მზე მბრძანებლობს მთად და ბარად
და კვირტებიც ღიმილს იწყებს
ჩემი ქვეყნის გასახარად!...

1950 წ.

ქართული თეატრის ასი წლისთავი

ქართულ თეატრს სახელოვნად
გაუვლია ასი წელი.
მას დიდება, ვინც პირველმა
ჩაუყარა საძირკველი,
ვინც ქართველ ხალხს უთხრა სიტყვა
იმედების შუქით სავსე,
ვინც უშიშრად მიდიოდა
ეკლიან და ყამირ გზაზე.

რა შორს მოჩანს ის ვიწრო გზა,
რა მკრთალად კრთის ის ლამპარი,
მაგრამ მაინც დიადია
ის სულმნათი წინაპარი,
ვინც პირველად იძახოდა:
მე სამშობლოს კერისა ვარ,
ვინც წარსულში ქართულ თეატრს
მოევლინა ერისთავად.

შემდეგ მწარე მოგონება,
იმ სინათლის დაღამება,
დაშვებული ბნელი ფარდა —
მტრის დროებით გახარება,
მაგრამ ცეცხლი განა ჩაჰქრა
ხალხის გულში ნაგუბარი?
წამოვიდა სხვა თაობა —
განახლების ხმა მქუხარი.

ეშხი მაკო საფაროვას,
ცეცხლი ნატო გაბუნიას,
ქართულ სცენის ყვავილები
მათი ხელით დარგულია,
დიდი ვასო აბაშიძე

ჩანჩქერივით ჩაუმქრალი,
და ღვთიური მესხიშვილი
გრიგალივით ბობოქარი.

მათ სამშობლოს ნათელ დროშას
არასოდეს ულალატეს,
როცა სიტყვა არ კმაროდა,
ხმლით ებრძოდნენ მუხანათებს;
მათი ბრძოლის მქუხარება
სცენამ ვერც კი დაიტია;
ო, როგორი რაინდები
გაუზრდია ქართულ თეატრს!

შემდეგ, როცა ოქტომბრის მზემ
ქართლის მთებიც გააბრწყინა
და სამშობლოს გადაშორდა,
რაც ღრუბლები აწვა წინათ,
ყვავილების ის ბუჩქები
უფრო მაღლა აიტოტნენ,
ქართულ სცენის გაზაფხული
მოიყვანა დიდმა კოტემ.

და საბჭოთა ქართულ თეატრს
გაუშლია ფრთები ლაღად,
თვით შორეულ სოფლებშიაც
ყურს უგდებენ მის ტკბილ ღაღადს,
და რიგები ხელოვანთა
დიდ დროშის ქვეშ დაირაზმა,
მათ სიტყვაში გაიმარჯვა
ქართველ ხალხის ნათელ აზრმა.

კვლავ წინ მიდის, ხალხისაგან
სიყვარულით დადაფნული;
ჩვენც ვუსურვოთ ქართულ თეატრს
კვლავ მარადი გაზაფხული,
რომ სამშობლოს დიდს და ნათელს
უთხრას სიტყვა მხნე და ბრძნული,
რომ გამდიდრდეს საქართველოს
ხელოვნების საგანძური.

1950 წ.

სალხინოდ და სამეგობროდ

ოთხ წელიწადს ომში ვიყავ,
შორს გავფანტე მტრების გუნდი;
მშობლის გულმა გაიხაროს,
შინ მშვიდობით დავუბრუნდი.

ცრემლი ლხენად შევუცვალე,
შვილი მოველ დაკარგული;
დამხვდა ჩემი ზესტაფონი
ვაზის ბაღში ჩაქარგული.

ფეროს ქარხნის ღუმელები
გუგუნებს და ფოლადს ადნობს,
რომ სამშობლოს ძლიერებას
კვლავ სიმტკიცე მიემატოს.

მიწას მარჯვედ დავკარ ბარი,
ბელტი ბელტზე დავაწვინე,
ბედნიერი შრომის ოფლი
მშობელ მიწას დავაწვიმე.

გავაღვივე ნიადაგი,
მარცვალს მისცა დევის ღონე,
უხვ მოსავლის ხვავით ხარობს
მეგუთნე და მელითონე.

ახალ ღვინის ზღვა მჩქეფარებს,
ქვევრებში მაქვს ისევ ძველი,
გიშრისა და ქარვისფერი
ფეროს ცეცხლზე უფრო მწველი.

კვლავ მშვენდება ვიწრო ქუჩა
ცამდე აჭრილ შენობითა;
სიმდიდრე და სიხარული
ჩემს ჭერქვეშაც შემოვიდა.

აავსო და აამაღლა
ჩემი სახლის კიდე-განი;
მზის სინათლით ოჯახს ავსებს
ინდუსტრიის ჩირაღდანი.

ძმებო ვისაც შრომა გიყვართ
და მშვიდობა გიღირთ ოქროდ,
გთხოვთ მობრძანდეთ ზესტაფონში
სალხინოდ და სამეგობროდ!..

1952 წ.

მშვიდობა

მტერი რომ გვიქადდა მონობას
და ომით მთა-ბარი იწვოდა,
ვიბრძოდით, რომ მამულს ჰქონოდა
მშვიდობა! მშვიდობა!

სიმართლის სინათლეს დავენდეთ,
წინსვლა და სიკეთე გვინდოდა
და ყველგან სიმტკიცით დავნერგეთ
მშვიდობა! მშვიდობა!

ახლაც ხომ ლესავენ შავ მახვილს,
ჩანს მათი შური და ფლიდობა,
მაგრამ ჩვენ მსოფლიოს გავძახით:
მშვიდობა !მშვიდობა!

1952 წ.

ნაუცბათევი სტრიქონები

მინდა რომ მუდამ იცინო,
სიცილი ძლიერ გიხდება;
ვინაც ჩაგხედავს თვალებში,
ქვეყნის დაწყებას მიხვდება...

ეს ღრუბლიანი დარები,
ალბათ, იმიტომ გვწვევია,
მოგიტაცია მთელი მზე,
თვალებში დაგიმწყვდევია.

* *

პატარა ტუჩი მარწყვისა,
თვალნი — ვარსკვლავთა სადარი,
ის ჩემი გულის დამწველი,
ჩემი ოცნების ღადარი;
მისმა ლოდინმა დამფერფლა,
ნეტავი ახლა სად არი?

1952 წ.

* *

მე გადავწყვიტე, არ მოგეკარო,
არ გავხდე მსხვერპლი შენი თვალების,
შენ — გაზაფხულის ტკბილო ნექტარო,
მიტომ გაგირბი და გეკრძალები.

მე გადავწყვიტე, არ დაგენახო,
და მუდამ ვფიქრობ შენთან მოსვლისას,
ტრფობის ისარი გულს არ შეახო,
რომ არ დაიწვეს გრძნობა მგოსნისა.

მაგრამ რა ვქნა, რომ სიყვარულს ვეტრფი,
დაუდგრომელი გული ტიალობს;
რას მირჩევ, გავხდე მაგ თვალთა მსხვერპლი,
თუ უსატრფოოდ ვიხეტიალო?!

1952 წ.

* *

გოგოვ, ეგ შენი თითები,
თუ თეთრი კელაპტრებია?
მაგ ვარდის ტუჩის ბადაგით,
ალბათ, ფუტკრები თვრებიან.

თორემ მე ახლოს მომიშვებს
შენი წარბების მშვილდები?
რამდენიც უნდა გიცქირო,
ყოველთვის მოგიშივდები.

ეგ შენი თაფლის სიტყვები,
თუ ბულბულების ხმებია?
შენ გაიცინე, თუ ცაზე
განთიადს გაღვიძებია?

ისეთი ცეცხლით დამბუგე,
ფიქრებიც იფერფლებიან;
ხომ იცი, ძლიერ გვალვაში
მზისგან მუხებიც ხმებიან!..

1952 წ.

ალ. თოიძეს ეკატერინე ბავშვაძის როლში

ციხიერო, ცის მანანავ,
ცა ფირუზის ფერო,
როგორ მინდა ეგ წამწამნი
გულში ჩავიწერო.

როგორ მინდა ჩემი ლექსი
შენს მიმოხვრას ჰგავდეს
და მაგ თვალთა შავი კალთა
გულში დაბინავდეს.

მიკვირს: ჭაბუკ მგოსნის ტრფობას
გულით დაატარებ,
სიცოცხლეში არ იწამე,
ახლა შეიყვარე?

შენი გულის ღირსად არ სცან
შვილი მარაბდისა,
ხედავ? მისმა უარყოფამც
გაგამარადისა!..

1952 წ.

აჭარის მთებში

აი, მივყვები ჭოროხის ნაპირს,
გზა დაგრეხილა მზისკენ მავალი;
მე ჯერ მნახველი არ ვიყავ ზღაპრის,
თუმც გაგონილი მქონდა მრავალი.

ამ მთებსაც ბევრი სისხლის ღვრა ახსოვთ.
ბევრჯერ ჩაჰქოლეს მტერთა ჰუნებმ,
მაგრამ მესხეთის ლაღი ბუნება
ისევ სიცოცხლეს ესალბუნება.

და იმ სოფლებში, წინ რომ გავყურებ,
წვავდნენ სახლებს და ანგრევდნენ ტაძრებს,
აქ ქართველ ქალებს ჩადრიც დაჰხურეს,
მაგრამ მანდილი ვერ გადააძვრეს.

სამას წელს რეცხა ის გმირთა სისხლმა,
მტარვალთა ხმალმა სამას წელს კაფა,
მაგრამ კვლავ ძალუძს სამშობლოს წინსვლა
მისი შვილების შრომას და ჯაფას.

აი, გახედე, გაშლილ ბაღნარებს
როგორ მოუცავს მთების კალთები, —
აჭარის სოფლებს ისევ ახარებს
ოავისუფლების სხივთა ნათელი.

გაუმარჯვნია ნამგალს და წერაქვს,
კლდეს შესევიან ყოველი მხრიდან
და მთები ფართო გზებს დაუსერავს,
სადაც ხარჯიხვიც ვერ გაივლიდა.

როგორც არწივი, მთის წვერზე ვდგები
და დაღლილობას არ ვგრძნობ სრულიად,
მე ვხედავ, ჩემი აქარის მთები
კვლავ ვენახებით დაფარულია.

მანქანა მიჰქრის, როგორც ირემი,
წინ საშიშარი არა გვეგულვის,
გზაში გვხვდებიან შრომის გმირები
მკერდზე ვარსკვლავებ გაბრწყინებული.

ისევ წინ მივქრი, მთებზე ნისლია,
ბაღებში ტკბილი სიმღერა ისმის
და თაგოს მთები კალთებს მიშლიან
ძველი ქართული სიდარბაისლით.

1953 წ.

საღამო სოფლად

სოფლის საბჭოსთან შევხვდი აჭარლებს,
ხან ოხუნჯობდნენ, ხან კამათობდნენ;
დღესაც მათ გეგმებს გადააჭარბეს
და შრომის ტემპში ხვევდნენ ფართობებს.

აქ იგრილებდნენ მკერდებს ოფლიანს,
ახლდათ სურნელი ყანის, ვაზების;
ჩონგურს დამღერდა გლეხი თოფია,
ჭიბონს უკრავდნენ ახალგაზრდები.

შემდეგ გაჩაღდა ცეკვის ქარბუქი,
ქართულ ჰანგებში ღამე დნებოდა,
წრეში უვლიდა ერთი ჭაბუკი,
ასე, ოთხმოცი წლის იქნებოდა.

ხარბად უცქერდნენ მის ცეკვა-თამაშს,
ალბათ აქ მჯობნი არ ეგულებათ;
გულს უხარებდა ასი წლის მამას
უმცროსი შვილის გაბედულება.

თუნდა სიმღერით აქ გაათენონ,
ისიც სიამით დარჩება გარეთ;
  და მე ვიგრძენი, რომ საქართველო
სიბერეს ახლოს არ მიიკარებს!

1953 წ.

სარფში

მე ამ მგზავრობით მეტად ვლაღობდი,
მანქანის უმალ სურვილი გარბის:
უკანასკნელი ერთი მაღლობიც
და... გაიშალა ჩვენს თვალწინ სარფი.

სურათი მცირე, ფერები მძაფრი,
მთის ორი კალთა, ხეობა ვიწრო;
ნუთუ ეს არის სოფელი სარფი,
რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს?!

ერთგან ბილიკზე უმალ შევჩერდი,
გაკვირვებული სივრცეს გავცქერი:
ხევს იქით მოჩანს თეთრი მეჩეთი
და ბოძთან მდგარი შავი ასკერი.

კვამლიც არ იძვრის არსად ქოხებში,
იქ არც სიმწვანე გამოკრთის ხეთა
და ამ პატარა ლაზურ სოფელში
ორად გაყოფილ სამყაროს ვხედავ.

ერთია ბნელი, სიცოცხლის მკვლელი,
ჩაღამებული მოჩანს აჩრდილად,
გამოღმა ხეზე რადიო მღერის,
ელექტროშუქით ღამე დაპრილა.

იქ მინარეთზე დაღმუის მოლა,
აქ სკოლის ზარი უხმობს ყმაწვილებს,
იქ ბევრი ნაღვლობს შვილების ყოლას
და მათ თვალთაგან ცრემლი აწვიმებს.

აქ ისევ ისმის ქართული ნანა,
შრომის ფერხულში ჩაბმულა ყველა,
როგორც ეს მთები, ლაზებიც დგანან
თავისუფლების სამშობლოს მცველად.

აქ სხვადასხვაა სუნთქვა მთებისა,
აქ სხვადასხვაა დღეს გაზაფხული,
აქ — დასასრული მათი ქვეყნისა
და დასაწყისი ჩემი მამულის!

1953 წ.

ზ ღ ვ ა

ზღვავ, სიხარულით ვინთები,
როდესაც შენი ზვირთები
ნაპირს აწყდება ქუხილით;
შიგ ვნახე ჩემი ფიქრები
და მეც მღელვარე ვიქნები
შენებრ უცეცხლო დუღილით.

აჭარის მწვანე ბორცვებმა
მასწავლეს შენზე ოცნება,
შენთა ტალღათა ალერსი;
როცა შენს გულზე მზე ბრწყინავს,
ხელებს აღვაპყრობ შენს წინა
და მაგონდება თალესი.

ტალღებო, რა არ გინახავთ,
დიდი გზაც გადმოგილახავთ,
ხმლებს გავხართ მზეზე ალესილს,
მაგრამ მე არა მგონია,
სადმე ნაპირი გქონიათ
ამაზე უდიადესი.

ტალღებო, თქვენი ამბორის
ხშირად ნაპირთან გამგონი
ვდგავარ და გეალერსებით,
მე მინდა თქვენებრ ღელავდეს
და ზღუდეს ასე თელავდეს
ჩემი გულწრფელი ლექსები.

მაგრამ არ მინდა მისი ხმა
სადღაც შთაინთქეს ზღვის მიღმა

და ქარიშხალში დრკებოდეს
ის უნდა იყოს ფოლადზე
მტკიცე და ქარის ქროლაზე
არ უნდა იფანტებოდეს.

ზღვავ, სიხარულით ვინთები,
როდესაც შენი ზვირთები
ნაპირს აწყდება ქუხილით;
შიგ ვნახე ჩემი ფიქრები
და მეც მღელვარე ვიქნები
შენებრ უცეცხლო დუღილით.

1953 წ.

საახალწლო

ახალ წელს უყვარს ახალი სიტყვა
ღა სიტყვას უყვარს საქმე ახალი,
როგორც დუღილი შავი ზღვის ზვირთთა,
როგორც სამშობლოს მთები მაღალი.
ათასი ფიქრი გაჩნდება გულში,
როგორც ფუტკრები, გარს მეხვევიან,
მათ, როგორც ხორბალს გადაყრილს ხნულში,
მკერდის ფიქალი გაურღვევიათ.
ახალი შუქით ცა იფერება
მოაქვს: სიცოცხლის ფესვი რტოებად,
ჩემი სამშობლოს გაძლიერება,
მტრის აღსასრულის მოახლოება.
მაშ, სასმისები გადავკრათ ყველამ,
დავაგუგუნოთ სიმღერა წრფელი,
ვადიდოთ, ვინაც ყამირებს თელავს
და ვის ბეღლებსაც ბარაქა ელის.
ვადიდოთ, ვინც ღუმელებს ანთებს,
ჯბრალო შავ ქვას ადუღებს რკინად,
ვინც ჩაის ბუჩქით ამშვენებს კალთებს
და ვის მკერდზედაც ვარსკვლავი ბრწყინავს.
ვადიდოთ ჩვენი სამშობლოს ფუძე,
მისი სიმტკიცე, მისი ჯავარი,
მტერი რომ შურის თვალებით უმზერს,
მაგრამ მოკეთეც რომ ჰყავს მრავალი.
მაშ, სასმისები გადავკრათ ყველამ,
დავაგუგუნოთ სიმღერა ისევ,
რომ მტკიცედ გავყვეთ ცხოვრების ღელვას
და არ მოვაკლოთ გულს სიხალისე.
ახალ წელს ვუთხრათ ახალი სიტყვა
და სიტყვას მოჰყვეს საქმე ახალი,
როგორც ქუხილი შავი ზღვის ზვირთთა,
როგორც სამშობლოს მთები მაღალი!

1953 წ.

უშანგი ჩხეიძის კუბოსთან

ჩვენი თეატრის იყავ ლამპარი,
მის განახლებას ედექი კედლად;
სცენაზე გაჩნდი, როგორც ზღაპარი,
სცენიდან წახველ, როგორც ლეგენდა.

როცა ვიგონებ შენს სიტყვას ფრთიანს,
კვლავ რჩები გულთან გაურიყავი;
ოცი წელია გაშორდი თეატრს
და სულით მაინც მასთან იყავი.

შენი სახელის ელვა-კაშკაში
ჟამთა სვლის ნისლით არ დაბინდდება;
შენი სიკვდილის, მჯერა, საფლავში
თვით კოტეს ფერფლიც აქვითინდება.

მე ვხედავ ახლა, შენი გმირები
როგორ ერტყმიან შენს კუბოს ირგვლივ,
როგორ არიან ანატირები,
როგორ გადგამენ უკვდავთა გვირგვინს.

როგორ აფრქვევენ ცრემლთა მდუღართა,
როგორ არიან დაღონებულნი,
მათ მხოლოდ შენთან ყოფნა უყვარდათ,
შენგან ხდებოდნენ შთაგონებულნი.

ახლა რა დარჩა მათ ცრემლის მეტი,
ვისაც სიცოცხლე შენ შეაყვარე?
ყოფნა-არყოფნას მოსთქვამს ჰამლეტი
ბავშვის ცრემლებით სტირის ყვარყვარე.

სიკვდილის შიშით ბორგავს აკოსტა,
მის მშფოთვარე სულს ახლა აწვალებსს,
რომ შავ სამარის ლანდმა აკოცა
შენი თვალების მზიურ წამწამებს.

ამ ტრაგიკული გმირების გვერდით
დგება გოდუნი, დგება ბეგლარი,
დამშვენებულნი შენივე მკერდით
და შენეული სუნთქვით მედგარით.

მათაც თვალები ცრემლით დალტოდნენ,
მათ გულსაც ბოლმა აღმოხდა მწველი:
—ასე უდროოდ რად მიგვატოვე,
გელოდებოდით რამდენი წელი!..

ფლიდი იაგო, ან გულღრძო ჩენჩი —
ეს ბოროტების მაუწყებლები,
შენს ნათელ სახეს დასჩერებიან,
პირველად იგრძნეს თვალში ცრემლები.

შენს განშორებას ვინ არ იტირებს,
ვისთვის არა ხარ დასანანები?
შენ აცოცხლებდი გარდაცვლილ გმირებს
და, მიკვირს, სიკვდილს როგორ დანებდი!

მაგრამ სამშობლოს მზის შუქი ფარავს
შენი სიცოცხლის დიდ სილამაზეს,
ქართულ თეატრთან იქნები მარად
მისი წინსვლის და დიდების გზაზე!

1953 წ.

ლენინი, საბჭოთა, მშვიდობა

ლენინის დროშა დიადი 5
1960 . . . 7
ალუბლის ყვავილებთან 9
ილიას საგურამოში 10
ქვევრები . . 11
ჩემს მასწავლებელს 12
თურდოს ხიდი . 14
მშვიდობა შრომას! 16
არ გსურს ნახო? 18
ახალი თბილისისათვის 21
თბილისის ზღვაზე 23
გიორგი ლეონიძეს 24
ფიქრები გალაკტიონზე . 26
შალვა დადიანის გარდაცვალებაზე 27
მაჩაბლის ქუჩა . 29

ჩემებური სონეტები

•• შენა ხარ ჩემი სიხარულის მახარობელი . 30
•• მე შენს საუბარს ყურს ვუგდებდი, როგორც გალობას 31
•• შენს შესახვედრად რა არ ვცადე, რა არ ვიღონე 32
•• შენი შეხვედრით გული ჩემი ისევ გალაღდა 33
•• მატარებელი რომ დაიძრა და დავრჩი მარტო 34
•• ჩემი ცხოვრება სულ ბრძოლების გზით მაქვს გავლილი 35
•• შენს მოლოდინში გული ჩემი თრთის და კანკალებს... 36
•• ისევ წახვედი?.. რა გამიხდა შენი წაღვერი!.. 37
•• მე განა ისე უნდა მოვკვდე, შენ ვერ გიხილო? 38
•• მე შენს დღეობას ვერასოდეს ვერ დავესწარი 39
•• რამდენი ხანი შენს სახელზე არ მიმღერია . 40
•• როდესაც გულზე სევდის ნისლი შემომაწვება 41
ფოთელ მეგობრებთან 42
თბილისი 43
არაგვის სიმღერა . 47
ნაჩუქარ წიგნის პასუხად . . . 48
•• მოგიახლოვდე? ვაითუ ჩაქრეს 49
•• ჯეირანი ხარ, თუ ალვის ხეებს 50
•• მაგ თვალების ისრით დამშრი 51
•• იმ ღამეს ნამდვილ ანგელოსს ჰგავდი . 52

** ისევ იმ ცეცხლით მანთებ ყოველთვის 53
კვლავ ჩემი მზე ხარ 54
მშობლიურ სოფელში 55
ეპიტაფია . . 57
დგას პარტია მტერთა მძლევი 58
სიმღერა სამტრედიაზე 59

სიღერა მაისის დროშებთან

გაზაფხული იწყება ლენინით 61
ადამიანმა დაიპყრო ზეცა 63
განახლდა გული . 65
ყვარელში . . . 66
შენი ღიმილი მე მართლა მომწონს 68
სიმღერა მაისის დროშებთან 69
საგაზაფხულო ლექსი 71
ყაყაჩოებს რა უქნიათ 73
ყრმობის ბულბული . 74
თერამეტი ნოემბრის საღამო 76
თუ გულის ცეცხლი არ ახლავს . 77
ღაღადისი რუსთაველისა 78
საიათნოვა . 80
ი. გრიშაშვილს 82
ახალგაზრდული 83
გზად გურიაში . 84
შენ რომ წიგნი მოგეწერა . 85
დილა რუსთაველის ძეგლთან 86
ალაღა მივხვდი 87
წეიმიანი გაზაფხული 88
სადღეგრძელო 89
მამღერებს გურია 91
ქარის მეგობარი 93
როცა მარტო ვარ 94
იმ დღეთა მოგონება 95
როცა ვნახე 96
დაუწყია მერცხალს ბუდე . . . 97
** ვსვამ პოეზიის უტკბილეს ბადაგს 98
გამოთხოვება ი. გრიშაშვილთან . 99
გიორგი ლეონიძის ხსოვნას . 101
მოდერნიზმით გატაცებულ პოეტებს . 103
** ბევრი თუ მეტყვის . 105
** სიცოცხლე არ მწამს . 106
ყველგან საქართველოში . 110
ჩემი და შენი სამშობლო . 111
სიყვარული . . 112
ღვინის სადღეგრძელო . 113
ალავერდის ტაძართან . 114
იავნანა . 115

ჩვეულებრივი კაცი . . . 116
** მე შენს ნატვრაში ვათენ-ვაღამებ, . 117
** მე კი არ ვხუმრობ! შენმა თვალებმა . 118
** ღვთაებავ ჩემო, სიყვარულო დაუშრობელო 119
** შენი თვალები, ცეცხლის თვალები . 120
** ვერ გასწავლე სიყვარული 121
ქება ქართულ სილამაზეს 122
ახალგაზრდობას . . . 124
** ერთხელ რომ შენი კოცნა მღირსებოდა . 126
** იმ ღელვას გაუმარჯოს, გულს რომ გამიჩინე 127
ახალი წლისადმი 128
ენგურის სიმფონია . 129
ჰიმნი გაზაფხულს . . 131
** სიკაბუკეში არ მქონდა ბედი 132
** ვაითუ შენმა დიდმა ტრფიალმა . 133
** ბარათაშვილის გენია ისეთი აღმამფრენია . 134
** შენი ღიმილის სითბო სიცოცხლე არის ჩემი 135
ჭყვიში 136
მარტოობა . 137
დუმილი, ზღვა და სიცოცხლე 139
რომანსი 140
ქვიშხეთში 141
** როგორც ავგაროზს, მე შენს ბარათს ისე ვინახავ 143
ავადმყოფის დღიური 144
ქუთაისი . 145
მხოლოდ რწმენა . . 147
„კომუნისტის“ 50 წლისთავზე 148
** უშთაგონებო ვრჩები მე იმ დღეს 150
სულ ბედნიერ ფეხზე გევლოთ! 151
რომანტიკული საღამო 153
რა დაგიშავე? 155
** შემოდგომით გაზაფხული 156
** უშენოდ ეს ზღვა წყალია . 157
მთვარეს . . 158
საგურამოში 159
ისევ ის ცრემლი . 161
** შენ, ჩემო გულის ტკივილო . . . 162
** შენს მოლოდინში ეს დღეები მძიმედ მიდიან 163
გალაკტიონის კითხვისას 164
სალხინოში . . . 165
** მშვენიერება ღვინოსავით მათრობელია 166
მოხუცის ფიქრები . . . 167
** მე შენს ბაღჩაში სამოთხეს ვეკრეტდი 168
ღიმილი 169
** ლილისფერი ცა მთის გადაღმა ისევ ელვარებს . 170
** შენი უარი როს ვისმინე, მაშინ გავთავდი . 171
** შენი გულის აბრეშუმი . 172

ქართული პოეზიის არწივს . 173
ჩემი თბილისი . 176
ილიას ხსოვნას . 177
სამშობლოს მთებზე 178
ფადიმე გოგიტიძე . 179
საღამო ზღვასთან 180
ლაშქრობა მყინვარზე 181
ხალხურ კილოზე 182
ჩემი ეპიტაფია . 183
როდესაც ლექსს ვწერ . 184
შოთა რუსთაველს 185
პატარა ლექსი . 187
ფიქრები მგოსანზე . 188
სიმღერა 190
ბაღდადის მთებში 191
ჩანჩქერები . 193
მოგზაურის სიმღერები 194
შენზე ფიქრებით აღვსილი ღამე . 195
მე ვნახე ლენინი 198
სიმღერა თბილისზე . 199
ეთერს . . . 200
თეთრი ღამე ნევაზე 202
მარჯანიშვილის პორტრეტი სარეპეტიციო დარბაზში . 203
ჩემი თაობა . 205
თბილისს 206
მშობლიური მთების ქარი . . 208
გაზაფხული ჩემს სოფელში . 209
ოცნება და სინამდვილე . . 210
აქ ყველაფერი მზით იფერება . 212
მოხუცის ნათქვამი . 213
თბილისი და წაღვერი . 215
შენი სოფლის სურათები . 217
რაღა ლექსის კაცი ვარ . 219
უკანასკნელი ბარათი . 221
წერტილი . . . 222
გადაიარს სიყვარული? . 223
ქუთაისს . . 224
ოპერის ბაღში 225
ივანე ჯავახიშვილის კუბოსთან . 227
აკაკის . . . 228
ახალი წლის სადღეგრძელო . . 229
** სიყვარული ბევრჯერ გითხარ . 230
ნისლიან საღამოს . 231
ხალხის პოეტი . 232
ჩემო ლექსებო . 233

საბჭოთა საქართველოს ოცი წელი . 234
სიჭაბუკის ოცნებანი . 236

შემოტევა, შერკინება, გამარჯვება

ჩვენი ხალხი გაიმარჯვებს . . . 242
ციხის ნანგრევებთან თქმული ლექსი . . 243
დიდება გმირებს . 244
დედის წერილი . 245
მამულო საყვარელო . . 246
სიმღერა ქართველი მეომრისა . 247
ბრძოლის სიმღერა . 249
შეხვედრა . 250
მშვიდობით . 251
მარადი ხსოვნა . . 253
სამშობლოს ვინ წაგვართმევს . 255
გამარჯვების სადღეგრძელო . 256
უკრაინის დედაქალაქს . 257
მზის მოვლას ჰგავდა ამბავი . 258
მუნასიბი . . 260
სიმღერა მებრძოლ ქალებზე . 261
დედას . . . 263
გამარჯვება მოგვილოცა . 264
გამარჯვების პარადი 266
ვაჟა-ფშაველა ომიდან დაბრუნებულ გმირებთან . 267
სიმღერა ლესელიძისა . 269
გაზაფხული . . 270
ბარათაშვილისადმი . . 272
ბარათაშვილის ლექსმა სთქვა . 273
სტამბაში . 274
ი. გრიშაშვილის იუბილე . . 275
ალ. წულუკიძის საფლავთან . 277
საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა . 279

კავკასიონზე ისევ დარია

კავკასიონზე ისევ დარია . 281
მარჯვენა . . 282
შენი სახელი მარადი . 285
ქართველი მებრძოლის ეპიტაფია . 287
გაზაფხულის სიმღერა . 288
** აპრილი და მაისი . 290
ჩრდილოეთ საქართველოში . 291
ქეთევან ირემაძის ხსოვნას . 292
დღესაც ბრწყინვალებს . 294
თვითმფრინავიდან . . . 295
მიტომ ვარ ეგრე გულლაღა . 297
ლასკადურა . 298

წადღეგრძელო ასი წლის კაცისა . . 300
უშგულის კოშკებთან . 301
ბარათი სვანეთიდან . 303
საოქტომბრო სიმღერა . 304
საახალწლო სიმღერა . . 305
ახლა სხვა არის ქალაქი ფოთი . 307
იმერეთი . 308
ჩემი სიმღერა . . 311
მომავლის სიმღერა . . . 312
ილიას გახსენება მყინვართან . 314
პოეტის ღამე . 316
ნინო ჭავჭავაძეს . 317
პირველი კვირტები . . 318
ქართული თეატრის ასი წლისთავი . 319
სალხინოდ და სამეგობროდ . 321
მშვიდობა . . . 323
ნაუცბათევი სტრიქონები . . 324
** მე გადავწყვიტე, არ მოგეკარო 325
** გოგო, ეგ შენი თვალები . . . 326
ალ. თოიძეს ეკატერინე ჭავჭავაძის როლში . 327
აჭარის მთებში . 328
საღამო სოფლად . 330
სარფში . 331
ზღვა . 333
საახალწლო . . 335
უშანგი ჩხეიძის კუბოსთან . 337

Тевзадзе Андро Ражденович
Однотомник
(На грузинском языке)
Издательство «Мерани»
Тбилиси
1975

რედაქტორი ნ. ხომერიკი
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრ. რედაქტორი სპ. ცინცაძე
ტექრედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი ლ. არაბიძე

გადაეცა წარმოებას 4/VII-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/V-75 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/16, № 1, ნაბეჭდი თაბახი 21,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,91.
უე 00355. ტირაჟი 7000. შეკვ. № 1426.

ფასი 1 მან. 64 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის 42
თბილისი. 1975

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამსახკომის
სტამბა № 4. თბილისი 380060, მედქალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4. Госкомиздата Совета Министров
Грузинской ССР. Тбилиси 380060, Медгородок II корп.